

ვახტანგ გურული

მეფე-მამა

იოსებ სტალინის პოლიტიკური პორტრეტის
შექმნის ცდა

თბილისი 2008

ნაშრომი წარმოდგენს იოსებ
ჯულაშვილის (სტალინის) პოლიტიკური
პორტრეტის შექმნის ცდას. ი.სტალინის
მოდვაწეობა წარმოდგენილია
საქართველოსა და რუსეთის ისტორიის
უმნიშვნელოვანესი მოვლენების
განვითარების ფონზე.

რედაქტორი

რეცენზენტები

დალათუ ესენი ღუმენ, ქვანი ღალაღებღენვე
ლუკა, 19,40

წ ი ნ ა თ ქ მ ა

იოსებ სტალინი, როგორც მოაზროვნე და როგორც პოლიტიკური მოღვაწე, დიდხანს დარჩება შეუცნობელი, ან ბოლომდე შეუცნობელი. სტალინის შესახებ დღემდე დაწერილი ყველა ნაშრომი უეჭველად ამტკიცებს ერთ ჭეშმარიტებას: **სტალინის ნააზრევისა და ნაღვაწის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება.** ჩვენ შეგვიძლია გავიაზროთ ცალკეული მოვლენა, ცალკეული პრობლემა, მაგრამ ყოველი სქელტანიანი ნაშრომისა თუ მრავალტომეულის წაკითხვის შემდეგაც უპასუხოდ რჩება უმთავრესი კითხვები:

1. როგორ გახდა იოსებ ჯუღაშვილი რუსეთის (საბჭოთა კავშირის) ერთპიროვნული მბრძანებელი?

2. როგორ შეძლო იოსებ სტალინმა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დამარცხება?

3. რას წარმოადგენდა იოსებ სტალინის მიერ ჩაფიქრებული და პრაქტიკულად რეალიზებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა?

4. როგორ შექმნა იოსებ სტალინმა ისეთი ზესახელმწიფო, რომელმაც გაუძლო დანარჩენ სამყაროსთან დაპირისპირებას, არამარტო გაუძლო, არამედ გაიმარჯვა კიდევ ამ დაპირისპირებაში?

5. იოსებ სტალინი იყო რუსული სინამდვილის ნაყოფი, რუსეთის პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაციის შედეგი, თუ XX საუკუნის 20-50-იანი წლების რუსეთი (სსრ კავ- შირი) იყო იოსებ სტალინის პირმშო, მისი მოღვაწეობის შედეგი?

6. რატომ დაიმსხვრა ასე სწრაფად იოსებ სტალინის მიერ შექმნილი სახელმწიფო სისტემა, რატომ დაუძლურდა ასე უცებ მის მიერ შექმნილი ზესახელმწიფო?

ეს კითხვები ღღესაც უპასუხოდ რჩება. უპასუხოდ დარჩება ალბათ კიდევ კარგა ხანს.

იოსებ სტალინის ფენომენის ახსნა მკვლევართა უბრალო გატაცებას არ წარმოადგენს. სტალინის ფენომენის ახსნის გარეშე შეუძლებელია რუსეთისა (სსრ კავშირისა) და საერთოდ კაცობრიობის ისტორიის დიდი ეპოქის გააზრება. **როგორც უნდა ვაფასებდეთ სტალინს, იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, იმ ისტორიისა, რომელიც თავის თავში მალავს პასუხს ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე და რომელთა გაცნობიერების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია სტალინის პოლიტიკური პორტრეტის სრულქმნა.**

იოსებ სტალინის ყოველი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ისევე როგორც მისი თანამებრძოლები, ამაოდ ცდილობდნენ ამოეცნოთ სტალინის ნააზრევის არსი და ამ ნააზრევის რეალიზაციის პრაქტიკული შედეგი. თუმცა ვერავინ მიხვდა, რას ანგრევდა და რას ქმნიდა სტალინი – რის მიღწევას ცდილობდა ასე გულმოდგინედ. თვითონ სტალინს ამის შესახებ სიმართლე არ უთქვამს – ეს დიდი საიდუმლო სამარეში თან წაიღო. ამდენად, ჯერი ისტორიკოსებზე მიდგა...

წინამდებარე ნაშრომს არა აქვს სტალინის პოლიტიკური პორტრეტის შექმნის პრეტენზია. უკეთეს შემთხვევაში იგი შეიძლება მასალად გამოდგეს პოლიტიკური პორტრეტისათვის.

პროლოგის მაგიერ

ყოველი ადამიანი ქვეყნიერებას მოველინება როგორც ღვთის ნაპერწკალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა ადამიანს სასუფლევლისაკენ გზა გაუხსნა. შემდეგ ადამიანი დგება არჩევანის წინაშე. ასე გრძელდება ადამიდან ღლეძლე. არჩევანი ზდება:

- ღმერთსა და ეშმაკს,
- სულსა და ზორცს,
- ცხოვნებასა და წარწყმედას,

- სასუფეველსა და სატანჯველს,
- სამოთხესა და ჯოჯოხეთს,
- სიყვარულსა და სიძულვილს,
- მიტევებასა და ძალმომრეობას,
- ერთგულებასა და ლალატს,
- მორჩილებასა და ამბონს შორის.

არჩევანის წინაშე ოდესმე, ადრე თუ გვიან, ყველა ადამიანი ღებება. არჩევანში ადამიანი თავისუფალია.

თავისუფალი იყო არჩევანში იოსებ ჯულაშვილიც...

ჩვეულებრივი მოკვდავის არჩევანი მხოლოდ მისი და შეიძლება მისი ახლობლების ცხოვრებას განსაზღვრავდეს, მასზე ახდენდეს გავლენას. იოსებ ჯულაშვილი არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავი. ამიტომაც არჩევანი მხოლოდ მისთვის არ გამოდგა საბედისწერო. იოსებ ჯულაშვილის არჩევანმა განსაზღვრა:

- იოსებ ჯულაშვილის მომავალი,
- საქართველოს მომავალი,
- რუსეთის (საბჭოთა კავშირის) მომავალი,
- მსოფლიოს მომავალიც...

ეს არჩევანი კი გააკეთდა საქართველოში (იქნებ გორში, იქნებ თბილისში). რუსეთის იმპერიაში მსგავსი არჩევანი ათასებმა და ათი ათასებმა გააკეთეს. მათგან მხოლოდ ერთს არგუნა ბედმა, გამხდარიყო დედამიწის ერთ მეექვსეზე გადაჭიმული ზესახელმწიფოს ერთპიროვნული მბრძანებელი...

ყოველივე კი ასე დაიწყო...

თავი I. დაბადება. სოციალური გარემო. განათლება

თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქ გორის მიძინების ტაძრის მღვდელმა სოლომონ ხახანაშვილმა 1878 წლის 17 დეკემბერს მეტრიკული ჩანაწერების წიგნი გადაშალა და ოცდაპეოთხე ნომრით ასეთი ჩანაწერი გააკეთა:

„Родился шестаго (6), а крещен семьнадцатаго (17) декабря, Иосиф, родители его: житель г. Гори, крестьянин Виссарион Иванов сын Джугашвили и законная жена его Екатерина Гавриловна, оба православнаго вероисповедения. При крещении восприемником был житель г. Гори, крестьянин Михаил Шиоев сын Цихитатришвили. Таинство крещения совершал Протоиерей Горийскаго Успенскаго Собора Соломон Хаханов с причетником Алексием Квиникадзе“ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 414, ფურცელი 2; ვგურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 14; ვგურული. იოსებ ჯუღაშვილის არქივანი. 1879-1907. თბილისი, 2007 გვ. 4.)

იოსებ ჯუღაშვილის დაბადების ზუსტი თარიღი დღემდე დადგენილი არ არის. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასახელებენ ორ თარიღს: 1879 წლის 21 დეკემბერს და 1878 წლის 6 დეკემბერს.

იოსებ ჯუღაშვილის ოფიციალურ ბიოგრაფიაში, რომელიც ავტორთა კოლექტივმა შეადგინა ი. პ. ტოვსტუხას ხელმძღვანელობით, მრავალი შეცდომა თუ უზუსტობაა გაპარული (იხ. იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია. მეორე გამოცემა. თბილისი, 1952). სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, უზუსტობაა გაპარული იოსებ ჯუღაშვილის დაბადების თარიღთან დაკავშირებით. ოფიციალური ბიოგრაფები მიიჩნევენ, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს. XX საუკუნის 20-30-იან წლებში თვით იოსებ სტალინის ხელით შეესებული ანკეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იოსებ ჯუღაშვილი მართლაც 1879 წელს უნდა დაბადებულიყო. სათანადო საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი დაიბადა 1878 წლის 6 დეკემბერს.

1902 წელს ბათუმში ჟანდარმერიამ იოსებ ჯუღაშვილი დააპატიმრა. 1902 წლის 13 ივლისს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს გაუგზავნა ოფიციალური ლოკუმენტი – ცნობა პასუხისმგებაში მიცემული იოსებ ჯუღაშვილის შესახებ. ცნობაში მესამე კითხვის – „Время рождения“ – გასწვრივ წერია: „23 “ ამ მონაცემის მიხედვით გამოდის,

ამ მონაცემით მიხედვით იოსებ ჯულაშვილი 1879 წელს უნდა დაბადებულიყო (1909-30=1879). ჟანდარმერია ისევ დაეჭვდა იოსებ ჯულაშვილის ჩვენების სისწორეში. 1911 წლის 20 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოდან გორში ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერს მომონოვს წერდნენ: „Установи путем допроса проживающей в г. Гори модистки Екатерины Глаховны Джугашвили (уроженной Геладзе) и донести имеется-ли у нея сын Иосиф Виссарионов Джугашвили и в утвердительном случае в каком году и где он родился и в какой именно церкви крещен ея сын“ (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 268, ფურცელი 10; ვ.გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 6; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.5-6). იმავე წლის 25 ოქტომბერს გორის მიძინების ეკლესიის წინამძღვარს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოდან წერდნენ: „Прошу распоряжения о выдаче метрической выписи о рождении и крещении Иосифа Виссарионова Джугашвили“ (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 268, ფურცელი 13; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.6). 24 ოქტომბერს გორში ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერმა მომონოვმა დაჰკითხა იოსებ ჯულაშვილის დედა ეკატერინე (კეკე) გლახოს ასული ჯულაშვილი (გელაძე) და დაკითხვის ოქმი გაუგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს. ოქმში ვკითხულობთ: „ ... действительно у нея (Екатерины Джугашвили – ვ.გ.) есть сын Иосиф, 33-х лет, родился в гор. Гори, крестился в Горийском Успенском соборе“ (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 268, ფურცელი 24; ვ.გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 6; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.6). ე. ი. ეკატერინე ჯულაშვილის ჩვენების მიხედვით, იოსებ ჯულაშვილი 1878 წელს უნდა დაბადებულიყო (1911-33=1878). იგივე დადასტურდა გორის მიძინების ეკლესიის სამეტრიკო ჩანაწერების წიგნიდან გაკეთებული ამონაწერითაც, რომელიც გორიდან მიიღეს თბილისში.

ამრიგად, იოსებ სტალინის დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1878 წლის 6 დეკემბერი.

მაინც რაში დასჭირდა იოსებ ჯულაშვილის დაბადების ნამდვილი თარიღის დამალვა? იოსებ ჯულაშვილი 1902 წელს დააპატიმრეს ბათუმში. მას ბრალად ედებოდა ორი რამ: თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის წევრობა და ბათუმის დემონსტრაციის ორგანიზება. იოსებ ჯულაშვილს ჰქონდა შანსი ორივე ბრალდებიდან თავის დაძვრენისა. ამასთან, მან კარგად იცოდა, რომ დაბადებული იყო 1878 წელს და როგორც სამხედრო ვალდებული 1900-1901 წლების გაწვევას ექვემდებარებოდა. ამდენად, იოსებ ჯულაშვილისათვის შეიძლებოდა წაეყენებინათ ბრალდება – სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება. 1879 წელს დაბადებულს კი ასეთ ბრალდებას ვერ წაუყენებდნენ.

იოსებ ჯულაშვილმა ბავშვობა გორში გაატარა. იგი ხელოსნების, გლეხებისა და მუშების წრეში იზრდებოდა. სწორედ ამ გარემოში აღიქვა იოსებ ჯულაშვილმა სინამდვილე. ცოტა მოგვიანებით მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ სამღვდელოებასთან. ამ ურთიერთობამ იოსებ ჯულაშვილის ცნობიერებას ღრმა კვალი დააჩნია

იოსებ ჯულაშვილი ქ. გორში დედასთან იზრდებოდა. მამას ოჯახი პრაქტიკულად მიტოვებული ჰყავდა. 1902 წლის ივლისში იოსებ ჯულაშვილი ქ. ბათუმში დაჰკითხა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს გამომძიებელმა. დაკითხვისას შედგა იოსებ ჯულაშვილის ანკეტური მონაცემები. ანკეტაში მეთექვსმეტე კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „ ჴა ჴა

ჴ ჴა ჴა ჴა ← ს ს ჴ ჴა

ჴ “. ამ კითხვაზე ასეთი პასუხია გაცემული: „Мать живет в г. Гори, местожительство отца за последние 12 л. неизвестно“ (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 268, ფურცელი 63; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 27; ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ. 7). იოსებ ჯულაშვილი არ ცრუობდა – მამა გორში იშვიათად ჩნდებოდა. თავდაპირველად ბესარიონ ჯულაშვილი ცოლსა და შვილს მატერიალურ დახმარებას უწევდა, შემდეგ კი დახმარება შეწყვიტა. 1895 წლის 28 აგვისტოს თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის რექტორს

არქიმანდრიტ სერაფიმის სახელზე დაწერილ თხოვნაში იოსებ ჯულაშვილი აღნიშნავს: „Отец мой, уже три года, не оказывает мне отцовскаго попечения, в наказание того, что я, не по его желанию, прожолжил образование“ (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 373, ფურცელი 36; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 16; ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ. 7). ბესარიონ ჯულაშვილს შვილის თბილისის სასულიერო სემინარიაში კი არა გორის სასულიერო სასწავლებელში შეყვანაც არ სურდა. ქმრის სურვილი მიუღებელი აღმოჩნდა ეკატერინე (კეკე) გელაძისათვის. დედას შვილის სასულიერო სასწავლებელში შეყვანა 1886 წელს უნდოდა, საჭირო საბუთებიც კი გაუმზადებია. ვერც 1886 წელს და ვერც 1887 წელს იოსებ ჯულაშვილმა სწავლის დაწყება ვერ შეძლო. ცხადია, მიზეზი მატერიალური ხელშეწყობაც იყო. ეკატერინე (კეკე) გელაძე ქმრის რისხვას არ შეუშინდა, საჭირო თანხაც იშოვა და 1888 წლის სექტემბრიდან იოსებ ჯულაშვილი გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლას შეუდგა.

მამისაგან მიტოვებულ ოჯახს ეკონომიკურად ძალზე უჭირდა. 1894 წლის 29 სექტემბერს თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის რექტორ არქიმანდრიტ სერაფიმის სახელზე დაწერილ თხოვნაში იოსებ ჯულაშვილი აღნიშნავდა: „Мать моя находится в самом бедственном положении. Не имея имущества ни движимаго ни недвижимаго, она живет и содержит меня работой, которую часто не находит“ (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 373, ფურცელი 6; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 15; ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ. 8). კიდევ უფრო დამძიმდა იოსებ ჯულაშვილის ეკონომიკური მდგომარეობა 1895 წელს. სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ სერაფიმს 1895 წლის 28 აგვისტოს იოსებ ჯულაშვილი წერდა: „В настоящее время, у матери моей ослабли глаза, впоследствии чего более не может заниматься ручным трудом (единственный источник дохода)“ (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 373, ფურცელი 36; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 16;

ვგურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.8).

გორის სასულიერო სასწავლებელში იოსებ ჯულაშვილი კარგად სწავლობდა. სასწავლებელი 1894 წელს დაასრულა. ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იოსებ ჯულაშვილმა სასულიერო სასწავლებელი დაასრულა “Первым учеником”.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ეკატერინე (კეკე) გელაძემ შესძლო შვილის თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში შეყვანა. არსებული წესის მიხედვით, სემინარიაში სწავლების გადასახადს არ იხდიდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები. იოსებ ჯულაშვილი ამ შეღავათით ვერ ისარგებლებდა. კეკემ როგორღაც მოახერხა და იოსებ ჯულაშვილს სწავლების გადასახადი გაუნახვერეს – გადასახადის 50%-ს საეკლესიო ხაზინა იხდიდა. დანარჩენი 50% (40 მანეთი) კეკეს უნდა გადაეხადა. ეს კი ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩავარდნილი ოჯახისათვის ადვილი არ იყო. იოსებ ჯულაშვილს იმდენად უჭირდა, რომ ტანსაცმლის შესაძენი ფულიც კი არ გააჩნდა. 1894 წლის 29 სექტემბერს იოსებ ჯულაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ სერაფიმს წერდა: “Посему всенижайше прошу вас, ваше высокопрпиподобие, выдать мне зимнюю одежду... и избавте меня от простуды и холода” (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 373, ფურცელი 6; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 16; ვგურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.8-9). მომდევნო წელს კიდევ უფრო გაუჭირდა. სემინარიის პირველი კლასის წარმატებით დასრულების შემდეგ იოსებ ჯულაშვილს მეორე კლასში სწავლის გაგრძელების უფლებას არ აძლევდნენ. მას დაფარული არ ჰქონდა პირველი კლასის სწავლების გადასახადი, უფრო ზუსტად, სწავლებისათვის დაწესებული თანხის 50% (40 მანეთი). 1895 წლის 28 აგვისტოს იოსებ ჯულაშვილი სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ სერაფიმს შეახსენებდა, რომ მას პირველ კლასში სწავლების გადასახადი გაუნახვერეს, მაგრამ დარჩენილი ნახევრის გადახდაც არ შეეძლო და სთხოვდა, ეპატეებინათ მისთვის 40 მანეთი. იოსებ ჯულაშვილი სემინარიაში ან საეკლესიო ხაზინის ხარჯზე უნდა დარჩენილიყო, ან სწავლისათვის თავი უნდა დაენებებინა. ამიტომ იყო, რომ სემინარიის რექტორ არქიმანდრიტ სერაფიმს სთხოვდა: “Посему я вторично прибегаю к стопам

Вашего Высокопреподобия и прошу покорнейше оказать мне помощь принятием на полный казенный счет, чем окажете величайшую милость” (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 373, ფურცელი 36; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 16; ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.9). თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობამ იოსებ ჯულაშვილის თხოვნა შეიწყნარა.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მამისაგან მიტოვებული და თბილისში სასწავლებლად ჩამოსვლის შემდეგ უკვე დედის სითბოსაც მოკლებული, იოსებ ჯულაშვილი კარგად სწავლობდა. იმდენად გულმოდგინე იყო, რომ 1894-1895 სასწავლო წელს (ანუ პირველ კლასში) არასაპატიო მიზეზით არც ერთი საათი არ გაუცდენია, საპატიო მიზეზით კი გააცდინა მხოლოდ 14 საათი.

სასულიერო სემინარიის პირველ კლასში იოსებ ჯულაშვილი მხოლოდ შვიდ საგანს სწავლობდა. გარდა ამისა, უნდა დაეწერა ერთი თხზულება. სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებულ გამოცდებზე იოსებ ჯულაშვილმა ასეთი შეფასებები დაიმსახურა: წმინდა წერილი – 5, ბერძნული ენა – 4, ქართული საეკლესიო გალობა – 5, სიტყვიერება – 5, სამოქალაქო ისტორია – 5, მათემატიკა – 5, ქართული ენა – 5, თხზულება – 4 (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 373, ფურცელი 11; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 17; ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.9).

აღსანიშნავია, რომ იოსებ ჯულაშვილი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში (1894 წლის სექტემბრიდან 1895 წლის მაისის ჩათვლით) ყოფაქცევაში ყოველთვის უმაღლეს შეფასებას (5) იმსახურებდა. ცხადია, წლიური შეფასებაც უმაღლესი (5) იყო (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 414, ფურცელი 4; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 17; ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.9).

მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში იოსებ ჯულაშვილი ასევე დიდი მონდომებით სწავლობდა. სემინარიაში სწავლის ოთხი წლის განმავლობაში (1894 წლის სექტემბრიდან 1899 წლის მაისამდე) იოსებ ჯულაშვილმა ოცი საგანი შეისწავლა და შემდეგი

შეფასებები დაიმსახურა: წმინდა წერილი განმარტება – ძალზე კარგი (4), ბიბლიური ისტორია – ძალზე კარგი (4), ეკლესიის ისტორია – კარგი (3), ჰომილეტიკა – ძალზე კარგი (4), ლიტურგიკა – ძალზე კარგი (4), რუსული სიტყვიერება – ძალზე კარგი (4), რუსული ლიტერატურის ისტორია – ძალზე კარგი (4), მსოფლიოს სამოქალაქო ისტორია – ძალზე კარგი (4), რუსეთის სამოქალაქო ისტორია – ძალზე კარგი (4), ალგებრა – ძალზე კარგი (4), გეომეტრია – ძალზე კარგი (4), პასქალია – ძალზე კარგი (4), ფიზიკა – ძალზე კარგი (4), ლოგიკა – ფრიადი (5), ფსიქოლოგია – ძალზე კარგი (4), ქართული საეკლესიო საგნები – ძალზე კარგი (4), ბერძნული ენა – ძალზე კარგი (4), სლავური საეკლესიო გალობა – ფრიადი (5), ქართული საეკლესიო გალობა – ძალზე კარგი (4) (**სშსსა (III)**), ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 414, ფურცელი 4; **ვ. გურული**. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 18-19; **ვ. გურული**. იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.9). აი, ამ ცოდნით წავიდა იოსებ ჯუღაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიიდან. თუმცა მისი განათლება ამით არ დასრულებულა.

ეკატერინე (კეკე) გელაძეს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მისი ერთადერთი შვილი მღვდელი გამოსულიყო. იოსებ ჯუღაშვილი დედის სურვილს ემორჩილებოდა და დიდი მონდომებით სწავლობდა როგორც გორის სასულიერო სასწავლებელში (1888-1894 წწ.), ისე თბილისის სასულიერო სემინარიაში (1894-1899 წწ.). როგორც ჩანს, სხვა მიზანი იოსებ ჯუღაშვილს იმხანად არ გააჩნდა. არჩევანის წინაშე იგი ცოტა მოგვიანებით დადგა.

თავი II. ილია ჭავჭავაძესთან “ივერიაში”

იოსებ ჯულაშვილი გორიდან თბილისში 1894 წლის აგვისტოში ჩამოვიდა. სასულიერო სემინარიის პანსიონში მცხოვრებ ყმაწვილს უამრავი საფიქრალი ჰქონდა: მამა გალიზიანებული იყო იმის გამო, რომ შვილმა მისი ნების წინააღმდეგ სემინარიაში სწავლა განაგრძო; დედას იძენად მცირე შემოსავალი ჰქონდა, რომ სწავლის ქირის შეღავათით (50%) გადახდაც კი არ შეეძლო. იოსებ ჯულაშვილის თბილი ტანსაცმლის შექმენისათვის აუცილებელი ფული არ ჰქონდა, არ ჰქონდა წიგნების შესაძენი ფული... სამაგიეროდ ჰქონდა დაუოკებელი სურვილი, ცხოვრების ფსკერზე არ დარჩენილიყო, ჰქონდა საკუთარი ძალების რწმენა და იმისი მუდმივი განცდა, რომ იგი ღმერთმა გამოარჩია ნაცრისფერი მასისაგან. ეს რომ არ ყოფილიყო, იოსებ ჯულაშვილი ლექსების წერის ხასიათზე ვერ დადგებოდა...

XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ დააკანონა ასეთი ტრადიცია: თუ ახალგაზრდა მოღვაწეს საზოგადოებრივ ასპარეზზე დამკვიდრება სურდა, მას ქვეყნისათვის თავისი თავი პრესის საშუალებით უნდა წარედგინა – კალამი ეცადა პოეზიაში, პროზაში, პუბლიცისტიკაში. იმხანად, როცა იოსებ ჯულაშვილი გორიდან თბილისში ჩამოვიდა, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა რამდენიმე მიმდინარეობით იყო წარმოდგენილი. პირველი. გაზეთ „ივერიის“ მიმდინარეობა. ეს იყო ილია ჭავჭავაძისა და მისი ძველი თანამოაზრეების მიმდინარეობა, რომლებიც ერთგულნი დარჩნენ XIX საუკუნის 60-იან წლებში შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამისა და შეცვლილი ვითარების მიუხედავად, მისი განხორციელებისათვის იღწვოდნენ. მეორე. გაზეთ „კვალის“ მიმდინარეობა. ამ მიმდინარეობის წინამძღოლი გიორგი წერეთელი იყო. უთანხმოება ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს შორის წლების მანძილზე სულ უფრო იძაბებოდა, რაც საბოლოოდ განხეთქილებით დასრულდა. გიორგი წერეთელმა 1893 წელს გაზეთი „კვალი“ დაარსა და დიდი მონდობებით ცდილობდა „კვალს“ „ივერიის“ ადგილი დაეკავებინა ქართულ სინამდვილეში. ილია ჭავჭავაძესთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე უთანხმოება გიორგი წერეთელმა იმით დაასრულა, რომ ქართველი ერის მომავალი ნაციონალ-სოციალიზმის (ეროვნული სოციალიზმის) გამარჯვებას დაუკავშირა. გიორგი წერეთელი მფარველობას უწევდა ილია ჭავჭავაძის შეურიგებელ იდეურ მტრებს, ახალგაზრდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მესამე

დასელებს). მესამე. ჟურნალ „მოამბის“ (გამოვიდა 1894 წელს) მიმდინარეობა. ეს მიმდინარეობა იზიარებდა ნიკო ნიკოლაძის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ქართველი ერის პროგრესი ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრებაზე იყო დამოკიდებული. მეოთხე. ნაროდნიკული (ხალხოსნური) მიმდინარეობა, რომელსაც პრაქტიკულად პირვანდელი იდეური და ორგანიზაციული სახე დაკარგული ჰქონდა და იდეურ ევოლუციას განიცდიდა. მეხუთე. ქართველ სოციალ-დემოკრატთა (ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი და სხვ.) მიმდინარეობა (“მესამე დასი“), რომელიც ქართველი ერის მომავალს სოციალიზმის გამარჯვებას უკავშირებდა. მეექვსე. რუს სოციალ-დემოკრატთა მიმდინარეობა. ეს იყო რუსეთიდან რევოლუციური მოღვაწეობისათვის გადმოსახლებული რუსი და არარუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატების (ოსიპ კოგანის, ნიკოლოზ კოზერენკოს, ვიქტორ კურნატოვსკის და სხვ.) მიმდინარეობა. რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებს “მესამე დასთან” იდეურ და ორგანიზაციულ საკითხებზე უთანხმოება ჰქონდათ, ამიტომაც ისინი “მესამე დასში” არ შესულან. რუსეთიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატები თბილისისა და ბათუმის მუშათა შორის ეწეოდნენ აგიტაციას, ჰქმნიდნენ არალეგალურ ჯგუფებსა და წრეებს. (**გვგურული**. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.11-12)

ზემოთ აღვნიშნული ექვსი მიმდინარეობიდან პირველი სამი („ივერიის“, „კვალის“, „მოამბის“ მიმდინარეობები) ლეგალურად არსებობდა, თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები გააჩნდათ, ამიტომაც იოსებ ჯულაშვილს მათი გაცნობა არ გაუჭირდებოდა. მეოთხე მიმდინარეობის (ნაროდნიკების) შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არალეგალურად არსებობდა, იოსებ ჯულაშვილს შეიძლებოდა გორშიაც სმენოდა რაიმე, თუ მონიღომებდა თბილისშიც გაიგებდა მათი პროგრამისა და მოღვაწეობის შესახებ. მეხუთე მიმდინარეობა („მესამე დასი“) არალეგალურად კი შეიქმნა, მაგრამ „კვალი“ ამ ორგანიზაციის შესახებ საკმაოდ დიდ მასალას ბეჭდავდა და იოსებ ჯულაშვილსაც შეეძლო სრული წარმოდგენა ჰქონოდა „მესამე დასზე“. მეექვსე მიმდინარეობა (რუსეთიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატები) თითქმის საიდუმლო სექტის პრინციპით მოქმედებდა და ალბათ იოსებ ჯულაშვილს პირველ ხანებში მათ შესახებ რაიმეს გაგება გაუჭირდებოდა.

იოსებ ჯულაშვილი რთული არჩევანის წინაშე იდგა. გამორიცხული არ არის, რომ ფიქრი და განსჯა მან ჯერ კიდევ გორში დაიწყო. დიდხანს ფიქრობდა თბილისშიც. არჩევანი გაკეთდა: 1895 წლის ზაფხულში სასულიერო სემინარიის პირველკლასელი იოსებ ჯულაშვილი საქართველოში ყველაზე პოპულარულ გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში მივიდა და გაზეთის გამომცემელსა და რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს ლექსის გამოქვეყნება სთხოვა. „ივერიაში“ მისვლა უკვე ნიშნავდა, რომ იოსებ ჯულაშვილი სიმპათიით იყო გამსჭვალული ილია ჭავჭავაძისადმი. გაბედული არჩევანი იყო: ქართველი საზოგადოებისათვის იოსებ ჯულაშვილი ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ უნდა წარედგინა:

ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ გამოსაქვეყნებელ ლექსებს საგანგებოდ არჩევდა. ილიასათვის არ არსებობდა ცნობილი და უცნობი ავტორი, არსებობდა კარგი და ცუდი ლექსი. აღმოჩნდა, რომ იოსებ ჯულაშვილს კარგი ლექსი დაეწერა. 1895 წლის 14 ივნისს, „ივერიის“ 123-ე ნომერში, პირველ გვერდზე, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, დაიბეჭდა სამსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით – „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“. მკითხველმა ლექსის ავტორის შესახებ ვერაფერი შეიტყო. ავტორი ვინაობას არ ასახელებდა, ხელს აწერდა ფსევდონიმით – „ი. ჯ-შვილი“ (გაზეთი „ივერია“, 1895, 14 ივნისი, №123, გვ. 1). რა უნდა მოსწონებოდა ილია ჭავჭავაძეს იოსებ ჯულაშვილის ლექსში? ჩვენი აზრით, ლექსის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ იგი დაწერილი იყო კარგი ქართულით, იმ ქართულით, რომლის დამკვიდრებისათვის ილია ჭავჭავაძე რამდენიმე ათეული წელი იღწვოდა. ლექსის ღირსებაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი შევიდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ (იხ.: იაკობ გოგებაშვილი. დედა ენა. ნაწილი 1. ტფილისი, 1916; იაკობ გოგებაშვილი. დედა ენა. ნაწილი 1. ტფილისი, 1917).

ილია ჭავჭავაძე საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ სემინარიელს დიდად სწყალობდა. 1895 წელს იოსებ ჯულაშვილმა „ივერიაში“ კიდევ ოთხი ლექსი დაბეჭდა და ოთხივე პირველ გვერდზე.

1895 წლის 22 სექტემბერს „ივერიის“ 203-ე ნომერში დაიბეჭდა ამჯერად ხუთსტროფიანი ლექსი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით – „როდესაც ბაღრად მნათობი მთავარე...“ ლექსი იოსებ ჯულაშვილმა ამჯერად „სოსელოს“ ფსევდონიმით დაბეჭდა (გაზეთი „ივერია“, 1895, 22 სექტემბერი, №203, გვ. 1). ამ ლექსმაც,

როგორც ჩანს, იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 1899 წელს ლექსი, უკანასკნელი ტაეპის გამოკლებით, როგორც ლექსთაწყობის საუკეთესო ნიმუში, შევიდა ქართული სიტყვიერების კრებულში (იხ.: მ. კელენჯერიძე. თეორია სიტყვიერებისა. ქართული სალიტერატურო სამაგალითო ნიმუშების გარჩევით. ნაწილი 1. საზოგადო თეორია სიტყვიერებისა. ქუთაისი, 1899, გვ. 93-94).

ერთი თვეც არ იყო გასული, რომ 1895 წლის 11 ოქტომბერს, „ივერიის“ 218-ე ნომერში ფსევდონიმით „სოსელი“ დაიბეჭდა ხუთსტროფიანი ლექსი სათაურით „მთვარეს“ (გაზეთი „ივერია“, 1895, 11 ოქტომბერი, №218, გვ. 1).

1895 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა რაფიელ ერისთავის იუბილე. ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი. გაზეთი „ივერია“ ფართოდ გამოეხმაურა ამ იუბილეს. სხვა მასალათა შორის ილია ჭავჭავაძემ 1895 წლის 29 ოქტომბერს, „ივერიის“ 234-ე ნომერში დაბეჭდა იოსებ ჯულაშვილის ექვსსტროფიანი ლექსი სათაურით „თ. რ. ერისთავს“ (გაზეთი „ივერია“, 1895, 29 ოქტომბერი, №234, გვ. 1). ეს ლექსიც „სოსელი“ ფსევდონიმით დაიბეჭდა. იოსებ ჯულაშვილის ლექსი „თ. რ. ერისთავს“ შევიდა 1899 წელს რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (იხ.: საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო (1895 წ. 22 დეკემბრისთვის). ტფილისი, 1899). 1899 წელსვე ლექსი უკანასკნელი ოთხი ტაეპის გამოკლებით დაიბეჭდა ზემოთ ხსენებულ ლექსთაწყობის საუკეთესო ნიმუშების კრებულში (იხ.: მ. კელენჯერიძე. თეორია სიტყვიერებისა. ქართული სალიტერატურო სამაგალითო ნიმუშების გარჩევით. ნაწილი 1. საზოგადო თეორია სირტვიერებისა. ქუთაისი, 1899, გვ. 94) და 1907 წელს გამოცემულ ქართული სიტყვიერების ქრესტომათიული ნიმუშების კრებულში (იხ.: მ. კელენჯერიძე. ქართული ქრესტომატია ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა. ტ. 1, წიგნი 1. ქუთაისი, 1907, გვ. 43).

1895 წლის 25 დეკემბერს, „ივერიის“ 280-ე ნომერში იოსებ ჯულაშვილმა „სოსელი“ ფსევდონიმით ბოლო ლექსი გამოაქვეყნა. ლექსი ხუთსტროფიანია და სათაური არა აქვს, იწყება სიტყვებით: „ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი...“ (გაზეთი „ივერია“, 1895, 25 დეკემბერი, №280, გვ. 1).

იოსებ ჯულაშვილიმა ექვსი თვის განმავლობაში „ივერიაში“ ხუთი ლექსი გამოაქვეყნა. დამწყები პოეტისათვის ეს იყო ტრიუმფი! ამას, ცხადია, იოსებ ჯულაშვილიც კარგად გრძნობდა.

იოსებ ჯულაშვილისათვის ალბათ უცნობი იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ძველ თანამოაზრეთაგან 1895 წლისათვის ილიას ცოტა თუ ვინმე შემორჩა. ნიკო ნიკოლაძესთან და გიორგი წერეთელთან ილია ჭავჭავაძის შერიგება წარმოუდგენელი იყო. განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ილიას გიორგი წერეთელთან (მეგობრების თხოვნის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე 1900 წელს გიორგი წერეთლის დასაფლავებაზე არ მივიდა). სერგეი მესხი უკვე გარდაცვლილი იყო, თუმცა ცოცხალიც რომ ყოფილიყო, ილიასა და სერგეი მესხის შერიგებაც ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა (ილია ჭავჭავაძე არც სერგეი მესხის დასაფლავებას დასწრებია). ილია ჭავჭავაძეს დაუპირისპირდნენ შედარებით ნაკლებად ცნობილი მოღვაწეები (მაგალითად, ილია ხონელი). დაძაბულობა არ ცხრებოდა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში – ილია ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეები ბანკის მმართველობიდან მის ჩამოცილებას ცდილობდნენ. გაზეთი „კვალი“ სულ უფრო პოპულარული ხდებოდა და ნელ-ნელა ზღუდავდა „ივერიის“ მონოპოლიას ქართულ სინამდვილეში. გიორგი წერეთელი კიდევ უფრო შორს მიდიოდა. აშკარა იყო, რომ გიორგი წერეთელი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მესამე დასელებს) რაზმავდა. პირადად ილიას ეს უკანასკნელი მოვლენა ძალზე აფიქრებდა. ილია კარგად გრძნობდა, თუ რა ძალას წარმოადგენდნენ სოციალ-დემოკრატები, ვინ იღვამათ უკან დასავლეთ ევროპასა თუ რუსეთში.

იოსებ ჯულაშვილის ნიჭისა და გაქანების ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ ჰაერივით სჭირდებოდა. იქნებ ილია პოლიტიკურ მემკვიდრედაც სახავდა ახალგაზრდა სემინარიელს? იქნებ უთანასწორო ბრძოლებით დაღლილი ერის მამა და საქართველოს უგვირგვინო მეფე მიიჩნევდა, რომ მის დაწყებულ საქმეს სწორედ იოსებ ჯულაშვილი გააგრძელებდა? ჩვენთვის უცნობია, მიანიშნა თუ არა ყოველივე ამის შესახებ ილია ჭავჭავაძემ იოსებ ჯულაშვილს. სამაგიეროდ ცნობილია, რომ ილია გულდასმით აკვირდებოდა კიდევ ორ ახალგაზრდა მოღვაწეს – ნოე ჟორდანიასა და არჩილ ჯორჯაძეს. 1897 წელს ილიამ ნოე ჟორდანიას ოფიციალურად შესთავაზა “ივერიაში” თანამშრომლობა, ცოტა მოგვიანებით ესაუბრა არჩილ ჯორჯაძესაც.

ილიას თანამებრძოლობა არც ერთმა არ ისურვა. 1900 წელს ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძე პოლემიკაში გამოიწვია და

ილიამაც მომაკვდინებელი შეფასება მისცა ნოე ჟორდანიას შეხედულებებს (იხ.: ილია ჭავჭავაძის წერილები: „უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრისა“, „ისევ და ისევ ბ-ნ ნოე ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი“. – ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI. თბილისი, 1956, გვ. 241-295). არჩილ ჯორჯაძე ილიას საჯაროდ არ დაპირისპირებია. 1901 წელს დაწერილი ილიას შეხედულებათა კრიტიკის შემცველი წერილი არჩილ ჯორჯაძემ გვიან, ილიას სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნა (იხ. არჩილ ჯორჯაძე. პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე. – არჩილ ჯორჯაძე. წერილები. თბილისი, 1989, გვ. 42-102). მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძისათვის ცხადი იყო არჩილ ჯორჯაძის გატაცება სოციალიზმით. 1902 წელს ილიამ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შეფასება მისცა (იხ. ილია ჭავჭავაძე. ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია. – ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. II. თბილისი., 1941 გვ. 297-304).

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრის საკითხი გაურკვეველი რჩებოდა.

თავი III. თბილისის სასულიერო სემინარიის დატოვება

1895 წლის დეკემბრის შემდეგ იოსებ ჯულაშვილს „ივერიაში“ არაფერი გამოუქვეყნებია. რა მოხდა, რატომ გაიფარა ილია ჭავჭავაძისა და იოსებ ჯულაშვილის გზები? ამ პერიოდისათვის იოსებ ჯულაშვილი არც ქართველ და არც რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებთან არ ყოფილა დაკავშირებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სერიოზულად არც სოციალისტურ მოძღვრებას იცნობდა. 1895 წლის დეკემბრიდან

1899 წლის მაისამდე იოსებ ჯულაშვილი კვლავ სემინარიაშია, მეცადინეობას არ აცდენს, კარგად სწავლობს, წერს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ თხზულებებს, ყოფა-ქცევაში იმსახურებს უმაღლეს შეფასებას (5).

იქნებ იოსებ ჯულაშვილის „ივერიიდან“ წასვლის მიზეზი სულაც არ ყოფილა ილია ჭავჭავაძესთან უთანხმოება? ეს ვერსია მისაღები იქნებოდა, რომ არა ერთი ფაქტი. „ივერიაში“ ბოლო ლექსის გამოქვეყნებიდან შვიდი თვის შემდეგ, 1896 წლის 28 ივლისს, გიორგი წერეთლის გაზეთ „კვალის“ 32-ე ნომერში დაიბეჭდა იოსებ ჯულაშვილის ექვსტროფიანი ლექსი სათაურით „მოხუცი ნინიკა“. ავტორმა ფსევდონიმიც შეიცვალა. „კვალში“ ლექსი მან „სოზელის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა (გაზეთი „კვალი“, 1896, 28 ივლისი, №32, გვ. 574). 1896 წლის ივლისისათვის ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის, „ივერიისა“ და „კვალის“ ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული იყო. „ივერიის“ შემდეგ „კვალში“ ლექსის გამოქვეყნება ნიშნავდა თუ არა გიორგი წერეთლის თანაგრძნობას? ალბათ არა, რადგან ერთი ლექსის გარდა, იოსებ ჯულაშვილს „კვალში“ არაფერი გამოუქვეყნებია და არც გიორგი წერეთელთან ჰქონია რაიმე ურთიერთობა, არ ჩარეულა ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის პოლემიკაში. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მასალის სიმცირის, ფაქტობრივად არ არსებობის გამო, იოსებ ჯულაშვილის მიერ ილია ჭავჭავაძესთან ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზის დადგენა ძალზე ძნელია. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ კიდევ დაუვებრუნდებით.

თითქმის არაფერია შემორჩენილი იოსებ ჯულაშვილის პოლიტიკური მრწამსის დასადგენად სემინარიის მესამე და მეოთხე კლასებში სწავლის პერიოდში (1897-1899 და 1898-1899 სასწავლო წლებში). იოსებ ჯულაშვილის ოფიციალური ბიოგრაფები გვაუწყებენ: 1896-1897 წლებში იოსებ ჯულაშვილი სათავეში ედგა თბილისის სასულიერო სემინარიის მარქსისტულ წრეებს, 1898 წლის აგვისტოში შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის ორგანიზაციაში, გახდა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი (იხ. იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია. მეორე გამოცემა. თბილისი, 1952, გვ. 10). ყველაფერი ეს გამოგონილია: თბილისის სასულიერო სემინარიაში 1896-1897 წლებში, ისე როგორც არც წინა წლებში და არც მომდევნო ხანებში, არავითარი

მარქსისტული (სოციალ-დემოკრატიული) წრეები არ არსებულა; 1898 წლისათვის, ისევე როგორც 1899 წლისათვის, არ არსებობდა რსდმპ თბილისის ორგანიზაცია; იოსებ ჯულაშვილი „მესამე დასში“ არასდროს შესულა, თუმცა ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობა ჰქონდა, მისი მოღვაწეობის საქმის კურსში იყო (იხ. ვ. გურული, მ. ვაჩნაძე. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918). თბილისი, 1999, გვ. 16-58). შეუძომებელი ცნობით, დაახლოებით ამ პერიოდში იოსებ ჯულაშვილს ურთიერთობა ჰქონია ქართველი სოციალ-დემოკრატების პირველი თაობის წარმომადგენელთან, “მესამე დასის“ ერთ-ერთ დამაარსებელთან სილიბისტრო ჯიბლაძესთან. იმავე ცნობით, მათ შორის მალევე უკმაყოფილება ჩამოვარდნილა, სილიბისტრო ჯიბლაძეს იოსებ ჯულაშვილი გაულანძლია და მისთვის „ლაწირაკი“ უწოდებია. თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ ადვილად ასახსნელია, თუ რატომ არ შესულა იოსებ ჯულაშვილი „მესამე დასში“ და რატომ ჰქონდა სილიბისტრო ჯიბლაძის მიმართ ბიოლოგიური ზიზღი. დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ 1899 წელს იოსებ ჯულაშვილი უკვე რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებთანაა.

1899 წელი სხვა მხრივაცაა მნიშვნელოვანი იოსებ ჯულაშვილის ცხოვრებაში.

1898-1899 სასწავლო წელი (მეოთხე კლასი) იოსებ ჯულაშვილმა წარმატებით დაასრულა და სემინარიის დამამთავრებელ კლასში უნდა გადასულიყო. თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობამ იოსებ ჯულაშვილი მეხუთე კლასში არ გადაიყვანა.

იოსებ ჯულაშვილის თბილისის სასულიერო სემინარიიდან წასვლის მიზეზი არასწორადაა წარმოდგენილი მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში, რომელშიც ვკითხულობთ: “სემინარიაში, სადაც სასტიკად აღევენებდნენ თვალყურს „საეჭვოებს“, თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ სტალინი არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. 1899 წლის 29 მაისს იგი სემინარიიდან გარიცხეს მარქსიზმის პროპაგანდისათვის“ (იხ. იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია. მეორე გამოცემა. თბილისი, 1952, გვ. 12). იოსებ ჯულაშვილის ოფიციალური ბიოგრაფიის ეს ნაწილი, ისევე როგორც მისი დიდი ნაწილი, პოლიტიკური შეკვეთითაა დაწერილი და ჭეშმარიტებას არ შეეფერება. პირველი. არავითარ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას იოსებ

ჯულაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში არ ეწეოდა. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს არ მოუპოვებია ერთი ცნობაც კი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ადასტურებს იოსებ ჯულაშვილის არალეგარულ რევოლუციურ მოღვაწეობას სემინარიაში. მეორე, იოსებ ჯულაშვილი რომ არალეგალურ რევოლუციური მოღვაწეობისათვის სემინარიიდან გაერიცხათ, ამის შესახებ სემინარიის მმართველობა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს აცნობებდა და დაიწყებოდა გამოძიება. გამოძიების პროცესში ჟანდარმერიაში შედგებოდა საქმე, რომელიც გადაიგზავნებოდა სასამართლოში. საქმე შედგებოდა სასამართლოშიც, გაიმართებოდა სასამართლო პროცესი და იოსებ ჯულაშვილს დაედებოდა სასჯელი. ცნობილია, რომ არც ძიების და არც სასამართლოს მასალები არ არსებობს. ასეთი მასალა რომ არსებულებოდა, მას დიდი სიხარულით მოიძიებდნენ და შეისწავლიდნენ იოსებ ჯულაშვილის ოფიციალური ბიოგრაფები, ისევე როგორც მოიძიეს და შეისწავლეს იოსებ ჯულაშვილის არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მასალები 1901-1902 წლებიდან დაწყებული 1917 წლით დამთავრებული. მესამე, იოსებ ჯულაშვილი, რომ სემინარიაში არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობაში ყოფილიყო შემჩნეული და სემინარიიდან ამ მიზეზით გარიცხული, მაშინ სემინარიიდან წასვლისას, 1899 წლის 2 ოქტომბერს, მისთვის მიცემულ ოფიციალურ დოკუმენტში – მოწმობაში – აღნიშნული არ იქნებოდა, რომ იოსებ ჯულაშვილს ყოფა-ქცევაში ჰქონდა უმაღლესი შეფასება (5) (იხ. ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 18; ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.17-18).

სანდო საარქივო მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ იოსებ ჯულაშვილის თბილისის სასულიერო სემინარიიდან წასვლის მიზეზი გახდა ის, რომ მან ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ სწავლის გადასახადი ვეღარ გადაიხადა.

იოსებ ჯულაშვილი თბილისის მართლმადიდებელი სასულიერო სემინარიაში სახელმწიფო (საკლესიო ხაზინის) ხარჯზე არ მიიღეს, რადგან სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდა. 1894 წლის 3 სექტემბერს იოსებ ჯულაშვილის თხოვნის შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობამ იგი სემინარიაში

საეკლესიო ხაზინის ხარჯზე ჩარიცხა. შემდეგში ეს გადაწყვეტილება შეიცვალა და საეკლესიო ხაზინამ იოსებ ჯულაშვილს სწავლის საფასურის მხოლოდ ნაწილი გადაუხადა. ამიტომაც 1894 წელს საეკლესიო ხაზინის მიერ გამოყოფილი 480 მანეთის გარდა, იოსებ ჯულაშვილს დამატებით – „სწავლის უფლებისათვის“ – კიდევ გადაახდევინეს 200 მანეთი (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 773, ფურცლები 2, 10, 36; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.18). ცხადია, 200 მანეთი იოსებ ჯულაშვილისათვის ძალზე დიდი თანხა იყო. 1895 წლის 28 აგვისტოს იოსებ ჯულაშვილმა თხოვნით მიმართა სემინარიის რექტორს, რათა იგი სემინარიაში სრულ სახაზინო ხარჯზე ჩაერიცხათ, რაზეც 1895 წლის 11 სექტემბერს სემინარიის მმართველობისაგან უარი მიიღო (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 773, ფურცლები 24, 36; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.19). საბოლოოდ, ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ, 1899 წელს, სემინარიის მმართველობამ იოსებ ჯულაშვილს უარი უთხრა საეკლესიო ხაზინის ხარჯზე სწავლის გაგრძელებაზე, როგორც არასასულიერო წოდების წარმომადგენელს (სშსსა (III), ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 268, ფურცელი 63; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.19). იოსებ ჯულაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარია დატოვა.

ამრიგად, იოსებ ჯულაშვილმა 1894 წლის სექტემბრიდან 1899 წლის 20 მაისამდე წარმატებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარიის ოთხი კლასი და მენუთე კლასში სწავლა ველარ გაგრძელა სწავლების გადასახადის გადაუხდელობის გამო. იგი სემინარიაში არასდროს არ ეწეოდა არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობას, სწავლობდა კარგად, შემჩნეული არ ყოფილა სემინარიის შინაგანაწესის დარღვევაში, ან რაიმე ისეთ საქციელში, რომელიც სემინარიის მმართველობას დაეჭვებდა.

მაშ ასე: 1899 წელს იოსებ ჯულაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარია დატოვა და რევოლუციურ (სოციალ-დემოკრატიულ) მოძრაობაში ჩაება. სავსებით ბუნებრივად ისმის კითხვა: იოსებ ჯულაშვილს რომ ეკონომიკური შესაძლებლობა ჰქონოდა (სწავლების გადასახადი გადაეხადა) და სასულიერო სემინარია დაესრულებინა, გააგრძელებდა თუ არა იგი სასულიერო მოღვაწეობას? ჩვენი აზრით, იოსებ ჯულაშვილი სასულიერო პირი (დიაკონი, მღვდელი) არასდროს გახდებოდა. თავიდანვე უნდა

აღინიშნოს, რომ იოსებ ჯულაშვილს გორის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დასრულება და თბილისის სასულიერო სემინარიის ოთხი კლასის პროგრამის კარგად ათვისება აძლევდა იმის საშუალებას, რომ მომხდარიყო მისი დიაკონად ხელდასხმა, ხოლო შემდეგ – მღვდლად ხელდასხმა. ეს უფლება იოსებ ჯულაშვილმა არ გამოიყენა, რაც თავისთავად მეტყველებს მის მრწამსზე. ეხლა უფრო დაწვრილებით.

იოსებ ჯულაშვილმა გორის სასულიერო სასწავლებელი „პირველი მოწაფის“ თანრიგით დაასრულა. ეს დაახლოებით უტოლდებოდა წინათ საშუალო სკოლებში არსებულ ვერცხლისა და ოქროს მედალს. ე. ი. გორის სასულიერო სასწავლებელში იოსებ ჯულაშვილი წარჩინებული მოწაფე იყო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მას შესანიშნავად უნდა სცოდნოდა ძველი და ახალი აღთქმა. თბილისის სასულიერო სემინარიის ოთხი კლასის დასრულების შემდეგ იოსებ ჯულაშვილს სპეციალურ საგნებში კარგი შეფასებები ჰქონდა: წმინდა წერილის განმარტება – ძალზე კარგი (4), ბიბლიური ისტორია – ძალზე კარგი (4), პასქალია – ძალზე კარგი (4), ეკლესიის ისტორია – კარგი (3), ძირითადი ღვთისმეტყველება – კარგი (3), ჰომილეტიკა – კარგი (3). აღსანიშნავია, რომ რუსულ საეკლესიო გალობაში იგი შეფასებული იყო ფრიადით (5), ხოლო ქართულ საეკლესიო გალობაში – ძალზე კარგით (4). ასე რომ, იოსებ ჯულაშვილს სერიოზული სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული. ამასთან ერთად იოსებ ჯულაშვილმა კარგად იცოდა ისტორია. რუსეთისა და მსოფლიო სამოქალაქო ისტორიაში იგი შეფასებული იყო ძალზე კარგით (4). ისეთი რთული საგანი, როგორც ლოგიკა, იოსებ ჯულაშვილს ასევე ფრიადზე (5) ჰქონდა შესწავლილი.

მამ რა მოხდა? ასეთი სერიოზული სასულიერო განათლების მქონე ახალგაზრდა რატომ განდა რევოლუციონერი? როგორც ჩანს, იოსებ ჯულაშვილს ჯერ კიდევ გორში ცხოვრების პერიოდში სულ უფრო უძლიერდებოდა სოციალური პროტესტის გრძნობა. მას ძალზე მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ქმრისაგან მიტოვებული კეკე ბავშვს უკიდურეს სიღარიბეში ზრდიდა.

იოსებ ჯულაშვილზე არა ნაკლებ დამთრგუნველ გავლენას ახდენდა დედის სოციალური მდგომარეობა (კეკე, ფაქტობრივად, შინამოსამსახურე იყო) და იმისი მუდმივი შეგრძნება, რომ მუდამ ცხოვრების ფსკერზე დარჩებოდა. კიდევ უფრო დამძიმდა იოსებ ჯულაშვილის

მდგომარეობა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ – აქ მას დედის სითბოც მოაკლდა. სემინარიაში ჩარიცხვის დღიდან სულ იმის შიშში იყო, რომ სწავლების გადასახადის გადაუხდელობის გამო არ გაერიცხათ. ცხადია, ყოველივე ამან იოსებ ჯულაშვილში სოციალური პროტესტის გრძნობა გააძლიერა.

იოსებ ჯულაშვილის წინაშე სულ უფრო ცხადად დგებოდა არჩევანის გაკეთების აუცილებლობა: პირველი. მძიმე ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობით გაბოროტებულს ხსნა ეკლესიაში ეპოვა – სულის გადარჩენისათვის ეზრუნა; მეორე. მისთვის სულისშემზუთველი და შეურაცხმყოფელი გარემოს ბრძოლით შეცვლა. ეს, ცხადია, ძალმომრეობასა და სისხლს არ გამორიცხავდა, ანუ ღმერთისაგან განდგომას ნიშნავდა.

იოსებ ჯულაშვილმა მეორე გზა არჩია. წავიდოდა, თუ არ წავიდოდა, ან რა მიზეზით წავიდოდა იგი სემინარიიდან, მნიშვნელობა არ ჰქონდა. სემინარიიდან წასვლის შემდეგ იოსებ ჯულაშვილი ძალიან მალე ღმერთისაგან განდგომილ, ღმერთის უარმყოფელ ადამიანებს (რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებს) დაუკავშირდა და უღმერთო ცხოვრება დაიწყო. ცხადი ხდება: იოსებ ჯულაშვილისათვის უკვე 1899 წლის შუა ხანებისათვის (შეიძლება ცოტა ადრეც) მიუღებელი ყოფილა უფლის მცნებანი:

- „არა კაც ჰკლა“.
- „არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმაც გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ ერთკერძოცა“.
- „გიყუარდედ მტერნი თქუენნი“.

თავი IV. არჩევანი

1899 წლიდან, როგორც აღვნიშნეთ, იოსებ ჯულაშვილი რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებთანაა და აქტიურ არალეგარულ რევოლუციურ საქმიანობას ეწევა. რამ განაპირობა ეს არჩევანი? ჩვენი აზრით, იოსებ ჯულაშვილის არჩევანი შემდეგ მოსაზრებას ემყარებოდა:

პირველი. ილია ჭავჭავაძესთან და „ივერიასთან“ ურთიერთობის პერიოდში იოსებ ჯულაშვილმა ცხადად იგრძნო, რომ ეროვნულ მოძრაობას პიკი უკვე გავლილი ჰქონდა და ქართულ სინამდვილეში იგი მონოპოლიას ვეღარ დაიბრუნებდა. ილია ჭავჭავაძეს შემოეცალნენ ძველი თანამებრძოლები (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვ.), ილიას დიდი ოპოზიცია ჰყავდა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში, გაზეთი „ივერია“ თანდათან კარგავდა ქართული პრესის ფლაგმანის როლს. „კვალი“ ჯერჯერობით წარუმატებლად, მაგრამ ჯიუტად ცდილობდა „ივერიის“ ადგილის დაკავებას. ამათან ერთად ილია ჭავჭავაძეს სამკედრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა დიდი და საშიში ძალა – სოციალ-დემოკრატია. „მესამე დასი“ არ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ილიას ნააზრევისა და ნალვაწის მიმართ. ცხადია, ილია ჭავჭავაძის, „ივერიის“ ბანაკში დარჩენა იოსებ ჯულაშვილს შესაძლებლობას მისცემდა როგორც მწერალსა და პუბლიცისტს თავისი ძალები სრულად გამოეკვლინებინა, მაგრამ იგი როგორც პოლიტიკური მოღვაწე უპერსპექტივო ხდებოდა. მეორე. პოლიტიკურ ასპარეზზე დამკვიდრების თვალსაზრისით პერსპექტიული იყო „მესამე დასი“ შესვლა. იოსებ ჯულაშვილის ნიჭისა და გაქანების ადამიანი იქ, უეჭველია, ლიდერთა შორის მოხვდებოდა. იოსებ ჯულაშვილი ვითარების ყოველმხრივი ზუსტი ანალიზის, პერსპექტივის განჭვრეტის დიდი ნიჭით დააჯილდოვა განგებამ. მან იმთავითვე ზუსტად ამოიცნო, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატის იდეური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, საქართველოს ევროპეიზაციას უჭერდა მხარს. ცოტა მოგვიანებით, 1897 წელს, ნოე ჟორდანიამ პირდაპირ თქვა სათქმელი: „გაევროპილება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა“ (ნოე ჟორდანია. გაზ. „ივერია“ და ეროვნობა. – ნოე ჟორდანია. თხზულებანი. ტ. I. თფილისი, 1920, გვ. 144). იოსებ ჯულაშვილს არც იმის განჭვრეტა გასჭირვებია, რომ იმპერიის მასშტაბით უკვე სერიოზულ ძაღად ქცეული რუსული სოციალ-დემოკრატია საბოლოოდ არ დაუშვებდა იმას, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია დასავლეთ ევროპულ ორიენტაციაზე დარჩენილიყო. „მესამე დასი“ ვერ გაუძლებდა რუსული სოციალ-დემოკრატის შემოტევას და იდეურ კაპიტულაციას მოახდენდა. ცხადია, იოსებ

ჯულაშვილი უპერსპექტივო „მესამე დასში“ შესვლას არ ისურვებდა. მესამე XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებისათვის იოსებ ჯულაშვილს არ გაუჭირდებოდა იმისი დანახვა, რომ რუსეთში სულ უფრო იკრებდა ძალას სოციალ-დემოკრატია. რუსულმა სოციალ-დემოკრატებმა მართალია იდეური და ორგანიზაციული გაერთიანება ემიგრაციაში დაიწყო, მაგრამ მალე ეს მოძრაობა მთელს რუსეთის იმპერიას მოედო. მისი ემისრები XIX საუკუნის დამდეგიდან გამოჩნდნენ საქართველოში, მეტწილად თბილისსა და ბათუმში. ისინი ნელა, მაგრამ დაბეჯითებით მიიწვევდნენ ერთი მიზნისაკენ – საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დამკვიდრებისაკენ. რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებულ რუსი და არარუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატებს ჯერჯერობით არც საერთო არალეგალური ორგანიზაცია ჰქონდათ და არც ბეჭდვითი ორგანო. ისინი დაკავებულნი იყვნენ მუშათა შორის აგიტაციითა და პროპაგანდით. თბილისსა და ბათუმში სწორედ რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალ-დემოკრატმა შექმნეს მუშათა პირველი არალეგალური ჯგუფები და წრეები. ამავე პერიოდში „მესამე დასი“ ძირითადად ლეგალურ მუშაობას მისდევდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები „კვალის“ მეშვეობით ეწეოდნენ სოციალიზმის იდეების პროპაგანდას. ამ ორ (ქართულ და რუსულ) სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონია, ან კავშირი მხოლოდ შემთხვევით ხასიათს ატარებდა. იოსებ ჯულაშვილმა იმთავითვე განჭვრიტა: ძალა და, შესაბამისად, პერსპექტივაც რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ. არჩევანი მარტივი იყო: იოსებ ჯულაშვილი ძლიერისა და პერსპექტივულის მხარეზე დადგა (ვგურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.20-21)

იოსებ ჯულაშვილის შესახებ შემდეგში ბევრი ლეგენდა შეიქმნა. ეს ეხება მისი ცხოვრების ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებს, შემდგომ ხანას. დიდი სახელმწიფო მოღვაწის, პოლიტიკოსის ცხოვრება, მისი ბიოგრაფიის დეტალები და ფიზიკური აღნაგობის ნიუანსებიც კი ძალზე აინტერესებს მომავალ თაობებს. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ბათუმში დაპატიმრების შემდეგ (1902 წელს) ჟანდარმერიაში შედგენილი ორი დოკუმენტი, რომელსაც დელნის ენაზე (რუსულად) ვთავაზობთ მკითხველს. ვნახოთ, რა იცოდა ჟანდარმერიამ იოსებ ჯულაშვილის შესახებ მისი პოლიტიკური ცხოვრების დასაწყისისათვის.

მაშ ასე, იოსებ ჯულაშვილი რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატთა შორისაა. როდის უნდა დაკავშირებოდა იოსებ ჯულაშვილი რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებს? იოსებ ჯულაშვილის ბავშვობის ერთ-ერთი მეგობრის მოგონებაზე დაყრდნობით (ცხადია, ამ მოგონების დამკვეთი თვით იოსებ ჯულაშვილი იყო) მისი ოფიციალური ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ეს მოხდა 1898 წელს (იხ. იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია. მეორე გამოცემა, თბილისი, 1952, გვ. 11-12). 1917 წლის შემდეგ იოსებ ჯულაშვილს პოლიტიკური მიზნებისათვის აუცილებლად სჭირდებოდა მისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისის რაც შეიძლება შორს გადაწევა. საქმე იმაში იყო, რომ საბჭოთა რუსეთის იმ ბოლშევიკ ლიდერთა შორის, რომელთა ასაკი იოსებ ჯულაშვილის ასაკს უტოლდებოდა, ბევრი იყო ისეთი, რომელთაც რევოლუციური მოღვაწეობა XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგსა და შუა ხანებში დაიწყო. ცხადია, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ იოსებ ჯულაშვილისათვის არ იყო სასურველი, რომ მისი რევოლუციური მოღვაწეობის სტაჟი სხვა ბოლშევიკ ლიდერებზე მცირე ყოფილიყო. დოკუმენტარულაა დადასტურებული, რომ იოსებ ჯულაშვილი რუსეთიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატების დავალებით არალეგალურ მუშაობას შეუდგა 1899 წლიდან (სემინარიიდან წასვლის შემდეგ). მაშინ რატომ ცდილობდა იოსებ ჯულაშვილი სიმართლის დამალვას, რას აძლევდა მას რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისის ერთი წლით წინ გადაწევა? იოსებ ჯულაშვილი გამონაკლისი არ იყო. 1917 წლის შემდეგ, უფრო ზუსტად XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ბევრი ბოლშევიკი ლიდერი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რევოლუციური მოღვაწეობა თუ უფრო ადრე არა, 1898 წელს მაინც დაიწყო. საქმე იმაში იყო, რომ 1898 წლის მრატში გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობა. ცხადია, ყველა ბოლშევიკ ლიდერს სურდა ეჩვენებინა, რომ პარტიის შექმნის პერიოდისათვის ის უკვე ეწეოდა არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობას (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.26-27).

თავი V. დაპირისპირება ქართულ სოციალ- დემოკრატიასთან

მაშ ასე: იოსებ ჯულაშვილი რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებს დაუკავშირდა 1899 წელს (სემინარიიდან წასვლის შემდეგ). იმხანად თბილისსა და ბათუმში, ძირითადად კი თბილისში, 10-15 გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატი მოღვაწეობდა. ისინი შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ. საზღვარგარეთ (ჟენევაში) გიორგი პლენხანოვის ხელმძღვანელობით შექმნილ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან (1883 წ.) კავშირში მყოფნი და იული მარტოვისა (ცედერბაუმისა) და ვლადიმერ ლენინის (ულიანოვის) ხელმძღვანელობით შექმნილი „პეტერბურგის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ (1895 წ.) მოღვაწეები. ზოგიერთი გადმოსახლებული კავშირში იყო როგორც გიორგი პლენხანოვთან, ისე ვლადიმერ ლენინთან. კონკრეტულად 1899 წლის შუა ხანებისათვის თბილისში არალეგალურ მუშაობას ეწეოდნენ: გიორგი ფრანჩესკი, იპოლიტე ფრანჩესკი, ოსიპ კოვანი, ივანე ლუზინი, ნიკოლოზ კოზერენკო, ვიქტორ კურნატოვსკი, ივანე ლევაშკევიჩი, ნიკოლოზ პოლუტაევი, ნიკოლოზ ბოგორაზი და სხვ. (ვ. გურული, ვ. ვაჩნაძე. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918). თბილისი, 1999, გვ. 48-49).

იოსებ ჯულაშვილის თბილისში მოღვაწე რუს სოციალ-დემოკრატებთან დაკავშირება ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამ უკანასკნელთათვის (ცხადია, ეს თავად იოსებ ჯულაშვილმაც კარგად უწყოდა). თბილისში მოღვაწე რუსი და არარუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატებს ჰაერივით სჭირდებოდა ქართველი სოციალ-დემოკრატი, რომელიც ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციას „მესამე დასსა“ და მათ ორგანოს გაზეთ „კვალს“ დაუპირისპირდებოდა (გიორგი წერეთელმა გაზეთი „კვალი“ 1898 წლის იანვრიდან მესამე დასელებს გადასცა, ამ დროიდან გაზეთს ნოე ყორღანი რედაქტორობდა). რუს სოციალ-დემოკრატებს გიორგი პლენხანოვისა და ვლადიმერ ლენინისაგან მიღებული ჰქონდათ მითითება: „მესამე დასს“, როგორც დამოუკიდებელ

ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, არსებობა უნდა შეეწყვიტა და იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ (რეგიონალურ) ორგანიზაციად ქცეულიყო. თავის დროზე „მესამე დასმა“ მონაწილეობა არ მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის I ყრილობის (1898 წ.) მუშაობაში და არც ამ ყრილობის გადაწყვეტილებებს ცნობდა. ეს კი სერიოზულად აფერხებდა მთელ რუსეთის იმპერიაში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთ პარტიაში გაერთიანებას, პლენაროვ-ლენინის გეგმის რეალიზებას. იყო მეორე მომენტი, რომელიც ასევე ზრდიდა იოსებ ჯულაშვილის როლს. რუს სოციალ-დემოკრატებს მუდმივად ჰქონდათ ენობრივი ბარიერის პრობლემა. „მესამე დასის“ წევრთა ნაბეჭდი პროდუქციის წაკითხვა და შეფასება ქართული ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, თბილისის მუშების აბსოლუტური უმრავლესობა სოფლებიდან ახალი ჩამოსული იყო და მათ შორის აგიტაცია მხოლოდ ქართულ ენაზე შეიძლებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ იოსებ ჯულაშვილს ერთდროულად რამდენიმე მუშათა წრე ჩააბარეს.

1899 წლიდან დაიწყო იოსებ ჯულაშვილის დაპირისპირება „მესამე დასთან“ და მის გამოჩენილ მოღვაწეებთან: ნოე ჟორდანიასთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან და სხვებთან. ეს შეურიგებელი იდეური ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ იოსებ ჯულაშვილი რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა და, საბოლოო ჯამში, გიორგი პლენაროვმა და ვლადიმერ ლენინმა გამოიყენეს. სინამდვილეში ეს ასე არ იყო. იოსებ ჯულაშვილი შორს გამიზნული გეგმით მოქმედებდა. მან თავისი ბედი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას დაუკავშირა. საქართველოში გაპირველკაცება, ანუ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერობა, აუცილებლად მოითხოვდა „მესამე დასის“ იდეურ და ორგანიზაციულ განადგურებას, მის დაქვემდებარებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისადმი. „მესამე დასსა“ და მის ლიდერებს (ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძეს, ნიკოლოზ ჩხეიძეს, ვლადიმერ დარჩიაშვილს) იოსებ ჯულაშვილი რუსი სოციალ-დემოკრატების დახმარების გარეშე ვერ დაუპირისპირდებოდა. თუ პლენაროვ-ლენინის გეგმა შესრულდებოდა („მესამე დასი“ ან დაიშლებოდა, ან იდეურ კაპიტულაციას მიახდენდა), საქართველოს სოციალ-დემოკრატის ლიდერი იოსებ ჯულაშვილი ხდებოდა, რადგან რუსეთიდან გადმოსახლებულ რუსი

და არარუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატებს ამის პრეტენზია არ შეიძლებოდა ჰქონოდათ. რუს სოციალ-დემოკრატებთან კავშირში მყოფი სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატები (მირითადად, მუშები) ნიჭითა და გაქანებით იოსებ ჯულაშვილს ვერ შეედრებოდნენ, მას კონკურენციას ვერ გაუწევდნენ (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.29).

ქართული სოციალ-დემოკრატის, „მესამე დასის“ აღიარებულმა ლიდერმა ნოე ჟორდანიამ თავის დროზე ვერ შენიშნა სრულიად უცნობი სემინარიელისაგან მომდინარე სამიშროება. ნოე ჟორდანიამ კარგად უწყოდა როგორც პლენხანოვ-ლენინის გეგმისა, ისე თბილისში მყოფი რუსი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ, ცხადია, არ იცოდა, რომ იოსებ ჯულაშვილის რუს სოციალ-დემოკრატებთან მისვლისთანავე „მესამე დასის“ წინააღმდეგ ბრძოლამ სულ სხვა შინაარსი შეიძინა. ამ ბრძოლას უკვე ხელმძღვანელობდა არა რუსეთიდან გადმოსახლებული უცხოტომელი, არამედ ქართველი, მეტად გონიერი, უფრო შორსმჭვრეტელი, უფრო მიზანდასახული და უფრო დაუნდობელი.

უსაშველო იდეალისტი ნოე ჟორდანია დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობდა, უსაშველო პრაგმატიკოსი იოსებ ჯულაშვილი დინების მიმართულებით. ორი ქართველის დაპირისპირების საბოლოო შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი. თუმცა ნოე ჟორდანიაც ქართველი იყო, მასაც შეეძლო მეორე ქართველი დაუნდობლად გაეწირა. დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობა ნოე ჟორდანიამ რამდენიმე მწარე მარცხი მაინც აგება იოსებ ჯულაშვილს. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

იოსებ ჯულაშვილმა რუსი სოციალ-დემოკრატების იმედები გაამართლა. 1899 წელს მან წარმოუდგენლად დიდი სამუშაო შეასრულა – შეადგინა მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრის მეცადინეობის პროგრამა. ეს გეგმა (უფრო ზუსტად მისი ერთი ეგზემპლარი) ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელში და ასე აღმოჩნდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს არქივში (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 153, აღწერა 2, საქმე 301, ფურცლები 371-379; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 20-26; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.30).

იოსებ ჯულაშვილის მიერ 1899 წელს შედგენილი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრის მეცადინეობის პროგრამა სუთი თემისაგან (განყლფილებისაგან) შედგება: I. საზოგადოებათმცოდნეობა, II. ფილოსოფიური მემკვიდრეობა, III. პოლიტიკური ეკონომია, IV. ისტორია, V. მრეწველობა: ა) მრეწველობის ისტორია, ბ) მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა. ყოველ თემას მითითებული აქვს შესაბამისი ლიტერატურა. სულ სუთივე თემის ლიტერატურა 183 დასახელებისაგან შედგება. ლიტერატურის სიაში წარმოდგენილია ცნობილი სოციალისტების: კარლ მარქსის, ფრდრიხ ენგელსის, გიორგი პლენხანოვის, პეტრე სტრუვეს, ელჰარდ ბერნშტაინის, კარლ კაუცკის, მიხეილ ტუგან-ბარანოვსკის, ემილ ვანდერველდეს, ვლადიმერ ლენინის, პოლ ლაფარგის ნაშრომები, ასევე ცნობილი რუსი მეცნიერების (ისტორიკოსების, იურისტების, ეკონომისტების და სხვ.) გამოკვლევები, უცხოელ მეცნიერთა შრომები. გარდა ცალკე გამოცემებისა (წიგნებისა და ბროშურებისა), ლიტერატურის სიაში მითითებულია რამდენიმე ჟურნალი, მათ შორის საზღვარგარეთ გამოძავალი (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 153, აღწერა 2, საქმე 301, ფურცლები 371-379; ვ. გურული. იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის. 1878-1907. თბილისი, 1998, გვ. 20-26; ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.29).

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უტყუარი ცნობა ჰქონდა იმის შესახებ, რომ მეცადინეობის პროგრამა იოსებ ჯულაშვილის მიერ იყო შედგენილი (კონსპირაციულ შეკრებას, სადაც იოსებ ჯულაშვილს მეცადინეობის პროგრამის შედგენა დაევალა, რუს სოციალ-დემოკრატთა შორის დანერგილი ჟანდარმერიის აგენტი ესწრებოდა), მაგრამ ჟანდარმერიას არ გააჩნდა პირადად იოსებ ჯულაშვილის ხელით დაწერილი ტექსტი, რაც დაპატიმრების შემთხვევაში იოსებ ჯულაშვილს თავის დაცვას გაუადვილებდა (იოსებ ჯულაშვილი ხელნაწერის სახით სამხილს არ ტოვებდა. იგი არალეგალურ გაზეთში დასაბეჭდ მასალაც კი ან პირდაპირ თვითონ კარნახობდა ასოთამწეობს, ან რედაქციას სხვისი ხელით გადაწერილ ტექსტს უგზავნიდა). მთავარი მაინც ის იყო, რომ იოსებ ჯულაშვილი არალეგარულად ცხოვრობდა, მისი შეპყრობა კი ჟანდარმერიას ძალზე უჭირდა.

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ იოსებ ჯულაშვილის მიერ შედგენილი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრის მეცადინეობის პროგრამა, შესაბამისი წერილითურთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს გადაუგზავნა. შექების მოლოდინში მყოფმა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა მალე საიდუმლო წერილი მიიღო. პოლიციის დეპარტამენტი ითხოვდა: 1) პროგრამის შემდგენელი სასწრაფოდ შეიპყარით და დაჰკითხეთ; 2) თუ ეს უახლოეს ხანებში შეუძლებელია, დაადგინეთ, რა გზით შემოდიოდა თბილისში ამდენი აკრძალული წიგნი და ჟურნალი. ვერც ერთი დავალება თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ ვერ შეასრულა. სამმართველოს უფროსმა თავი ასე იმართლა: 1) იოსებ ჯულაშვილი ჟანდარმერიის ყველა აგენტს კარგად იცნობს, რის გამო ისედაც დაბალ კვალიფიკაციის აგენტები მის კვალს ვერ აგნებენო, 2) არალეგალური ლიტერატურა თბილისში ალბათ სხვადასხვა საფოსტო გზავნილებით (ამანათებით, ბანდეროლებით და სხვ.) შემოდის, რომლის გაჩხრეკის უფლება სპეციალური ნებართვის გარეშე ჩვენ არა გვაქვსო (ვგურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.31).

ეს იყო პირველი თავსატეხი, რომელიც იოსებ ჯულაშვილმა პოლიციის დეპარტამენტსა და თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს გაუჩინა.

პლენხანოვ-ლენინის გეგმის მიხედვით ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „მესამე დასის“ განადგურებისათვის აუცილებელი იყო თბილისისა და ბათუმში რუსი სოციალ-დემოკრატების იდეური ხელმძღვანელობით მოქმედი მუშათა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეების გაერთიანება საერთო-საქალაქო ორგანიზაციებად – რსდმპ თბილისის კომიტეტად და რსდმპ ბათუმის კომიტეტად. ეს, ცხადია, შეარყევდა „მესამე დასის“, როგორც საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, ავტორიტეტს. აუცილებელი იყო „მესამე დასის“ ბეჭდვითი ორგანოს – გაზეთ „კვალის“ მონოპოლიის შეზღუდვა და პლენხანოვ-ლენინის იდეურ პოზიციაზე მდგარი არალეგალური გაზეთის გამოცემა. 1900-1901 წლებში თბილისში მიმდინარე მუდმივი რეპრესიებისა და დაპატიმრებების მიუხედავად იოსებ ჯულაშვილმა ორივე დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. 1901 წლის სექტემბერში იოსებ ჯულაშვილის ხელმძღვანელობით გამოვიდა არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“,

ზოლო 1901 წლის ნოემბერში შეიქმნა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, რომელიც 1901 წლის დეკემბრიდან რსდმპ თბილისის კომიტეტად გარდაიქმნა. ცოტა მოგვიანებით, ბათუმში გადასვლის შემდეგ, 1902 წლის გაზაფხულზე, იოსებ ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა რსდმპ ბათუმის კომიტეტი. ამ სამმა მოვლენამ შოკში ჩააგდო „მესამე დასი“ და განსაკუთრებით მისი ლიდერი ნოე ჟორდანიას, რომელიც რსდმპ თბილისის კომიტეტის შექმნის დროს მეტეხის საპრობილეში იმყოფებოდა. ნოე ჟორდანიას არც მალავდა, რომ მან ვერ გაიგო, ვინ შექმნა რსდმპ თბილისის კომიტეტი, რა ძალა მოქმედებდა თბილისში. კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა იყო ნოე ჟორდანიასათვის გაზეთ „ბრძოლის“ გამოვლანა, რომელიც აშკარად უარყოფდა იმას, რის დამკვიდრებასაც ნოე ჟორდანიას და მისი თანამოაზრეები 1892-1893 წლებიდან ცდილობდნენ.

იოსებ ჯუღაშვილის გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა, იგი საგულდაგულოდ ემზადებოდა. 1901 წლისათვის იოსებ ჯუღაშვილს აღარც სჭირდებოდა საქართველოში გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერა. მას უკვე ქართველთაგან შეექმნა არალეგალურად მოქმედი ძლიერი ბირთვი. იოსებ ჯუღაშვილის იმჟამინდელი თანამებრძოლები იყვნენ: ვასილ ცაბაძე, სევერიან ჯუღელი, სიმონ ჯუღელი, ზაქარია ჩოდრიშვილი, მოსე შენგელია, პოლიკარპე მაჭარაძე, კალისტრატე გოგუა, გიორგი ნინუა, მიხეილ გურეშიძე და სხვები. იყვნენ რუსებიც (პეტრე სკორობოგატკო, სერგეი სტროსტენკო, ალექსი ნიკონოროვი, ლეონტი ზოლოტარევი, ნიკიფორე სემენოვი) და სომხებიც (გიორგი ყარაჯიანცი, ოვანეს უნანიანცი).

რსდმპ თბილისის კომიტეტმა დაიქვემდებარა ქალაქში არალეგალურად მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებიცაა წრეები. იმ პერიოდისათვის თბილისელ მუშებში ყველაზე პოპულარული იყო გაზეთი „კვალი“. გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემით „კვალის“ მონოპოლია სერიოზულად შეირყა. „მესამე დასი“ იზოლირებული აღმოჩნდა თბილისელი მუშებისაგან. ეს იოსებ ჯუღაშვილის დიდი გამარჯვება იყო.

ყველაზე დიდი დარტყმა „მესამე დასისათვის“ მანც გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემა იყო. გაზეთ „ბრძოლის“ პირველ ნომერს (1901 წლის სექტემბერი) სახელწოდების ქვეშ აქვს წარწერა: „პერიოდული გამოცემა რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასისა“. როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში არსებულ უკვე

ერთ დასს – „მესამე დასს“ – იოსებ ჯულაშვილმა დაუპირისპირა ახალი დასი – “რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“. ე. ი. იოსებ ჯულაშვილი „მესამე დასს“ არც სოციალ-დემოკრატიულად თვლიდა და არც რევოლუციურად. გაზეთ „ბრძოლის“ მეორე და მესამე ნომერი (1901 წლის ნოემბერ-დეკემბერი) ერთად გამოვიდა. გაზეთის სახელწოდების ქვეშ არსებული წარწერა არ შეცვლილა. მალე გამოვიდა გაზეთ „ბრძოლის“ ცალკე დამატება. იგი დათარიღებულია 1901 წლის ნოემბერ-დეკემბრით. გაზეთს სახელწოდების ზემოთ აქვს წარწერა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“. ე. ი. „ბრძოლა“ უკვე რსდმპ გაზეთი იყო. გაზეთ „ბრძოლის“ მეოთხე ნომერს, რომელიც 1902 წლის დეკემბერში გამოვიდა, სახელწოდების ზემოთ ისევ აქვს წარწერა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“. სახელწოდების ქვემოთ დამატებული აქვს: „ორგანო ქართველ სოციალ-დემოკრატთა დასისა“.

მაშ, რაღას წარმოადგენდა „მესამე დასი“? იდეურად და ორგანიზაციულად იგი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ვეღარ ხელმძღვანელობდა. ეს იყო „მესამე დასის“ ფაქტობრივი ლიკვიდაცია. იურიდიულად „მესამე დასის“ ლიკვიდაცია მოხდა 1903 წლის მარტში, როცა მან მონაწილეობა მიიღო პლენაროვ-ლენინის გეგმით გათვალისწინებული რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნაში. მიუხედავად იდეური და ორგანიზაციული ლიკვიდაციისა სახელწოდება „მესამე დასი“, ისევე როგორც „მესამედასელები“ ქართულ სინამდვილეში დიდხანს შემორჩა, როგორც ქართველ სოციალ-დემოკრატთა სინონიმი (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.33).

საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „მესამე დასის“ იდეური და ორგანიზაციული განადგურება და საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის (პლენაროვ-ლენინის) გეგმის განხორციელება იყო პირველი დიდი გამარჯვება იოსებ ჯულაშვილის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში.

ქართული სოციალ-დემოკრატია იდეურად ძალზე ძლიერი იყო. გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემა სწორედ ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეურ განადგურებას ისახავდა მიზნად. იოსებ ჯულაშვილის მიზანს იმდენად ნოე ჟორდანias შეხედულებათა კრიტიკა კი არ წარმოადგენდა., არამედ ის, რომ ქართველი მუშებისათვის დაემტკიცებინა ნოე ჟორდანias შეხედულებათა

დამღუპველობა. ამისათვის კი ღრმა და სერიოზული კრიტიკა არ იყო საჭირო. მუშათა აუდიტორიას არც აინტერესებდა და ძალიანაც რომ მოეწონებინა, ვერც გაერკვეოდა, ვინ იყო მართალი ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯულაშვილის პოლემიკაში. ამ შემთხვევაში მეცნიერულ არგუმენტაციაზე უფრო მომგებიანი დემაგოგია იყო. მთელი სოციალისტური მოძღვრება, მათ შორის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიაც, დემაგოგიის დიდი ღოზით არის გაფერებული. ევროპელი თუ რუსი სოციალისტები გულმხურვალე რევოლუციონერებად რომ ასალებდნენ თავს, სინამდვილეში ძალზე იაფფასიანი დემაგოგები იყვნენ. ამ თვალსაზრისით იოსებ ჯულაშვილი მათი მოწაფე არ ყოფილა. იგი მასწავლებლებს ბევრად აღემატებოდა. იოსებ ჯულაშვილთან შედარებით ევროპელი და რუსი დემაგოგი სოციალისტები საწყალ არსებებად გამოიყურებოდნენ (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.33).

გაზეთ „ბრძოლის“ პირველ ნომერში (1901 წლის სექტემბერი) დაბეჭდილი მოწინავე („რედაქტორისაგან“) იოსებ ჯულაშვილის მიერ იყო დაწერილი. ამ პატარა წერილში იოსებ ჯულაშვილმა თავდაყირა დააყენა „მესამე დასისა“ და მისი ლიდერების, განსაკუთრებით ნოე ჟორდანიას, ნააზრევი. რასაც გაზეთი „კვალი“ წლების მანძილზე ჩასჩინებდა ქართველ მუშებს, იოსებ ჯულაშვილმა ერთი ხელის მოსმით გაატანა წყალს. „რედაქციისაგან“ დაწერილი იყო, ისეთი გამართული, კარგი ქართულით, რომლის მსგავსსაც ვერ იპოვით XX საუკუნის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწერებში.

წერილის დასაწყისშივე იოსებ ჯულაშვილი სავსებით უგულვებელყოფს “მესამე დასის” როლს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელების საქმეში. ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი ყრილობა (კონფერენცია) გაიმართა 1892 წელს, ხოლო ორგანიზაციის პროგრამა მიიღეს მეორე ყრილობაზე 1893 წელს. 1893-1895 წლებში „მესამე დასის“ წევრებს ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძეს და სხვებს საყურადღებო წერილები ჰქონდათ გამოქვეყნებული ჟურნალ „მოამბესა“ და გაზეთ „კვალი“ში. მიუხედავად ამისა, იოსებ ჯულაშვილი სრულიად გარკვევით წერს: “საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ხნიერი არ არის, სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ის წარმოიშვა. დანამდვილებით რომ ითქვას, საძირკველი ამ

მოდრაობისა მხოლოდ 1896 წელს ჩაიყარა“ (იხ. იოსებ სტალინი. რედაქციისაგან. – ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1. 1901-1907. თბილისი, 1947, გვ. 3-4). 1896 წელს იოსებ ჯულაშვილი იმიტომ უთითებს, რომ „მესამე დასის“ მოღვაწეობას (საპროგრამო და პუბლიცისტურ წერილებს) არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

„მესამე დასი“, მისი ლიდერი ნოე ჟორდანია, ასევე სილიბისტრო ჯიბლაძე, პეტრე გელეიშვილი, ვლადიმერ დარჩიაშვილი და სხვები სოციალ-დემოკრატიულ იდეებს ლეგალური გამოცემებით, პირველ რიგში გაზეთ „კვალით“ ავრცელებდნენ. იოსებ ჯულაშვილი სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას მხოლოდ არალეგალურ ჯგუფებსა და წრეებში მუშაობით (აგიტაციითა და პროპაგანდით) თვლიდა შესაძლებლად. სოციალ-დემოკრატთა ლეგალურ მუშაობას იგი აგდებით, ირონიით იხსენიებს: „ზოგიერთი გულუბრყვილო მკითხველის საყურადღებოდა საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ ლეგალურ გაზეთზე. ჩვენ დიდ შეცდომად ჩავთვლით, თუ რომელიმე მუშა ლეგალურ გაზეთს, რა პირობებითაც არ უნდა იყოს იგი გარემოცული, რა მიმართულებასაც არ უნდა ადგეს იგი, ჩასთვლის თავისი, მუშის, ინტერესების გამომხატველად“ (იქვე, გვ. 5). ცხადია, იოსებ ჯულაშვილს, პირველ რიგში, გაზეთი „კვალი“ ჰქონდა მხედველობაში. ისევე „კვალის“ წინააღმდეგაა მიმართული იოსებ ჯულაშვილის შემდეგი სიტყვები: „ამ პირობებში, რა თქმა უნდა, გაზეთი ვერ მოეწყობა სასურველად, და მუშა ტყუილად დაუწყებს ძებნას მასში, თუნდაც სტრიქონთა შუაც, მისი საქმის შესახებ ცნობებს და სწორ შეხედულებას“ (იქვე, გვ. 5-6).

ნოე ჟორდანია მიიჩნევდა, რომ „მესამე დასი“ უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, დამოუკიდებელი პროგრამით და ორგანიზაციით, ანუ მას არ უნდა ელიარებინა რსდმპ პროგრამა და წესდება და არ უნდა ქცულიყო რსდმპ ადგილობრივ (რეგიონალურ) ორგანიზაციად. იოსებ ჯულაშვილი სწორედ ამ უმთავრესს ებრძოდა „მესამე დასში“. გაზეთ „ბრძოლის“ მოწინავეში კვითხულობთ: „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მამასადაძე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ (იქვე, გვ. 6). იოსებ

ჯულაშვილისათვის კარგად იყო ცნობილი ქართული სოციალ-დემოკრატიის („მესამე დასის“) და პირადად ნოე ჟორდანიას ევროპული ორიენტაცია. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი ხაზგასმით აღნიშნავს: ქართული სოციალ-დემოკრატია „ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მამასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ (იქვე, გვ. 6).

და ბოლოს. ნოე ჟორდანია წინააღმდეგი იყო რევოლუციისა და სისხლის ღვრისა. დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის მსგავსად იგი სოციალიზმის დამყარებას მშვიდობიან დემოკრატიულ პროცესებს უკავშირებდა, ხაზს არ უსვამდა მუშათა კლასის განსაკუთრებულ მისიას. სწორედ ასეთი შეხედულების გაქარწყლებას იხსენებდა მიზნად იოსებ ჯულაშვილი: „მეტად მიგვაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ რუსეთშიც, და საზოგადოდ ყველგან, მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი არის ისტორიისაგან ამორჩეული როგორც განმათავისუფლებელი კაცობრიობისა და ქვეყნად ბენდიერების დამამკვიდრებელი“ (იქვე, გვ. 7). იოსებ ჯულაშვილი ისევ და ისევ ნოე ჟორდანიას მიერ ბურჟუაზიის პროგრესული როლის შესახებ ადრე გამოთქმული შეხედულების საწინააღმდეგოდ აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია ვერ დაუშვებს „ბურჟუაზიასთან კავშირ-კომპრომისებს“. „ბრძოლა“ მოწინავე მუშებს იგი ასე აფრთხილებდა: „არ უნდა დავივიწყოთ სოციალ-დემოკრატიული პრინციპები და რევოლუციური საშუალება ბრძოლისა“ (იქვე, გვ. 8). მოწინავეში აღნიშნულია, რომ „ბრძოლა“ თავის მისიად მიიჩნევს: „თავის დროზე მოუწოდოს ქართველ მუშას ბრძოლის ველზე“ (იქვე, გვ. 9).

ნოე ჟორდანია მიხვდა, რომ იგი კვლავ დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობდა – „მესამე დასი“ განწირული ჩანდა. იოსებ ჯულაშვილი წალეკვით ემუქრებოდა ყველაფერს, რასაც ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრეები ქართულ სინამდვილეში ნერგავდნენ. ძალა აშკარად იოსებ ჯულაშვილის მხარეზე იყო. ნოე ჟორდანია იმასაც გრძნობდა, რომ გაზეთ „ბრძოლის“ შემდეგი ნომრები მას ახალ სიურპრიზებს შესთავაზებდა, იოსებ ჯულაშვილი ღიდ თამაშს იწყებდა და მიღწეულით არ დაკმაყოფილდებოდა. ნოე ჟორდანია მიხვდა, რომ მას ორი გზა რჩებოდა: პირველი. „მესამე დასის“ იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დაცვა და მოახლოებული აღსასრულის ღირსეულად დახვედრა, რაც ქართულ სოციალ-დემოკრატიაში იოსებ ჯულაშვილის უპირობო

გაპირველკაცებას ნიშნავდა. მეორე. „მესამე დასი“ რეალობას უნდა შეეუბნოდა და პლენხანოვ-ლენინის გეგმის თანახმად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილი (რეგიონალური ორგანიზაცია) გამხდარიყო. თუ რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები (გიორგი პლენხანოვი, ვლადიმერ ლენინი) ნოე ჟორდანიას ასეთ გადაწყვეტილებას დაუფასებდნენ, მაშინ ამ უკანასკნელს კიდევ რჩებოდა შანსი, არ დაეშვა ქართულ სოციალ-დემოკრატიაში იოსებ ჯულაშვილის გაპირველკაცება. ნოე ჟორდანიამ მეორე გზა აირჩია. ასე დაიწყო იოსებ ჯულაშვილისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირების ახალი ეტაპი, რომელიც 1917 წლამდე გაგრძელდა. ეს დაპირისპირება ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და საბოლოოდ იოსებ ჯულაშვილის გამარჯვებით დასრულდა.

გაზეთ „ბრძოლის“ მორიგმა ნომერმა (მე-2 და მე-3 ნომრები ერთად გამოვიდა), რომელსაც გამოსვლის თარიღად 1901 წლის ნოემბერ-დეკემბერი უზის, კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა მიაყენა „მესამე დასს“. ამ ნომერში დაიბეჭდა იოსებ ჯულაშვილის წერილი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“. წერილში იოსებ ჯულაშვილმა მთლიანად უარყო „მესამე დასის“, კერძოდ, მისი ლიდერების (ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ვიბლაძე და სხვ.) შეხედულება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიც იყო: სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანი, მიზნის მიღწევის სტრატეგია და ტაქტიკა, პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა, პოლიტიკური პარტიის მიზანი, მუშათა კლასის მისია, კლასობრივი (სოციალური) ბრძოლის შინაარსი და ფორმები (იხ. იოსებ სტალინი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები. – ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1. 1901-1907. თბილისი, 1947, გვ. 11-31).

იოსებ ჯულაშვილის შეხედულებები მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

პირველი. სოციალ-დემოკრატიის საბოლოო მიზანია რევოლუციის გზით მოსპოს ბურჟუაზიული წყობილება და დაამყაროს სოციალიზმი.

მეორე. რევოლუციის გზით ბურჟუაზიული წყობილების მოსპობა უნდა განახორციელოს მუშათა კლასმა (პროლეტარიატმა).

მესამე. მუშათა კლასი რევოლუციისათვის იდეურად და ორგანიზაციულად უნდა მოამზადოს სოციალ-დემოკრატამ.

მეოთხე. რევოლუციის განსახორციელებლად აუცილებელია ღრმად კონსპირირებული, იატაკქვეშა, საიდუმლო სექტის პრინციპზე აგებული პოლიტიკური პარტია.

მეხუთე. მუშათა კლასი უნდა აწარმოებდეს ბრძოლას პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის და რეფორმების გზით ეკონომიკური მდგომარების გაუმჯობესებისათვის. სანამ მუშათა კლასი პოლიტიკური პარტიის წინამძღოლობით არ დაამხობს ბურჟუაზიულ წყობილებას და არ დაიპყრობს პოლიტიკურ ძალაუფლებას, იგი ადამიანურ ცხოვრებას ვერ ეღირსება.

მექექსე. პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის რევოლუციურ ბრძოლაში მუშათა კლასის მოკავშირეა გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია, ასევე რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ჩაგრული ერები.

მეშვიდე. რუსეთის მუშათა კლასის და მისი პოლიტიკური პარტიის უახლოესი ამოცანაა მონარქიული წყობილების (თვითმპყრობელობის) დამხობა და დემოკრატიული წყობილების დამყარება, ესაა გზა სოციალისტური წყობილებისაკენ.

იოსებ ჯულაშვილის „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანების“ მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. ამ ნაშრომს იმაზე გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე “მესამე დასის“ და მისი ლიდერის ნოე ჟორდანიას დასამარება. იმხანად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები (გიორგი პლენხანოვი, ვლადიმერ ლენინი, იული მარტოვი და სხვ.) ცდილობდნენ განესაზღვრათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიზნები და ამოცანები, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის როლი და ადგილი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, სოციალიზმისათვის ბრძოლის ეტაპები, მუშათა კლასის ბრძოლის ფორმები, პოლიტიკური პარტიის იდეური პლატფორმა და ორგანიზაციული სტრუქტურა და ა. შ. მიმდინარეობდა გაუთავებელი, უაზრო და არაფრის მომტანი პოლემიკა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები შორს იყვნენ მიზნისაგან. ასეთ ვითარებაში იბეჭდება იოსებ ჯულაშვილის ნაშრომი, რომელშიც ავტორმა არა მუშათა კლასს, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს გასაგები ენით, ლოგიკური თანმიმდევრობით და მარტივად აუხსნა მათთვის ძალზე რთული საკითხები. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები იმდენად უსუსურები იყვნენ, რომ ერთ-ერთმა მათგანმა –

ვლადიმერ ლენინმა – 1902 წელს დაწერილ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ ყველაფერი ისევ თავდაყირა დააყენა. ის, რაც იოსებ ჯულაშვილმა ლოგიკური თანმიმდევრობით და მარტივად ახსნა, ვლადიმერ ლენინმა ისე არივ-დარია, რომ თავისა და ბოლოს გარჩევა ჭირდა.

ნოე ჟორდანიას ცხადად უნდა ეგრძნო (და ალბათ იგრძნო კიდევც), რომ ნაშრომით „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ იოსებ ჯულაშვილი არა მარტო საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში გაპირველკაცდა, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატის ლიდერთა შორისაც დაიკავა ადგილი. ამან დააჩქარა ნოე ჟორდანიას გადაწყვეტილება პლენუმზე-ლენინთან შეთანხმების შესახებ. ნოე ჟორდანიას ჩქარობდა: რუსეთის სოციალ-დემოკრატის ლიდერთა შორის იოსებ ჯულაშვილის დამკვიდრება მისი პოლიტიკური კარიერის დასასრულს ნიშნავდა. ჯერ კიდევ რჩებოდა შანსი. საქმე იმაში იყო, რომ 1901-1903 წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატის ლიდერები სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის დიდ მუშაობას აწარმოებდნენ. რსდმპ II ყრილობას უნდა მიეღო პარტიის წესდება და პროგრამა. ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა გადაწყვეტილიყო „მესამე დასის“ ბედიც. იოსებ ჯულაშვილის აქტიური მხარდაჭერით დაიმედებული გიორგი პლენუმის და ვლადიმერ ლენინი არ დაუშვებდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის – „მესამე დასის“ – რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ავტონომიური უფლებებით შესვლას. ნოე ჟორდანიას დათანხმდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ადგილობრივი (რეგიონალური) ორგანიზაციის უფლებით შევიდოდა რსდმპ თბილისისა და რსდმპ ბათუმის კომიტეტი. თავისი პოზიცია ნოე ჟორდანიამ ოფიციალურად დაადასტურა რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობაზე (1903 წლის მარტი). ამიერიდან „მესამე დასი“ და გაზეთი „კვალნი“ აღარ განსაზღვრავდა ქართული სოციალ-დემოკრატის სახეს. რუსეთის სოციალ-დემოკრატის ლიდერთათვის ქართული სოციალ-დემოკრატის იოსებ ჯულაშვილი და გაზეთი „ბრძოლის“ ბანაკი წარმოადგენდა (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.39).

ნოე ჟორდანიას იდეური კაპიტულაცია საკმარისი არ აღმოჩნდა რსდმპ II ყრილობის დელეგატის მანდატის მისაღებად. რსდმპ კავკასიის კავშირმა იოსებ ჯულაშვილის წყალობით ნოე

ჟორდანია ყრილობის დელეგატად არ აირჩია. ყრილობის დელეგატი ვერც იოსებ ჯულაშვილი გახდა. იგი დელეგატთა არჩევნების დროს საპრობილეში იმყოფებოდა. შემთხვევის წყალობით ემიგრაციაში მყოფი ნოე ჟორდანია 1903 წელს რსდმპ II ყრილობის მუშაობას მაინც დაესწრო სათათბირო ხმით.

თავი VI. ქართული ეროვნული მოძრაობის შეფასება

იოსებ ჯულაშვილს გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა ის, რომ ნოე ჟორდანია რსდმპ II ყრილობის დელეგატი იყო. კიდევ უფრო დიდ უხერხულობას უქმნიდა ის, რომ ნოე ჟორდანია ყრილობაზე ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერად მიიღეს. ასეთ წარუმატებლობებს იოსებ ჯულაშვილი არ უშინდებოდა. 1904 წლის 5 იანვარს იოსებ ჯულაშვილი აღმოსავლეთი ციმბირის გადასახლებიდან გამოიქცა და იმავე წლის გაზაფხულზე ბაქოს გავლით თბილისში დაბრუნდა. ვითარება თბილისში იოსებ ჯულაშვილის საზიანოდ შეცვლილიყო.

რსდმპ II ყრილობაზე (1903 წლის ივლის-აგვისტო) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია კი შეიქმნა (წესდება და პროგრამა მიიღეს, ხელმძღვანელი ორგანოები აირჩიეს), მაგრამ იმთავითვე პარტია ორ ფრაქციად – მენშევიკებად (უმცირესობად) და ბოლშევიკებად (უმრავლესობად) აღმოჩნდა გათიშული. ეს გათიშვა განსაკუთრებით გაძლიერდა ყრილობის შემდეგ. მენშევიკების ლიდერი გიორგი პლესანოვი იყო, ბოლშევიკებისა – ვლადიმერ ლენინი. დაიწყო მწვავე ფრაქციული ბრძოლები. ქართული სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს, რომელიც ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა “მესამე დასის“ პროგრამაში ჩამოაყალიბეს (1892-1893 წწ.) და 1893-1897 წლებში განავითარეს, მთლიანად უარყოფდა ბოლშევიზმი. მენშევიზმი ეროვნულ საკითხში და ეროვნულ სოციალ-დემოკრატიასთან დამოკიდებულებაში არაფრით განსხვავდებოდა ბოლშევიზმიდან, მაგრამ ზოგიერთ სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხში მცირე თანხვედრა ჰქონდა ქართულ სოციალ-დემოკრატიასთან. ამის გამო ნოე ჟორდანიამ რსდმპ II ყრილობაზე მენშევიკებს დაუჭირა მხარი და ყრილობის შემდეგ მენშევიზმის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ თეორეტიკოსად მოგვევლინა. რსდმპ II ყრილობაზე ცხადი გახდა,

რომ ბოლშევიზმი იმ სტრატეგიასა და ტაქტიკას იზიარებდა, რომელიც იოსებ ჯულაშვილმა ჯერ კიდევ 1901 წელს ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში „რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი უახლოესი ამოცანები“. ცხადია, იოსებ ჯულაშვილი ბოლშევიკებს მიემხრო და ყრილობის შემდეგ ბოლშევიზმის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ თეორეტიკოსად მოგვევლინა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნოე ჟორდანიას და იოსებ ჯულაშვილი ისევე ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

1904 წლის გაზაფხულზე თბილისში დაბრუნების შემდეგ გაირკვა, რომ თბილისში და საერთოდ მთელ საქართველოში მენშევიზმს გაცილებით ბევრი მომხრე ჰყავდა, ვიდრე ბოლშევიზმს. იოსებ ჯულაშვილს თბილისში აღარ დახვედრია მისი ორი ყველაზე ცნობილი მოწინააღმდეგე ნოე ჟორდანიას (ემიგრაციაში დარჩა) და სილიბისტრო ჯიბლაძე (ციმბირში გადასახლებაში იმყოფებოდა). 1904 წლის მეხუთე ნომრიდან ხელისუფლებას დაეხურა გაზეთი „კვალი“. იოსებ ჯულაშვილს თბილისში აღარ დახვდა მისი უახლოესი თანამებრძოლი, გაზეთ „ბრძოლის“ გამომცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი. იგი 1903 წელს მეტეხის საპრობილეში მოკლეს. ქართველ მენშევიკთაგან საქართველოში იოსებ ჯულაშვილის ყველაზე სერიოზული ოპონენტები იყვნენ ნოე ჟორდანიას უახლოესი თანამოაზრეები ისიდორე რამიშვილი და ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ასევე შედარებით ახალგაზრდა ირაკლი წერეთელი (გიორგი წერეთლის ვაჟი), რომელიც „კვალის“ ბოლო რედაქტორი იყო.

ემიგრაციაში მყოფი ნოე ჟორდანიას ძალზე დაუახლოვდა გიორგი პლენხანოვს და მალე მენშევიკთა ელიტაში მოხვდა. ქართულ სოციალ-დემოკრატიაში გაპირველკაცება იოსებ ჯულაშვილისათვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფრაქციების (ბოლშევიზმისა და მენშევიზმის) გაერთიანებისათვის დაწყებული მოძრაობა რომ წარმატებით დასრულებულიყო, გიორგი პლენხანოვი მთელი ძალებით ეცდებოდა ნოე ჟორდანიას პარტიის ხელმძღვანელობაში დატოვებას. ეს იოსებ ჯულაშვილისათვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. შექმნილი ვითარების ანალიზის შედეგად იოსებ ჯულაშვილმა შემდეგი დასკვნები გააკეთა:

პირველი. საქართველოში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის მიმდინარე ფრაქციული ბრძოლებში მონაწილეობა იოსებ ჯულაშვილს არაფერს მოუტანდა. საბოლოოდ ვითარება ქართულ

სოციალ-დემოკრატიაში იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ როგორ დასრულდებოდა ფრაქციული ბრძოლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხელმძღვანელობაში, როგორ მორიგდებოდნენ, ან თუ მორიგდებოდნენ საერთოდ მენშევიკები და ბოლშევიკები. საქართველოში მყოფი იოსებ ჯულაშვილი ამ შემთხვევაში მოვლენათა განვითარებაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

მეორე. იოსებ ჯულაშვილს აუცილებლად უნდა დაეკავებინა ადგილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელობაში და აქედან ემართა ვითარება საქართველოში, არ დაეშვა ნოე ჟორდანიას თანამაზრეთა გაბატონება საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში.

მესამე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფრაქციების გაერთიანების შემთხვევაში არ დაეშვა ნოე ჟორდანიას დარჩენა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობაში.

ყოველივე ეს ადგილი მისაღწევი არ იყო. საჭირო იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის ლიდერის ვლადიმერ ლენინის ყურადღების მიპყრობა.

იოსებ ჯულაშვილთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი ნოე ჟორდანიაც არ იყო დამშვიდებული. მისი სიმპათიები ეროვნული სოციალ-დემოკრატის მიმართ და მისი შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე კარგად იყო ცნობილი. მართალია, ნოე ჟორდანიამ 1903 წელს რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობაზე (1903 წლის მარტი) და რსდმპ II ყრილობაზე (1903 წლის ივლის-აგვისტო) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის საკითხში პლენაროვ-ლენინის გეგმის სასარგებლოდ უკან დაიხია, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. „ძველი ცოდვები“ მისთვის შეიძლება ყოველ წუთს გაეხსენებინათ. საჭირო იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ფრაქციის ლიდერის გიორგი პლენაროვის ნდობის მოპოვება.

იოსებ ჯულაშვილი და ნოე ჟორდანია ერთი და იგივე სირთულის წინაშე აღმოჩნდნენ. დაუძინებელმა იღეურმა მტრებმა გადაწყვეტილება ერთნაირი მიიღეს: ქართული ეროვნული მოძრაობა, მისი პროგრამა და გამოჩენილი მოღვაწეები უნდა დაეგმოთ (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.42).

ნოე ჟორდანიას წერს ნაშრომს „ქართველი ნაციონალისტები“, ხოლო იოსებ ჯულაშვილი – „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“. ნოე ჟორდანიას ნაშრომი შენევაში 1904 წელს ლეგალურად დაიბეჭდა ბროშურის სახით, იოსებ ჯულაშვილისა – თბილისში არალეგალურად გამოშვებულ „პროლეტარიატის ბრძოლის“ მეშვიდე ნომერში (1904 წლის სექტემბერი). ამ ნაშრომების წაკითხვისას თვალშისაცემი ხდება თითქოსდა მოულოდნელი რამ: ქართული ეროვნული მოძრაობისადმი ნიჰილისტური დამოკიდულებით, კოსმოპოლიტიზმის ძლიერი გავლენით ორი იდეურად შეურიგებელი მოწინააღმდეგის ნაშრომი, ერთი შენევაში დაწერილი, მეორე – თბილისში, როგორც საერთო იდეური მიმართულებით, ისე ზოგიერთი კონკრეტული მოვლენის შეფასებით ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს (შეადარე: ნოე ჟორდანიას. ქართველი ნაციონალისტები. – ნოე ჟორდანიას. რჩეული ნაწერები. თბილისი, 1990, გვ. 1-38; იოსებ სტალინი. როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი. – ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1. 1901-1907. თბილისი, 1947, გვ. 32-54).

ორივე ნაშრომი უხვადაა შეზავებული კოსმოპოლიტიზმით, ორივე ნაშრომში ქართული ეროვნული მოძრაობა სოციალიზმისათვის ბრძოლის შემაფერხებელ მოვლენად არის წარმოდგენილი, ორივე ნაშრომში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ სოციალიზმის დამყარების შემდეგ რუსეთის იმპერიაში ეროვნული საკითხი თავისთავად გადაიჭრებოდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში დამკვიდრების სურვილი იოსებ ჯულაშვილსა და ნოე ჟორდანიას ერთნაირად ძლიერი ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ნოე ჟორდანიას უფრო თავშეკავებული ჩანდა (რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში მას ადგილი უკვე მოპოვებული ჰქონდა), იოსებ ჯულაშვილი გაცილებით დაუნდობელი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის შეფასებისას (რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში ადგილი მას მოსაპოვებელი ჰქონდა). იოსებ ჯულაშვილი არავის და არაფერს არ ინდობდა. ერთადერთი, ვინც დაინდო და ნაშრომში არც კარგად და არც ცუდად არ მოიხსენია, ილია ჭავჭავაძე იყო. თუმცა ყველასათვის ცხადი იყო: კრიტიკა პირველ რიგში ილია ჭავჭავაძეს ეხებოდა. იოსებ ჯულაშვილმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ერთი თვისება: იყო სიწმინდეები (შეიძლება ძალიან ცოტა), რომელსაც იოსებ ჯულაშვილი არ წაბილწავდა, თუნდაც

მისთვის სიწმინდის წაბილწვა პოლიტიკურად მომგებიანი ყოფილიყო. იღია ერთ-ერთი ასეთი სიწმინდე იყო.

იოსებ ჯულაშვილმა მისთვის დამახასიათებელი დაუნდობლობით პირდაპირ მიწასთან გაასწორა ქართული ეროვნული მოძრაობა დაწყებული XIX საუკუნის დამდეგიდან XX საუკუნის დამდეგამდე. მისი აზრით, ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ერთი საუკუნის მანძილზე სამი ეტაპი განვლო:

პირველი. თავადაზნაურული ანუ ფეოდალურ-მონარქიული ანუ ბატონყმურ-მონარქიული ნაციონალური საკითხი (აქ თავსდებოდა ყველაფერი: XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებანი, 1832 წლის შეთქმულება და XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა).

მეორე. ბურჟუაზიული ნაციონალური საკითხი (აქ თავდებოდა არჩილ ჯორჯაძის მიერ 1903 წელს პარიზში გამოცემულ გაზეთ „საქართველოს“ გარშემო შემოკრებილი ეროვნულ მოღვაწეთა დასი, რომელთაც შემდგომში (1904 წ.) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია დაარსეს. ამ დასში შედიოდნენ მომავალი ეროვნულ დემოკრატებიც).

მესამე. პროლეტარული ნაციონალური საკითხი (აქ იგულისხმებოდა ნაციონალური საკითხის ისეთი გაგება, როგორსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატია და პირადად იოსებ ჯულაშვილი ამკვიდრებდა საქართველოში (იხ. იოსებ სტალინი. როგორ ესმის სოციალ-დემოკრატთა ნაციონალური საკითხი? – ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1. 1901-1907. თბილისი, 1947, გვ. 32-35).

მაინც რას წარმოადგენდა პროლეტარული ნაციონალური საკითხი? იოსებ ჯულაშვილი მიიჩნევდა, რომ პროლეტარული ნაციონალური საკითხი გულისხმობს შემდეგ პრინციპულ დებულებებს:

1. „მიზანი ყოველივე ბრძოლისა – გამარჯვებაა. პროლეტარიატის გამარჯვებისათვის კი საჭიროა ყველა მუშის შეერთება, განურჩევლად ეროვნებისა. ცხადია, ნაციონალური კედლების დანგრევა და მჭიდროდ შეკავშირება რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი და სხვა პროლეტარებისა – რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობაა“.

2. „თავისთავად აღებულს ეგრეთწოდებულ „ნაციონალურ ინტერესებს“ და „ნაციონალურ მოთხოვნებს“ განსაკუთრებული ფასი არა აქვს, რომ ეს „ინტერესები“ და „მოთხოვნები“ ყურადღების ღირსია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი წინ

სწევნ, ან შეუძლიათ წინ წასწიონ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება, მისი კლასობრივი განვითარება“.

3. „ერებს ეძლევათ, უფლება თავიანთი სურვილების თანახმად, მოაწიონ თავიანთი ნაციონალური საქმეები. ჩვენ (ე. ი. სოცალ-დემოკრატები – ვ. გ.) ვაღიბებულნი ვართ შევეცადოთ, რომ ერთა სურვილები ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული იყოს, რომ ეს სურვილები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდეს“.

4. „არავითარი “ნაციონალური სული“ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. და თუ ეს ასეა, თუ არავითარი „ნაციონალური სული“ არ არსებობს, თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე დაცვა იმისი, რაც არ არსებობს, ლოგიკური სისულელეა“ (იოსებ სტალინი. როგორ ესმის სოციალ-დემოკრატებს ნაციონალური საკითხი?“ – ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1. 1901-1907. თბილისი, 1947, გვ. 35, 42, 51-52).

იოსებ ჯულაშვილს იმედი არც ჰქონია, რომ ან ეროვნული მოძრაობის ძველი თაობის წარმომადგენლებს, ან სოციალისტ-ფედერალისტებს, ან ეროვნულ დემოკრატებს, ან პირადად არჩილ ჯორჯაძეს რამეში დაითანხმებდა. სამაგიეროდ, მან კარგად იცოდა, რომ მის წერილს „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატებს ნაციონალური საკითხი“ ეროვნული ძალების დიდი პროტესტი მოჰყვებოდა. ატეხილი ხმაური კი იოსებ ჯულაშვილის წისქვილზე ასხამდა წყალს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორივე ფრაქციის (ბოლშევიკებისა და მენშევიკების) ლიდერებს საქართველოში აგენტურის კარგად ორგანიზებული ქსელი ჰქონდათ და დაწვრილებით ინფორმაციას იღებდნენ აქ მიმდინარე ამბების თაობაზე (ვ. გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.44).

თავი VII. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში დამკვიდრების ცდა

იოსებ ჯუღაშვილი ვლადიმერ ლენინთან აგენტურის მიერ მიტანილი ცნობების იმედოდ ვერ იქნებოდა. იოსებ ჯუღაშვილს სწრაფად უნდა ემოქმედა. 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც მაშინ ქუთაისში ცხოვრობდა, გერმანიაში მოქმედ ბოლშევიკურ ცენტრს უგზავნის წერილს. წერილი ისეთი შინაარსისა იყო, რომ იგი აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო ემიგრაციაში მყოფ ბოლშევიკთა ლიდერ ვლადიმერ ლენინთან. ამ წერილით იოსებ ჯუღაშვილმა დაიწყო დიდი პოლიტიკური თამაში, რომლის მიზანი იყო, ვლადიმერ ლენინის გულის მოგება, მასთან დაახლოება. ამ პერიოდისათვის გიორგი პლენხანოვისა და ვლადიმერ ლენინის ურთიერთობა უკიდურესად იყო გამწვავებული. ეს კარგად იცოდა იოსებ ჯუღაშვილმა. დახასიათება, რომელსაც თავის წერილში იოსებ ჯუღაშვილი გიორგი პლენხანოვს აძლევდა, აუცილებლად მოეწონებოდა ვლადიმერ ლენინს: „წავიკითხე პლენხანოვის სტატიები, რომლებშიც იგი არჩევს წიგნს (ვ. ლენინის წიგნს – ვ.გ.) „რა ვაკეთოთ?“ ეს კაცი ან მთლად შემოილია, ან მას სიმულვილი და მტრობა ალაპარაკებს. ვფიქრობ, აქ ერთიცა და მეორეც“ (იოსებ სტალინი. წერილი ქუთაისიდან. – ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1. 1901-1907. თბილისი, 1947, გვ. 56). შემდეგ იოსებ ჯუღაშვილი საქებარ სიტყვებს არ იშურებს სოციალიზმის თეორიაში ვლადიმერ ლენინის მიერ შეტანილი წვლილის დასახასიათებლად. წერილში ვხვდებით ასეთ გამონათქვამებს: „ლენინი ნამდვილი მთის არწივა“, „ლენინმა შექმნა თეორიული ბაზისი“, „ამაშია ლენინური იდეის მნიშვნელობა“, „ისე ნათლად, როგორც ლენინს“... (იქვე, გვ. 57).

პირველ წერილს 1904 წლის ოქტომბერში იოსებ ჯუღაშვილმა მეორე მიაყოლა. ეს წერილიც ქუთაისშია დაწერილი.

წერილის მიზანი იგივე იყო, შინაარსიც დაახლოებით იგივე – გიორგი პლენხანოვის დამცირება და ვლადიმერ ლენინის განდიდება: „პლენხანოვის თეორიული ომი ლენინის წინააღმდეგ წმინდა წყლის ღონკიხოტობაა, ქარის წისქვილებთან ომია, ვინაიდან ლენინი თავის წიგნში (იგულისხმება ვ. ლენინის წიგნი “რა ვაკეთოთ?” – ვ. გ.) უაღრესად თანამიმდევრულად იცავს კ. მარქსის დებულებას შეგნების წარმოშობის შესახებ. ხოლო პლენხანოვის ომი ტაქტიკის საკითხებზე მთლად აბლაუბდა“ (იოსებ სტალინი. წერილი ქუთაისიდან. – ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1. 1901-1907. თბილისი, 1947, გვ. 59).

მეორე წერილში იოსებ ჯულაშვილი უკვე ნოე ჟორდანიას შეხედულებებსაც შეეხო და ოსტატურად ჩააყენა საქმის კურსში ვლადიმერ ლენინი: „კოსტროვმა (ნოე ჟორდანიას პარტიული ფსევდონიმი იყო – ვ. გ.) გამოგვიგზავნა კიდევ ერთი წერილი, სადაც ლაპარაკობს სულსა და მატერიაზე (მგონია, ლაპარაკობს ჩითის მატერიაზე). ამ ვირს კიდევ არ ესმის, რომ მის წინაშე გახეთ „კვალის“ აუდიტორია არაა“ (იქვე, გვ. 60).

ბოლშევიზმისა და მენშევიზმის ლიდერთა შორის მეტად მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ირგვლივ. ეს პარაგრაფი არკვევდა უმნიშვნელოვანეს საკითხს – ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო პარტიის წევრი. რსდმპ II ყრილობაზე ბოლშევიკებმა ამ საკითხის განხილვისას მარცხი იწვინეს – წესდების პირველი პარაგრაფი მენშევიკური ფორმულირებით მიიღეს. გაცოფებული ვლადიმერ ლენინი ყრილობის შემდეგაც არ წყვეტდა ბრძოლას. იოსებ ჯულაშვილი დამარცხებულ ვლადიმერ ლენინს თანამოაზრედ მოეკვლინა.

1905 წლის 1 იანვარს გამოვიდა გაზეთი „პროლეტარის ბრძოლის“ მერვე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო იოსებ ჯულაშვილის წერილი „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია (პარტიის წესდების პირველი მუხლის გამო)“. იოსებ ჯულაშვილმა მენშევიკებთან პოლემიკაში ვლადიმერ ლენინის მიერ გამოთქმული აზრები უცილობელ ჭეშმარიტებად გამოაცხადა (იოსებ სტალინი. პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია. – ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1. 1901-1907. თბილისი, 1947, გვ. 61-72).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ელიტაში დამკვიდრებისაკენ იოსებ ჯულაშვილის სწრაფვას 1905

წლის იანვარში დაწყებულმა რევოლუციამ სხვა მიმართულება მისცა.

1904 წლის გაზაფხულზე საქართველოში დაბრუნებულ იოსებ ჯულაშვილს მეტად არახელსაყრელი მდგომარეობა დახვდა – ყველგან განუყოფლად ბატონობდნენ მენშევიკები. იოსებ ჯულაშვილი მარცხს მარცხზე განიცდიდა. მან მენშევიკებთან დისკუსიები წაავო თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში. ამიტომაც 1905 წლის იანვარში დაწყებული რევოლუცია იოსებ ჯულაშვილს კარგს არაფერს უქადა – მას კიდევ უფრო შეავიწროვებდნენ. იოსებ ჯულაშვილი ბევრს მუშაობს, წერს პროკლამაციებს, მოწოდებებს, წერილებს, ბროშურას. მისი ყველა ნაშრომი ეძღვნებოდა ბოლშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის დაცვას, მენშევიზმის კრიტიკას. იოსებ ჯულაშვილის ნაშრომები „გაკვრიოთ პარტიულ უთანხმოებაზე“ (თბილისი, 1905), „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“ (გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, 1905, 15 ივლისი, №10), „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“ (გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, 1905, 15 აგვისტო, №11), „პასუხად „სოციალ-დემოკრატს““ (გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, 1905, 15 აგვისტო, №11) და სხვები საქმეს ვერ შველიდა – რევოლუციის სათავეში მენშევიკები მოექცნენ. პარადი ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილს, ნოე რამიშვილს და სხვებს მიჰყავდათ. მწარე მარცხი იწვინა იოსებ ჯულაშვილმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის III ყრილობის დელეგატების არჩევნებისას. მენშევიკებმა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღეს. ლონდონში ყრილობაზე 1905 წლის აპრილში 23 ბოლშევიკი დელეგატი ჩავიდა. იოსებ ჯულაშვილი მათ შორის ვერ მოხვდა. ქართველებიდან დელეგატებად არჩეული იქნენ მიხა ცხაკაია (დელეგატი რსდმპ ცენტრალური კომიტეტიდან) და პროკოფი ჯაფარიძე (დელეგატი რსდმპ კავკასიის კავშირის დელეგატიდან).

ცხადად დაადასტურა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა ძალზე არაპოპულარული იყო ხალხში, განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა მასისათვის ბოლშევიკების საპროგრამო მოთხოვნები

იოსებ ჯულაშვილს ფარ-ხმალი არ დაუყრია. 1905 წლის დეკემბერში იგი ტამერფოსში (ფინეთი) ჩავიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის

კონფერენციაზე. აქ იოსებ ჯულაშვილი ვლადიმერ ლენინს ხვდება. ამ პერიოდისათვის ვლადიმერ ლენინი გიორგი პლექანოვთან უმწვავეს პოლემიკაშია ჩაბმული. მზადდებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის IV ყრილობა, რომელსაც ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციები უნდა გააერთიანებინა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტისაგან გარიყული ვლადიმერ ლენინს იოსებ ჯულაშვილი სჭირდებოდა...

ტამერფოსიდან დაბრუნებიდან რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობამდე თბილისში მყოფმა იოსებ ჯულაშვილმა რვა ნაშრომი გამოაქვეყნა და რვავე, ნაწილობრივ ან მთლიანად, მენშევიკთა კრიტიკას მიუძღვნა.

ამჯერად, იოსებ ჯულაშვილმა თითქმის შეუძლებელს მიაღწია. საქართველოდან რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის დელეგატად, რომელიც 1906 წლის აპრილში გაიმართა სტოკჰოლმში, 18 სოციალ-დემოკრატი აირჩიეს, მათ შორის 17 მენშევიკი და ერთი ბოლშევიკი. ეს ერთადერთი ბოლშევიკი იოსებ ჯულაშვილი იყო, რომელიც ყრილობაზე „ივანოვიჩის“ ფსევდონიმით გამოდიოდა (იხ. ვ. გურული, მ. ვაჩნაძე. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია. 1892-1918. თბილისი, 1999, გვ. 217). ყრილობაზე იოსებ ჯულაშვილი რამდენჯერმე გამოვიდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოსვლები: „აგრარული პროგრამის გადასინჯვის გამო“ (მეშვიდე სხდომა), „მიმდინარე მოქმედების შესახებ“ (მეთხუთმეტე სხდომა) და კიდევ ერთი გამოსვლა მეთვრამეტე სხდომაზე.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობაზე მენშევიკებმა პირდაპირ გააცამტვერეს ბოლშევიკები. რაც შეეხება იოსებ ჯულაშვილს, იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს ქართველმა დელეგატებმა. განსაკუთრებით მწარედ გააკრიტიკა იოსებ ჯულაშვილი ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძემ. ჭოლა ლომთათიძე გურიაში მიმდინარე გლეხთა მოძრაობის შესახებ საუბრისას შეეხო ბოლშევიკების მიერ გურიაში მიმდინარე მოვლენების წინასწარგანზრახვით არასწორად გაშუქების ფაქტს და აღნიშნა: „ამტკიცებდა რა მისი პროექტის განხორციელების შესაძლებლობას, ამხ. ჯონმა (მენშევიკმა პ. მასლოვმა – ვ. გ.), როგორც მაგალითი, მოიყვანა გურია. ამ დამოწმებამ ამხ. ივანოვიჩს (იოსებ ჯულაშვილს – ვ. გ.) მისცა საბაბი, გურიის შესახებ გაეკეთებინა რამდენიმე შენიშვნა. „გურიის შესახებ – თქვა მან – ავრცელებენ უამრავ ზღაპარს.“ ერთი ასეთი ზღაპარი, ჩანს, დაიბეჭდა „ნოვია ჟიზნი“,

ზოლო მეორე ზღაპარს გურიის შესახებ თვითონ ივანოვიჩი ჰყვება. პირველ შემთხვევაში დამნაშავეა ბოლშევიკური გაზეთი, მეორეში – ამხანაგი ბოლშევიკი“ (იქვე, გვ. 223). იოსებ ჯულაშვილმა ჭოლა ლომთათიძეს რეპლიკა ესროლა: „მე გიპასუხებთ თქვენ თავის დროზე“ (იქვე, გვ. 223).

ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძემ “თავის დროზე“ პასუხი ვერ მიიღო, იგი ნაადრევად გარდაიცვალა. ყრილობაზე მყოფმა დანარჩენმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა პასუხი მიიღეს: ნოე ჟორდანიას სამშობლოდან დევნილი ემიგრაციაში აღესრულა, გრიგოლ ურატაძეც ემიგრაციაში გარდაიცვალა, ისიღორე რამიშვილი დახვრიტეს...

ყრილობის მეოცე სხდომაზე თავმჯდომარემ დელეგატებს გააცნო წერილი თბილისიდან, რომელსაც ხელს აწერდა რსდმპ 200 წევრი. ეს წერილი იოსებ ჯულაშვილის თანამოაზრეთა მიერ იყო შედგენილი და თბილისში მენშევიკების მიერ ყრილობის დელეგატთა არჩევნების დროს ჩადენილ დარღვევებს ამხელდა. ყრილობის უმრავლესობამ მოითხოვა, მოესმინათ ნოე ჟორდანიასათვის, რომელმაც არგუმენტირებულად გააქარწყლა წერილში მოტანილი ფაქტები. ნოე ჟორდანიას შემდეგ სიტყვა ითხოვა იოსებ ჯულაშვილმა. დელეგატთა უმრავლესობის მოთხოვნით დებატები შეწყდა – იოსებ ჯულაშვილს სიტყვა არ მისცეს (იქვე, გვ. 224-225).

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე უმრავლესობაში მენშევიკები იყვნენ. ბოლშევიკები ყველა პრინციპულ საკითხში დამარცხდნენ, დამარცხდა ვლადიმერ ლენინი, დამარცხდა იოსებ ჯულაშვილიც.

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობიდან დაბრუნებულ იოსებ ჯულაშვილს საქართველოში აღარ ედგომებოდა. მან კიდევ რამდენიმე დისკუსია წააგო მენშევიკებთან. იოსებ ჯულაშვილი შედარებით მშვიდად გრძნობდა თავს ბაქოში, სადაც ბოლშევიკებს უფრო ძლიერი პოზიცია ჰქონდათ. მიუხედავად მარცხისა, იოსებ ჯულაშვილი დანებებას არ აპირებდა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობიდან (1906 წლის აპრილი) რსდმპ V ყრილობამდე (1907 წლის აპრილი-მაისი) იოსებ ჯულაშვილმა მენშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის კრიტიკისადმი მიძღვნილი ოცზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა. მენშევიკების წინააღმდეგ აქტიურმა ბრძოლამ მას რსდმპ V ყრილობის მანდატი არგუნა. თუმცა რსდმპ V ყრილობა (1907

წლის აპრილ-მაისი) იოსებ ჯუღაშვილისათვის დიდი მარცხით დასრულდა: ნოე ჟორდანიას რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს. არჩევნებში მონაწილე დელეგატებს სულ 293 ხმა ჰქონდათ. ხმების მაქსიმუმი (150 ხმა) მიიღო მხოლოდ ორმა კანდიდატმა ა. მარტინოვმა და ნოე ჟორდანიამ, დანარჩენებმა – შედარებით ნაკლები (იქვე, გვ. 235-236). ვლადიმერ ლენინი ცენტრალური კომიტეტის წევრად არ აირჩიეს. ეს კიდევ უფრო ამძიმებდა იოსებ ჯუღაშვილის მდგომარეობას.

თავი X. სიმართლე განსაზღვრებული ექსპროპრიაციის შესახებ

ნოე ჟორდანიამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ელიტაში მდგომარეობა განიმტკიცა. დამარცხებული იოსებ ჯუღაშვილი ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ (1907 წლის 19 მაისი) თბილისში დაბრუნდა. თბილისში მას აღარ ედგომებოდა და მალე ბაქოში გადავიდა. 1907 წლის 20 ივნისს ბაქოში გამომავალი არალეგალური გაზეთის „ბაკინსკი პროლეტარის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა იოსებ ჯუღაშვილის წერილი „სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები“. წერილი 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ რუსეთის მეორე სახელმწიფოს დათხოვნას ეძღვნებოდა. გაზეთის იმავე ნომერში დაიწყო და მეორე ნომერში (გამოვიდა 1907 წლის 10 ივლისს) დასრულდა იოსებ ჯუღაშვილის ვრცელი წერილის ბეჭდვა “რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)“. მანამდე კი თბილისში მოხდა ამბავი, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა რუსეთის იმპერიაში და მთელ მსოფლიოში.

1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედნიდან ტერორისტებმა გაიტაცეს რუსეთის იმპერიის ზაზინის კუთვნილი ფული – 250 ათასი მანეთი (ფულის ნიშნები და ბანკის საკრედიტო ბარათები). საყოველთაოდ გავრცელებული შესწავლების მიხედვით, ერევანსკის მოედანზე ექსპროპრიაცია განხორციელეს სოციალ-დემოკრატებმა (რსდმპ თბილისის კომიტეტმა). ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი იყო იოსებ ჯულაშვილი, ხოლო უშუალო შემსრულებელი სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო). საარქივო მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იოსებ ჯულაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, უფრო მეტიც, ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცეს არა სოციალ-დემოკრატებმა, არამედ სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა). ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ ესერთა პარტიის წევრები: 1) სარქის ალექსანდრეს ძე ოთაროვი – მეშხანი, 48 წლის, სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობისა, ამიერკავკასიის ოლქის საღაზღვევო საზოგადოების აგენტი, მცხოვრები თბილისში, მალაქების ქუჩაზე, №50 სახლში; 2) ვასილ ვასილის ძე ჰილეცი – მემამულე, 22 წლის, ამიერკავკასიის რკინიგზაზე ფოსტის გადაზიდვის მერვე განყოფილების თანამშრომელი, მცხოვრები თბილისში საღურის ქუჩაზე №12 სახლში (სცსსა, ფონდი 95, აღწერა 1, საქმე 82, ფურცელი 21; ვ.გ.ურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.50-51). უფრო დაწვრილებით, საარქივო მასალების მიხედვით, საქმის ვითარება შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

1. ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფულის საქმის ძიების პროცესში 1907 წლის 13 ივნისიდან 9 ნოემბრამდე ძიებას ეჭვიც კი არ აღძვრია ექსპროპრიაციაში სიმონ ტერ-პეტროსიანის (კამოს) მონაწილეობის თაობაზე. კამოს შესახებ ძიების მასალებში ცნობები ჩნდება 1907 წლის 9 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც იგი ბერლინში დააპატიმრეს. გერმანიის პოლიციამ კამოს ორი ბრალდება წაუყენა: ავსტრია-უნგრეთის მოქალაქის დიმიტრი მირსკის პასპორტით ცხოვრება (ეს პასპორტი კამომ თბილისში აბანოში მოპარა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატს დიმიტრი მირსკის) და ასაფეთქებელი ნივთიერების შენახვა. რაც შეეხება ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას – კამოსათვის ეს ბრალდება არ წაუყენებიათ. 1908 წლის მარტში, ერევანსკის მოედანზე

განხორციელებული ექსპროპრიაციდან ცხრა თვის შემდეგ, ქუთაისის ციხეში მყოფმა პატიმარმა – ტერორისტმა არსენ ქარსიძემ ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს წერილობით აცნობა, რომ ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცა სიმონ ტერ-პეტროსიანმა, იგივე კამომ (სცსსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 82, ფურცლები 149-150; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.51). ძიებამ არსენ ქარსიძის ჩვენება მაშინვე ჭეშმარიტებად მიიღო და 1908 წლის 20 მარტისათვის კამოს მონაწილეობა ექსპროპრიაციაში დამტკიცებულად მიიჩნია. ამავე დროს კამო ოპერაციის ხელმძღვანელადაც იქნა მიჩნეული (სცსსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 82, ფურცლები 25-26; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.51). საიდან უნდა სცოდნოდა არსენ ქარსიძეს ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში კამოს მონაწილეობის შესახებ? საარქივო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა იმაში, რომ არსენ ქარსიძე ან პროვოკატორი იყო, ან უბრალოდ რაღაცას ურევდა. თავის ჩვენებაში არსენ ქარსიძე აღნიშნავდა, რომ კამო გენერალ ალიხან-ავარსკის მკვლელობაში მონაწილეობდაო (სცსსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 82, ფურცლები 149-150; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.51). ცნობილია, რომ კამოს ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

2. ძიების მასალებში თბილისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით იოსებ ჯულაშვილის ხსენებაც კი არ არის – მასზე ეჭვიც არავის მიუტანია.

3. სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) დაკავშირება 1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან შემდეგ ვითარებაში მოხდა. 1908 წელს ვლადიმერ ლენინის უახლოესი თანამებრძოლი მეერ ვალახი (იგივე მაქსიმ ლიტვინოვი, შემდეგში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი) შვეიცარიაში დააპატიმრეს თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას. ეს ფაქტი გახმაურდა მთელ ევროპაში. მაინც ვინ მოახდინა ფულის გატაცება? – ამ კითხვას პასუხი თავისთავად გაეცა, რადგან გატაცებული ფული ბოლშევიკების ლიდერ ვლადიმერ ლენინთან აღმოჩნდა. ეს შეხედულება კიდევ უფრო

განმტყიცდა მას შემდეგ, რაც თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას კვლავ დააპატიმრეს ვლადიმერ ლენინთან დაახლოებული პირები: ნიკოლაი სემაშკო (შემდეგში საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი), სარა რაეიჩი (ბოლშევიკ გრიგოლ ზინოვიევის მეუღლე) და სხვები (სცსაა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 176, ფურცელი 56; ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.52), თუმცა ძიებას 1912 წელსაც კი არ ჰქონდა იმისი დამამტყიცებელი მასალა, რომ ექსპროპრიაცია თბილისში სოციალ-დემოკრატებმა – იოსებ ჯულაშვილმა და სიმონ ტერ-პეტროსიანცმა – განახორციელეს.

4. 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კამოს არავითარი კავშირი არ ჰქონია, თუმცა გატაცებულ ფულთან მას კავშირი მართლაც ჰქონდა. ესერებმა ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფული ქალაქიდან ვერ გაიტანეს და ავლაბარში გადამაღეს. ჟანდარმერიამ ფულის ადგილსამყოფელი იცოდა, მაგრამ სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ტერორისტებს თავს არ ესხმოდა. სამაგიეროდ თბილისიდან გამავალი ყველა გზა შეკრული იყო, ავლაბარიც ალყაში იყო მოქცეული. რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ ესერები მიხვდნენ, რომ ფულს ქალაქიდან ვერ გაიტანდნენ და დახმარებისათვის ყველაზე შესაფერის კაცს – კამოს მიმართეს. თუმცა საარქივო მასალებიდან არა ჩანს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კამომ საქმის კურსში ჩააყენა იოსებ ჯულაშვილი, რომელიც იმხანად ბაქოდან თბილისში დაბრუნდა.

კამომ თბილისიდან საზღვარგარეთ ფულის გატანის ოპერაცია უნაკლოდ განახორციელა, მაგრამ ესერები მოატყუა და ფული ვლადიმერ ლენინს მიუტანა. ცხადია, დამოუკიდებლად კამო ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, მას ვიღაც მართავდა. ვისი დამავლებით მოქმედებდა კამო, საარქივო მასალებიდან არ დგინდება.

ამრიგად, 1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში იოსებ ჯულაშვილს მონაწილეობა არ მიუღია.

იოსებ ჯულაშვილს თბილისში განხორციელებული ექსპროპრიაცია მოგვიანებით, 1918 წელს, გაუსხენა ლევ ტროცკიმ (ბრონშტეინმა). მან იოსებ ჯულაშვილს საჯაროდ დასდო ბრალი ტერორისტებთან კავშირში. ვლადიმერ ლენინმა საქმე განსახილველად პარტიულ სასამართლოს გადასცა. ბოლშევიკური

პარტიისა და საბჭოთა რუსეთის ლიდერმა თავი დაიზღვია და ობიექტურობის დაცვის მიზნით პარტიული სასამართლოს თავმჯდომარედ იმხანად ემიგრაციიდან დაბრუნებული მენშევიზმის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი იული მარტოვი (ცედერბაუმი) დაასახელა. იული მარტოვის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნას კმაყოფილებით შეხვდა ლევ ტროცკი. პარტიულმა სასამართლომ გულმოდგინედ იმუშავა, მოუსმინა ლევ ტროცკისა და იოსებ ჯულაშვილსაც. განაჩენი ასეთი იყო: იოსებ ჯულაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კავშირი არ ჰქონია (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.51).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, 1907 წელს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციას დღემდე იოსებ ჯულაშვილს მიაწერენ. მემუარული ლიტერატურიდან, პუბლიცისტიკიდან და ისტორიოგრაფიიდან ეს თემა მხატვრულ ფილმსა და მხატვრულ პროზაში გადავიდა. ადამიანთა ნაწილისათვის ის ჭეშმარიტებაა, ნაწილისათვის – სიცრუე.

*

* *

ქართველ სოციალ-დემოკრატებთან (მენშევიკებთან) იდეურ ბრძოლაში დამარცხებულმა იოსებ ჯულაშვილმა 1907 წელს საქართველო დატოვა. ხშირად ისმის კითხვა: რა მოხდებოდა, რომ იოსებ ჯულაშვილს სამშობლო არ დაეტოვებინა და იდეურ მოწინააღმდეგეებთან ისეთივე შეუპოვრობით გაეგრძელებინა ბრძოლა, როგორც იბრძოდა 1899-1907 წლებში? ამ კითხვაზე პასუხი სცილდება ისტორიკოსის კომპეტენციის საზღვრებს. ჩვენ შეიძლება ვუპასუხოთ კითხვას: რატომ დატოვა იოსებ ჯულაშვილმა საქართველო და რატომ მიაშურა რუსეთს? რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერების (გიორგი პლენხანოვის, ვლადიმერ ლენინის, იული მარტოვის და სხვ.) ნაშრომების გაცნობამ, რსდმპ IV (გამაერთიანებელ) და რსდმპ V ყრილობაზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მიმდინარე პოლემიკამ იოსებ ჯულაშვილი დაარწმუნა თავის უპირატესობაში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტა მასშტაბური აზროვნების დიდ დეფიციტს განიცდიდა. მის ლიდერებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, საით მიექანებოდა რუსეთი, ის სახელმწიფო, რომლის ბატონ-პატრონად განდომას ისინი აპირებდნენ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში კლასობრივმა (პარტიულმა), უფრო მეტიც, ფრაქციულ-კლანურ-სექტანტურმა აზროვნებამ იმძლავრა სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე. სწორედ ამისი შედეგი იყო ის, რომ გიორგი პლენხანოვი და ვლადიმერ ლენინი დიდი ხნის შემდეგაც კი ვერ მიხვდნენ იმას, რაც კარგად

უწყოდა იოსებ ჯულაშვილმა უკვე XX საუკუნის დამდეგს: ველიკორუსებს, რუსეთის სახელმწიფოს გააჩნდა ღირებულებები, რომლის უარყოფა ადამიანის ძალებს აღემატებოდა და ის, რასაც ჭეშმარიტებად ასალებდნენ მენშევიკები და ბოლშევიკები, საერთოდ მიუღებელი იყო რუსეთისათვის (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.54).

იოსებ ჯულაშვილს უკვე განსაზღვრული ჰქონდა თავისი ადგილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში. თავდაპირველად მას სწამდა, რომ გზა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტისაკენ საქართველოზე, მისი სამშობლოზე გადიოდა. მოგვიანებით იგი დარწმუნდა, რომ ამ გზით კიდევ ერთი ქართველი (ალბათ, სხვაც) აპირებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში შეღწევას. იოსებ ჯულაშვილი მიხვდა, რომ ქართველები მას არაფერს დაუძობდნენ. უნაყოფო ბრძოლაში გაივლიდა წლები. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში შეღწევა რუსეთიდან უფრო ადვილი იყო, იქ იოსებ ჯულაშვილი უფრო ადვილად და უფრო სწრაფად შეძლებდა თავისი უპირატესობის რეალიზებას. იოსებ ჯულაშვილმა საქართველო დატოვა (ვ.გურული. იოსებ ჯულაშვილის არჩევანი. 1878-1907. თბილისი, 2007, გვ.56).

თავი XI. რუსეთში

უცნაური ფაქტია, რომ იოსებ სტალინი რუსეთს მოეწვინა მას შემდეგ, რაც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში ფეხი ვერ მოიკიდა. უფრო მეტიც, მან თავის იდეურ მოწინააღმდეგეებთან ყველა ბრძოლა წააგო და საქართველო რომ არ მიეტოვებინა, ვინ იცის, საერთოდ თუ მოიხსენიებდნენ მას მეისტორიენი... იოსებ ჯუღაშვილისათვის რუსეთი სამშობლო არ იყო, რუსეთი იყო ქვეყანა, სადაც მის ზებუნებრივ ნიჭსა და ენერჯიას გასაქანი უნდა ეპოვა. ამ პარადოქსმა განაპირობა საქართველოსა და რუსეთის ტრაგედია...

1905-1907 წლების რევოლუციიდან სათავისოდ იოსებ სტალინმა შემდეგი დასკვნა გააკეთა: საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა მთლიანად მისი მსოფლმხედველობის საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. როგორც 1901-1904 წლებში, ისე 1905-1907 წლებშიც ი. სტალინმა ვერავითარი გავლენა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაზე ვერ მოახდინა. იგი ვერც პერსპექტივას ხედავდა. პირიქით, ი. სტალინს სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების კრიტიკა არც კი დაემთავრებინა, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა ეროვნულ საკითხში ძალზე რადიკალური ეროვნულ-დემოკრატიული

მიმდინარეობა. აშკარა იყო, თუ ი. სტალინი საქართველოში დარჩებოდა, იგი რიგითი პოლიტიკური მოღვაწის სტატუსს უნდა დასჯერებოდა და დარჩენილი ცხოვრება იდეურ მოწინააღმდეგეებთან უაზრო, უშედეგო პოლემიკაში გაეტარებინა.

ამავე დროს ი. სტალინი კარგად ხედავდა, რომ რუსულ სოციალ-დემოკრატიაში მას დიდი პერსპექტივა ელოდა. რსდმპ ტამერფორსის კონფერენციაზე, რსდმპ IV და V ყრილობებზე ი. სტალინი დარწმუნდა, რომ რუსული სოციალ-დემოკრატის გრანდები მას ვერაფრით აღემატებოდნენ, პირიქით, იქ ისეთ საკითხებზე დავობდნენ, სტალინისათვის კარგა ხანია ნათელი და გარკვეული რომ იყო. ერთი სიტყვით, იოსებ სტალინი დარწმუნდა: საქართველოს იგი არ სჭირდებოდა, რუსეთი კი მას ელოდა. იმხანად, რა თქმა უნდა, იოსებ ჯუღაშვილმა არ იცოდა, რომ ამ დასკვნამ განაპირობა იოსებ სტალინის, საქართველოსა და რუსეთის დიდი ტრაგედია...

1907 წლის ივნისში იოსებ სტალინი ტოვებს თბილისს. მის მოღვაწეობაში იწყება ახალი პერიოდი. იგი თავდაპირველად ბაქოშია, შემდეგ რუსეთსა და ბოლოს – ემიგრაციაში. 1907-1913 წლებში ი. სტალინი კვლავინდებურად ბევრს წერს, თუმცა პერიოდი 1907 წლის ივნისიდან (საქართველოს დატოვებიდან) 1913 წლის თებერვლამდე (დაპატიმრებამდე) ყველაზე უნაყოფოა მის მოღვაწეობაში. ამ პერიოდში ი. სტალინს არაფერი ღირებული არ შეუქმნია. ახლა ძნელი დასადგენია, იგი თვითონ არ შესჭიდებია გლობალურ პრობლემებს და ცხოვრების მიმდინარე საკითხებმა შთანთქა მისი დრო და ენერჯია, თუ იყო კიდევ სხვა რაიმე მიზეზი.

ცნობილია, რომ ეს პერიოდი ძალზე რთული იყო არა მარტო იმიტომ, რომ ძლიერ დაიძაბა ურთიერთობა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, არამედ იმიტაც, რომ თვით ბოლშევიკთა შორის ფრაქციულობამ იჩინა თავი. შეიძლება ი. სტალინი კიდევ ფრთხილობდა და დრომდე უკანა რიგებში დგომას არჩევდა. ერთადერთი ნაშრომი, რომელზეც მან ბევრი და სერიოზულად

იმუშავა, იყო „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (1913). ამ ნაშრომის ღირსების შესახებ კამათი მისი გამოსვლის დღიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. ჩვენ ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით.

იოსებ სტალინს რუსულ სოციალ-დემოკრატიაში ადაპტაციის პერიოდი ძალზე გაუხანგრძლივდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მოსალოდნელი აღიარება ვერ მოიპოვა. ეს მაშინ, როცა მისი თანამემამულეები, მასზე გაცილებით ნაკლები ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე მოღვაწეები – ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე – რუსული სოციალ-დემოკრატის ცნობილი მოღვაწეები გახდნენ, მათზე ალაპარაკდა მთელი იმპერია, ხოლო არჩილ ჯორჯაძის პოპულარობა საქართველოში მოსალოდნელ ზღვარს გადასცდა.

იოსებ სტალინს თითქოს ბედი სდევნიდა. იდეურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში დამარცხებულმა სამშობლო დატოვა, რუსეთს მიაშურა. ისინი კი თითქოს კვალდაკვალ მისდევდნენ და იქაც არ ასვენებდნენ. ნუთუ ი. სტალინი რუსეთშიაც ვერ მოიკიდებდა ფეხს? ნუთუ ისევ თანამემამულეები უნდა გადასდგომოდნენ წინ? ამ ძნელბედობიდან ი. სტალინი თითქოს მისმა ბოლო დაპატიმრებამ იხსნა. 1913 წლის თებერვლიდან 1917 წლის მარტამდე იგი საერთოდ ქრება პოლიტიკური ასპარეზიდან.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთის ყველა პოლიტიკურ პარტიას თავს ზემოთ გადაუარა – რუსმა ხალხმა რევოლუცია პოლიტიკოსთა გეგმების გვერდის ავლით განახორციელა. ფაქტის წინაშე მდგომი პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები გამალებით ცდილობდნენ სამოქმედო გეგმის შემუშავებას და პოლიტიკური სიტუაციის მართვას. ასეთ ვითარებაში 1917 წლის 12 მარტს ი. სტალინი პეტერბურგში ბრუნდება. მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა რუსი ბოლშევიკების მოქმედების პროგრამა. პროგრამა შემდეგ დასკვნებს ემყარებოდა: 1) 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია ბუნებრივი გზით არ მომწიფებულა,

იგი მეტწილად ომის შედეგი იყო. რუს ხალხს რევოლუციის მიზნები არ ესმოდა, უახლოესი მომავალი ვერ წარმოედგინა. ეს კი აუცილებლად განაპირობებდა კონტრრევოლუციას; 2) თებერვალ-მარტის რევოლუციის იდეებს გამოდევნებული მასა აუცილებლად გადააბიჯებდა იმ ზღვარს, რომლის გადალახვის საშუალებასაც არ იძლეოდა რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე. ესეც კონტრრევოლუციის მიზეზად იქცეოდა; 3) რევოლუციური პროცესის სწრაფმა აღმავლობამ პოლიტიკოსებს დაავიწყა რუსეთში იმპერიის უკვდავობის იდეა. იმპერიის უკვდავობის იდეა ადრე თუ გვიან ისევ წამოტივტივდებოდა და ყველაფერი კვლავ კონტრრევოლუციით დამთავრდებოდა; 4) ევროპის კარიბჭეში თითქოს გასული რუსეთი რევოლუციური აღტყინების დაცხრომის შემდეგ კვლავ რუსულ თვითმყოფად სამყაროში შებრუნდებოდა და კონტრრევოლუცია ამ შემთხვევაშიც გარდაუვალი იქნებოდა; 5) რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის მერყეობა რუსეთისათვის მეტად საშიშ პერიოდში – მსოფლიო ომის პირობებში – მიმდინარეობდა და ამდენად, მთელი სახელმწიფოსათვის შეიძლებოდა ძალზე სერიოზული, კატასტროფული შედეგები მოჰყოლოდა.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე იოსებ სტალინი აკეთებს დასკვნას: აუცილებელია 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაცია და რუსეთის სახელმწიფოს მოსალოდნელი კატასტროფისაგან ხსნა, რუსული „სმუტის“ თავიდან აცილება. ამრიგად, ი. სტალინი კონტრრევოლუციის აუცილებლობის აღიარებამდე მივიდა არა იმიტომ, რომ კონსერვატორი იყო, არამედ იმიტომ, რომ რუსეთი ობიექტურად, კანონზომიერად მიდიოდა კონტრრევოლუციისაკენ. ი. სტალინი კი რეალურს არასოდეს გაცვლიდა იდეალურში.

მოკლენათა ზემოთ მოცემული შეფასების დაცვას ისახავდა მიზნად ი. სტალინის ოთხმოცზე მეტი ნაშრომი (სტატიები, წერილები, გამოსვლები), დაწერილი 1917 წლის 14 მარტიდან 24

ოქტომბრამდე. იოსებ სტალინი მოვლენათა მისეული ანალიზით, პერსპექტივის ხედვით ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერზე მაღლა დადგა. რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეები თვლიდნენ, რომ მოვლენები რევოლუციის გაღრმავების პრინციპით განვითარდებოდა და აქედან გამომდინარე ადგენდნენ სამოქმედო გეგმებს.

რუსი ბოლშევიკების ლიდერი ვლადიმერ ლენინი პეტროგრადში 1917 წლის 3 აპრილს დაბრუნდა. 7 აპრილს „პრავდაში“ მან გამოაქვეყნა ცნობილი „აპრილის თეზისები“, რომელშიც მოცემული იყო მომხდარის შეფასება და ბოლშევიკთა სამოქმედო პროგრამა. ვ. ლენინის „აპრილის თეზისების“ ძირითადი დებულებები აღებულია 1917 წლის მარტში გამოქვეყნებული ი. სტალინის შემდეგი ნაშრომებიდან: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ“ (14 მარტი), „ომის შესახებ“ (16 მარტი), „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ“ (18 მარტი), „ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ“ (25 მარტი) (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 3. თბ., 1948, გვ. 1-21).

ამრიგად, 1917 წლის 25 მარტისათვის ი. სტალინს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაციის გეგმა, რომლის ყველა ძირითადი დებულება უცვლელად აიღო ვ. ლენინმა. აშკარა პლაგიატის ფაქტი დოკუმენტურადაა დადასტურებული. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო მოვლენის შესახებ. ი. სტალინისა და ვ. ლენინის ასეთი დამოკიდებულება გრძელდებოდა 1917 წლის 24 ოქტომბრამდე – გადატრიალების წინა დღემდე. ი. სტალინი, მისთვის დამახასიათებელი სიმარტივეთა და აზრის სინატიფით წამოაყენებდა რაიმე დებულებას, იმავე დებულებას, მისთვის დამახასიათებელი რთული, გაუგებარი, სიცხადეს მოკლებული ენით რამდენიმე დღის შემდეგ მიითვისებდა ვ. ლენინი. ყოველ შემთხვევაში, პლაგიატის ფაქტის დადგენას დიდი ტვინის ჭყელუტა არ უნდა, თუმცა პლაგიატის ფაქტებს იქით გარკვევით ჩანს ერთი ჭეშმარიტება: ი. სტალინიცა და ვ. ლენინიც ერთი

გეგმით მოქმედებდნენ, – კონტრრევოლუციური გადატრიალება მათ ერთობლივ მიზანს შეადგენდა.

თითქოს გაუგებარია, ი. სტალინისა და ვ. ლენინის შეხედულებებს რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ისევ და ისევ სოციალ-დემოკრატებში აღმოუჩნდნენ სერიოზული ოპონენტები. მენშევიკების მხრივ დასაბუთებული კრიტიკით გამოვიდნენ გიორგი პლესანოვი, ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე. ერთიანობა არ იგრძნობოდა თვით ბოლშევიკებშიც. იოსებ სტალინისა და ვლადიმერ ლენინის პლატფორმას დაუპირისპირდნენ ლევ ტროცკი, ლევ კამენევი, გრიგორი ზინოვიევი, ნიკოლაი ბუხარინი და სხვ. ი. სტალინი და ვ. ლენინი, ფაქტობრივად, მარტონი დარჩნენ.

რა თქმა უნდა, დაუჯერებელია, რომ ი. სტალინმა და ვ. ლენინმა 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება მარტო განახორციელეს. მათ მხოლოდ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ზუსტად განსაზღვრეს, საით მიექანებოდა რუსეთი. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუცია 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის კანონზომიერი შედეგი იყო. ი. სტალინისა და ვ. ლენინის გასაოცარი აღმოჩენა სწორედ ამაში მდგომარეობდა.

თავი XII. ლენინიზმი თუ სტალინიზმი?

ყველას კარგად გვახსოვს საყოველთაოდ მიღებული ლოზუნგი: „სტალინი – ლენინის მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი“. ამ ლოზუნგის ჭეშმარიტებაში დიდხანს არავინ დაეჭვებულა, თუმცა იგი ისტორიის დიდ ცოდვას მალავდა.

მაინც როდის და რა მიზეზით შეიქმნა მითი იმის შესახებ, რომ იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) ვლადიმერ ულიანოვის (ლენინის) მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი იყო? დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ 1917 წლის 25 ოქტომბრის

კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებამდე საჯაროდ სტალინისათვის ლენინის მოწაფე არავის უწოდებია, მაშინაც კი, როცა 1922 წლის 3 აპრილს იოსებ სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს. თვით იოსებ სტალინიც არ თვლიდა თავს ვ. ლენინის „მოწაფედ“. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ მას არაფერი უთქვამს ვ. ლენინის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში „ლენინი როგორც რკპ ორგანიზატორი და ბელადი“, რომელიც 1920 წლის 23 აპრილს დაიბეჭდა „პრავდაში“. 23 აპრილს იოსებ სტალინი სიტყვითაც გამოვიდა რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის კრებაზე, რომელიც ვ. ლენინის დაბადებიდან 50 წლისთავს მიეძღვნა. „მოწაფეობაზე“ რაიმე ნათქვამი არც აქ ყოფილა.

„სტალინი – ლენინის მოწაფე“ – ასეთ უაზრობას მაშინ არც არავინ დაიჯერებდა. ყველა ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა (ბოლშევიკმაც და მენშევიკმაც) კარგად იცოდა, ვინ ვინ იყო. ტყუილის თქმა იმხანად გაცილებით ძნელი იყო და არც თვალში ნაცრის შეყრას აპატიებდნენ ერთმანეთს. ამბობენ, მესხიერება ცენზურას არ ემორჩილებო. ჰოდა, ძველ პარტიელებს კარგად ახსოვდათ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატის ამოცანები იოსებ სტალინმა შესანიშნავად ჩამოაყალიბა 1901 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი უახლოესი ამოცანები“. იგივე პრობლემები ვ. ლენინმა ძალზე ბუნდოვნად გააშუქა 1902 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ ვ. ლენინს ერთი სერიოზული ნაშრომიც არ ჰქონდა დაწერილი ეროვნული საკითხის შესახებ, როცა 1904 წელს გამოქვეყნდა ი. სტალინის ცნობილი ნაშრომი „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატის ნაციონალური საკითხი“.

მაშ, საიდან გაჩნდა მითი, ი. სტალინს ვ. ლენინის მოწაფედ რომ წარმოადგენდა? ეს რთული საკითხია და მისი გარკვევა ვ. ლენინის ან ი. სტალინის თეორიული ან პრაქტიკული ნაღვაწის შეფასებით შეუძლებელია. პრობლემა გაცილებით ღრმაა. მოვლენები, რომელმაც შეიძლება საკითხს ნათელი მოჰყინოს, ასე განვითარდა.

სოციალისტური დოქტრინა, სოციალისტური იდეოლოგია ერთიანი არასოდეს ყოფილა. სოციალისტური მოძღვრება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კონკრეტული მიმდინარეობის სახით მოველინებოდა ხოლმე საზოგადოებას: უტოპიური სოციალიზმი, ანარქიზმი, მარქსიზმი, ლენინიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი და სხვ., რაც სწორედ ერთიანი სოციალისტური დოქტრინის არარსებობის დამადასტურებელია. უფრო მეტიც, ყველა ცნობილმა სოციალისტმა: ლუი-ოგიუსტენ ბლანკმა (1805-1881), ალექსანდრე გერცენმა (1811-1870), მიხეილ ბაკუნინმა (1814-1876), ფერდინანდ ლასალმა (1825-1864), ვილჰელმ ლიბკნეხტმა (1826-1900), ავგუსტ ბებელმა (1840-1913), ჟიულ გელმა (1845-1922), ედუარდ ბერნშტეინმა (1850-1932), კარლ კაუცკიმ (1854-1938), გიორგი პლექანოვმა (1856-1918), ემილ ვანდერველდემ (1866-1938), ლევ ტროცკიმ (1879-1940) და სხვ. ერთმანეთისგან განსხვავებულ სოციალისტურ მიმდინარეობებს დაუდეს სათავე.

სოციალისტ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს). ი. სტალინის როლისა და ადგილის განსაზღვრა სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის ისტორიაში არ არის ადვილი საქმე. ეს, პირველ რიგში, ტრადიციულ შეხედულებათა უსაფუძვლობის დამტკიცებას მოითხოვს. წინასწარვე შევნიშნავთ, რომ ჩვენს სინამდვილეში ცნებები „სოციალისტური მოძღვრება“, „სოციალისტური დოქტრინა“, „სოციალიზმი“, „სოციალ-დემოკრატია“, „მარქსიზმი“, „ლენინიზმი“, „ბოლშევიზმი“ ყო-ველთვის არ იხმარებოდა მისი ნამდვილი მნიშვნელობით. პოლიტიკური მიზნით, დროდადრო ისინი სხვადასხვა შინაარსით ივსებოდა.

იოსებ სტალინი, როგორც მოაზროვნე, ცხადია, კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ყალიბდებოდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ი. სტალინის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდა ქართული ეროვნული მოძრაობა, რუსული ნაროდნიკული სოციალიზმი, ანარქიზმი, სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება... ქართული ეროვნული მოძრაობა, რუსული

ნაროდნიკული სოციალიზმი და ანარქიზმი, შეიძლება ითქვას, ი. სტალინმა უშუალოდ პირველწყაროებიდან შეითვისა... რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას, ი. სტალინი მას შემდეგნება როგორც პირველწყაროებიდან (კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ე. ბერშტეინისა და კ. კაუცკის ნაშრომებიდან), ისე გ. პლენხანოვის ნაწერების საშუალებით.

რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება ორ ეტაპად გავრცელდა. პირველი ეტაპი XIX საუკუნის 70-80-იან წლებს მოიცავს და იგი გიორგი პლენხანოვის სახელთანაა დაკავშირებული. მეორე ეტაპი 90-იანი წლების დამდეგიდან იწყება და იგი ვლადიმერ ლენინის სახელს უკავშირდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. პლენხანოვს სოციალიზმი და მარქსიზმი არ გაუიგივებია, ხოლო ვ. ლენინმა ფაქტობრივად სოციალიზმსა და მარქსიზმს შორის ტოლობის ნიშანი დასვა. ეს ორი მოაზროვნე სხვა ბევრითაც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

გიორგი პლენხანოვი სოციალისტი იყო ამ სიტყვის ფართო გაგებით. მას სოციალ-დემოკრატიული იდეები იტაცებდა საერთო სოციალური პროგრესის მიღწევის თვალსაზრისით და არა როგორც საშუალება პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა. ეს სულაც არ ეწინააღმდეგება გ. პლენხანოვის დასკვნას, რომ სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა განუყოფელია. ნაროდნიკული იდეების უარყოფის შემდეგ თუ რატომ დადგა გ. პლენხანოვი მარქსიზმის პოზიციაზე, ძნელი ასახსნელია. საბოლოოდ, დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთი და მარქსიზმი გ. პლენხანოვმა ვერ დააკავშირა – გასაგებად ვერ ახსნა, რაში სჭირდებოდა სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება რუსეთს. ნუთუ გ. პლენხანოვი ვერ მიხვდა, რომ რუსეთში სახელმწიფო იყო „ისტორიის შემოქმედი“, ხოლო კ. მარქსი „ისტორიას გაიაზრებდა სახელმწიფოს გარეშე?“ ნუთუ გ. პლენხანოვი ვერ მიხვდა, რომ „მარქსი – ეს ლიტერატურაა. ლიტერატურა კი ძველდება, მას სინამდვილე ამარცხებს ან კვდება“ (ჟღერვლ $\text{I} \text{გტყუკტჰ} \text{ჰ} \text{ჰკეცფზტცნდჯ} \text{ბ} \text{ცჯწფგბჰვ} \text{ჰ} \text{ტნტჰკჰჰუ} = 1922 = \text{ც} \backslash 68-69 \backslash$ ნუთუ გ. პლენხანოვი ვერ მიხვდა,

რომ მარქსიზმი რუსეთის განახლების იდეოლოგიად ვერ გამოდგებოდა? ნუთუ ძნელი მისაგნები იყო ის ჭეშმარიტება, რომელიც ცოტა მოგვიანებით ასე ჩამოაყალიბა ოსკალდ შპენგლერმა: უპყლფყცნდჯ ვბჰფ (ჭელტბურგერტუმ) ნჯ ;ფკრფზ აჰფაჰ\ Vs კლბ ჯგჰტლტკტყყჯუჯ ცნჯკტბზ= ყფზბბ= რჰჲუფ= ნბგფ\ "ნჯ ყტჯ,ჯღლბესტ ეცკჯღბზ= გჰბ რჯნჯჰს[ეს ვჯ:ტვ გჰბლფნმ ცვსცკ ბ უკებყე ყფიტვე ცეოტცნდჯღფყბ.= ვჯ:ტნ ,სნმ ლტზნტკჰვბ= ნფრ;ტ გჯცჰტლცნდჯვ ცკჯღფ\ Xტვ ,ჯკტტ ვს ჰფგჯკყზტვ ნბ ლფყესტ უჰფყბწს= ნტვ ლფკტტ გჰჯცნბჰფტნცზ ყფიფ ლტქცნდტყყჯცნმ\ ჰკფნჯყ ,სკ ფბყზყბყ= ჰტბჰჰმ – ჰბვზყბყ= ჯტნტ – ყტვტწ\ ნჯ ნფრჯღსვბ ჯყბ ,სკბ დცტწტკჯ ბ გჰტ;ლტ დცტუჯ= ნბვ ჯ.ეცკჯღკტყჯ ბ[დცტვბჰყჯ-ბცნჯჰბტცრჯტ დკბზყბტ (ყცდფკლ Igტყუკტჰ\ ჰჰეცფზტცნდჯ ბ ცჯწბფკბჰვ= ც\ 69)\ სწორედ ამ ელემენტარული ჭეშმარიტების უგულვებელყოფის შედეგი იყო ის, რომ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში და მომდევნო პერიოდშიც გ. პლენხანოვი დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობდა – რუსეთში სახელმწიფოებრიობის განვითარების საყოველთაოდ ცნობილ კანონზომიერებას შუბლით ეჯახებოდა. საბოლოოდ კი გ. პლენხანოვმა საკუთარ მოძღვრებას სისტემის სახე ვერ მისცა (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.28-29).

ვლადიმერ ლენინი ჩასწვდა გიორგი პლენხანოვის შეცდომათა არსს. ვ. ლენინმა აღიარა, რომ მარქსიზმი რუსეთში სოციალური განახლების იდეოლოგიად არ გამოდგებოდა. მით უმეტეს, მარქსიზმი პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას ვერ უზრუნველყოფდა. სოციალისტურ მიმდინარეობათაგან ვ. ლენინი ლუი-ოგოუსტენ ბლანკის მოძღვრებაზე შეჩერდა. ეს შემთხვევითი არ იყო. ბლანკიზმი ვ. ლენინმა პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის რეალურ გზად დასახა. ვ. ლენინმა ისიც განჭვრიტა, რომ ბლანკიზმის მარცხი რუსეთთან შედარებით პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებულ ევროპაში სულაც არ ნიშნავდა, რომ ეს მოძღვრება წარმატებას ვერ მიაღწევდა

რუსეთში. პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის მიზნით გლახთა საყოველთაო აჯანყების ნაროდნიკული იდეის კრაზი ვ. ლენინისათვის სულ ახლო წარსული იყო. ამ გზით ვ. ლენინი, ცხადია, აღარ წავიდილა. ძალაუფლების სწრაფი დაპყრობის თვალსაზრისით არც მარქსიზმი გამოდგებოდა. რჩებოდა ბლანკიზმი – შეთქმულების, გადატრიალების გზით, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობების გათვალისწინების გარეშე, ძალაუფლების დაპყრობა. ირწმუნა თუ არა ლენინმა საბოლოოდ ბლანკიზმის პერსპექტივა რუსეთში, ახლა ძნელი დასადგენია, მაგრამ, ცხადია, რომ უკვე XIX საუკუნის 90-იან წლების დამდეგს იგი ბლანკიზმის პოზიციაზე იდგა. ბლანკიზმს ვ. ლენინი ამკარად მხარს ვერ დაუჭერდა. ამ იდეოლოგიამ ევროპაში მარცხი განიცადა, რის გამოც ლენინისათვის პოლიტიკურად წამგებიანი იყო ბლანკისტის სახელით გამოსულიყო პოლიტიკურ სარბიელზე. სწორედ ამიტომ ლენინი ამოეფარა იმხანად ძალზე პოპულარულ იდეოლოგიას – მარქსიზმს (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.29-30).

ვლადიმერ ლენინი მარქსისტი არასდროს ყოფილა, არც XIX საუკუნის 90-იან წლებში და არც 1917 წელს. ვ. ლენინმა საკუთარი მოძღვრება – ლენინიზმი – ბლანკიზმზე დააფუძნა, თუმცა უფრო სამართლიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ვ. ლენინმა ბლანკიზმიდან აიღო მხოლოდ ცუდი, ისევე როგორც მხოლოდ ცუდი აიღო ანარქიზმიდან, რუსული ნაროდნიკული სოციალიზმიდან, მარქსიზმიდან. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინმა თავის მოძღვრებას სისტემის სახე მანც მისცა.

ვლადიმერ ლენინი ბლანკისტი არ იყო იმიტომ, რომ მან ბლანკიზმში უარყო მთავარი – გადატრიალების განხორციელება დიდი სისხლისღვრის გაშერე; ლენინი ანარქისტი არ იყო იმიტომ, რომ მას არ ჰქონია მასების რწმენა; ლენინი ნაროდნიკი არ იყო იმიტომ, რომ სოციალურად თანასწორთა საზოგადოების შექმნა მას აზრად არ მოსვლია; ლენინი მარქსისტი არ იყო იმიტომ, რომ მან მარქსიზმში უარყო მთავარი – საზოგადოების განვითარების

კანონზომიერების შეუვალობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ფორსირების შეუძლებლობა (ვგურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.30).

მაინც რა იყო ყველაზე მეტად მიუღებელი ლენინიზმში? – ისტორიული კანონზომიერების უარყოფა, საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კანონების უგულებელყოფა. სწორედ ამით იყო განპირობებული ყველა სხვა უარყოფითი მოვლენა ლენინიზმში (სექტანტიზმი, ექსტრემიზმი, დიქტატურა და ა. შ.).

ლუი-ოგიუსტენ ბლანკმა ვლადიმერ ლენინს კარგი სამსახური გაუწია, ხოლო ლენინმა ბლანკს – მხოლოდ ცუდი. იდეალისტი ბლანკი ისტორიაში გულმხურვალე რევოლუციონერად დარჩებოდა, რომ არ ყოფილიყო პრაგმატისტი ლენინი.

ვ. ლენინის ილუზია პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შესახებ სავსებით გაფანტა 1905-1907 წლების რევოლუციამ. რუსეთი ის ქვეყანა იყო, სადაც მეჯინიბე ან გაკრეჭილი ბერი შეიძლებოდა მეფის ტახტზე დამჯდარიყო, მაგრამ რუსეთი ის ქვეყანაც იყო, სადაც მეფე-მამის მისიის აღსრულება ყველას არ შეეძლო. რევოლუციამ, მისმა მსვლელობამ და მარცხმა ლენინი, როგორც მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე, გააკოტრა. იგი ახალს ვედარაფერს ქმნიდა: თავს ისევ მარქსისტად ასალებდა, კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთში განგებისაგან განსაზღვრული მისიის აღსრულებას იწყებს იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი).

იოსებ სტალინს რუსი სოციალისტებისაგან განსხვავებით ის დიდი უპირატესობა ჰქონდა, რომ, ერთის მხრივ, მან ღრმად და საფუძვლიანად იცოდა რუსეთის ისტორია, კარგად ერკვეოდა რუსული სამყაროს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში, მის თვითმყოფადობასა და თავისებურებებში. მეორეს მხრივ, ი. სტალინმა საფუძვლიანად შეისწავლა სოციალისტური მოძღვრების თითქმის ყველა მიმდინარეობა, კარგად იცნობდა იგი გ. პლენხანოვისა და ვ. ლენინის ნაშრომებს. უკვე XX საუკუნის

დამდეგს იოსებ სტალინმა გააკეთა უაღრესად საინტერესო დასკვნები: 1) სოციალისტური მოძღვრება, სოციალიზმის ნებისმიერი მიმდინარეობა მიუღებელი იყო რუსეთისათვის. რუსეთის თვითმყოფადობა გამორიცხავდა იქ სოციალისტური იდეების ხორცშესხმას; 2) ვერც ერთი პოლიტიკური პარტია თუ მიმდინარეობა რუსეთში უახლოეს ხანებში ძალაუფლებას ვერ დაიპყრობდა – ცარიზმის სოციალური ბაზა საკმაოდ ძლიერი იყო და ჯერჯერობით უზრუნველყოფდა პოლიტიკური სისტემის სიმტკიცეს (ორივე დასკვნის აბსოლუტური ჭეშმარიტება დადასტურა 1905-1907 წლების რევოლუციამ); 3) პოლიტიკური პარტიების მიერ ძალაუფლების დაპყრობის საკითხი მხოლოდ მაშინ დადგებოდა, როცა რუსეთი 1905 წლის მსგავსად ახალ დიდ სოციალურ აფეთქებამდე მივიდოდა, როცა ცარიზმს სოციალური ბაზა გამოეცლებოდა. ამ პროცესის დაჩქარება კი რუსეთში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს არ შეეძლოთ, იგი თავისი კანონზომიერებით უნდა მომწიფებულყო (ამ დასკვნის სისწორე დადასტურა 1907-1917 წლების მოვლენებმა); 4) რუსეთში 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ შექმნილი სიტუაცია სავსებით ცხადად ადასტურებდა, რომ ახალი დიდი სოციალური აფეთქება ახლო მომავალში არ იყო მოსალოდნელი (ამ დასკვნაში კორექტივი შეიტანა პირველმა მსოფლიო ომმა, რომელმაც ძალზე დააჩქარა რევოლუცია); 5) ახალი დიდი სოციალური აფეთქების შემთხვევაში რუსეთში ხელისუფლებისათვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე სერიოზული ძალა სოციალ-დემოკრატია იქნებოდა (**ვგურული**. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.31-32).

რა ჰქონდა საერთო ი. სტალინის ამ დასკვნებს უკვე ცნობილ სოციალისტურ მიმდინარეობებთან, უფრო კონკრეტულად კი მარქსიზმთან ან ლენინიზმთან? – ძალიან ცოტა, თითქმის უმნიშვნელო. იოსებ სტალინი ახალ სოციალისტურ მიმდინარეობას, ახალ სოციალისტურ მოძღვრებას – სტალინიზმს – უყრიდა საფუძველს.

იოსებ სტალინის წინასწარმეტყველება ახდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთის იმპერია დაანგ-რია, პოლიტიკური პარტიებისათვის ფართო სამოქმედო ასპარეზი გაღადა. იოსებ სტალინის ზებუნებრივმა ნიჭმა და ენერგიამ გასაქანი ჰპოვა და სტალინი თავისი მისიის აღსრულებას შეუდგა. ი. სტალინს ამ მისიის აღსრულება მარქსისტის მანტიამოსხმულს მოუხდა. იმხანად რომ ი. სტალინს მის მიერ ახალი მოძღვრების შექმნაზე დაეწყო ლაპარაკი, იგი უნდა დაპირისპირებოდა ვ. ლენინს და მთელ ბოლშევიკურ პარტიას. ეს ძალზე გააძნელებდა პოლიტიკური მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლას. მარქსისტის სამოსელი კი ი. სტალინს სულაც არ უშლიდა ხელს ჩანაფიქრის აღსრულებაში.

1917 წლის 14 მარტიდან დაწყებული იოსებ სტალინი აქვეყნებს ნაშრომებს: „მუშათა და ჯარისკაცთა დებუტატების საბჭოების შესახებ“ (14 მარტი), „ომის შესახებ“ (16 მარტი), „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ“ (18 მარტი), „ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ“ (25 მარტი), „ან – ან“ (26 მარტი), „ფედერალიზმის წინააღმდეგ“ (28 მარტი) (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 3. თბ., 1948 გვ. 1-34). ეს ის ნაშრომებია, რომელთა საფუძველზე ვ. ლენინმა შეადგინა თავისი ცნობილი „აპრილის თეზისები“ (1917 წლის აპრილის დამდეგი). ვ. ლენინის პლაგიატს, „აპრილის თეზისებს“, რუსეთში სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გეგმა ეწოდა. ი. სტალინმა ამჯერად ჩრდილში დარჩენა არჩია.

იოსებ სტალინი ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმას ხვეწდა, პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებს ითვალისწინებდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა 1917 წლის მარტიდან ოქტომბრამდე გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული მისი უამრავი ნაშრომი. ვ. ლენინმა აშკარად იგრძნო ი. სტალინის უპირატესობა. რადგან სტალინი ჯერჯერობით ლენინს არ ებრძოდა, მის ლიდერობას საფრთხეს არ უქმნიდა, ლენინი სტალინის ნააზრევს აედევნა. მდევრის როლში იყო ლენინი 1917 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით. ფარულმა

ალიანსმა გაამართლა: იოსებ სტალინმა თავისი მისია აღასრულა, ვლადიმერ ლენინმა ბოლშევიკური პარტიის ლიდერობა შეინარჩუნა, ხოლო ორივემ ერთად ბრწყინვალედ მოიგეს 25 ოქტომბერი – რუსეთის დროებითი მთავრობა ისტორიის სანაგვეზე მოისროლეს, პოლიტიკური პარტიები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვეს (**გაგურული**. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.33).

1917 წლის 25 ოქტომბერს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება ტაქტიკური თვალსაზრისით ბრწყინვალედ იყო გააზრებული. დროებით მთავრობას საკმაოდ სერიოზული ძალა (მუშები, ჯარისკაცები, მატროსები) უჭერდა მხარს. მაგრამ იმ დღეს, იმ მომენტში, იმ წუთში დროებითი მთავრობა მაინც მარტო დარჩა. დროებითი მთავრობის „სიმარტოვე“ დიდხანს არ გაგრძელდებოდა. საათები, შეიძლება წუთები წყვეტდა ყველაფერს. სწორედ ეს „წუთები“ არ გამოეპარა სტალინს. სხვა გზით ბოლშევიკები ძალაუფლებას ვერ დაეუფლებოდნენ.

ამრიგად, ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება 1917 წლის 25 ოქტომბერს სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. პოლიტიკურ პარტიათათვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზი შექმნა თებერვალ-მარტის რევოლუციამ. ხელისუფლებისათვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას – სტალინიზმს .

მაშ, საიდან გაჩნდა მითი სტალინი ლენინის მოწაფედ რომ წარმოგვიდგინა? ეს მითი თვით იოსებ სტალინმა შექმნა. მოვლენები კი ასე განვითარდა. იოსებ სტალინმა სწორად განჭვრიტა, რომ

ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლა ვ. ლენინის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდებოდა, ი. სტალინს ამ ბრძოლაში გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდა. არაოფიციალური რეიტინგით, იგი რკპ(ბ) ხელმძღვანელ ბირთვში ლევ ტროცკის, ლევ კამენევისა და გრიგორი ზინოვიევის შემდეგ იდგა. ი. სტალინს მეოთხე ადგილიც კი მყარად არ ეკავა. აქ მას შეიძლებოდა შესცილებოდნენ ნიკოლაი ბუხარინი და გიორგი პიატაკოვი.

ლ. ტროცკის სამოქალაქო ომმა წარმოუდგენლად დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა და იგი რუსი გლეხის, მუშისა და ჯარისკაცის თვალში ვ. ლენინის გვერდით დააყენა. ლ. ტროცკის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში, კერძოდ, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში. თუ ვ. ლენინის სიკვდილის შემდეგ ლ. ტროცკი აიღებდა ძალაუფლებას, ი. სტალინი მესამე ან მეოთხე კაცად კი არ დარჩებოდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაში, არამედ საეროდ გაქრებოდა პოლიტიკური ასპარეზიდან.

ლ. ტროცკისა და ი. სტალინის შერიგება უკვე აღარ შეიძლებოდა – სამოქალაქო ომის წლებში (1918-1920) ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ასე რომ, 1921 წელს ი. სტალინი იწყებს ბრძოლას ლ. ტროცკის დასამხობად. ეს იყო ძალზე სარისკო, შეიძლება ითქვას, უიმედო წამოწყება. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ი. სტალინს ყველაფერი კარგად ჰქონდა გათვლილი. ლ. ტროცკი შეტევას არ ელოდა, თვლიდა, რომ მისთვის გაცილებით საშიშნი ლ. კამენევი და გ. ზინოვიევი იყვნენ. ის კამენევი, რომელიც ლენინს რსფსრ სახკომსაბჭოში პირველ მოადგილედ ჰყავდა, ის ზინოვიევი, რომელსაც ლენინთან ერთად ეძინა რაზლივის კარავში. ლ. ტროცკი ვარაუდობდა: თუ სტალინი ძალაუფლებისათვის ბრძოლას დაიწყებდა, მას ჯერ რეიტინგით მასზე წინ მდგომი ლ. კამენევი და გ. ზინოვიევი უნდა ჩამოეცილებინა, ზურგის გამაგრების მიზნით ნ. ბუხარინის მოცილებაზე ფიქრიც არ იქნებოდა ზედმეტი... ამ ბრძოლაში ი.

სტალინს იმდენი დრო დასჭირდებოდა, რამდენიც ლ. ტროცკის ძალაუფლების აღებისათვის სავსებით ეყოფოდა.

ი. სტალინმა ზედმიწევნით ზუსტად ამოიცნო ლ. ტროცკის ვარაუდი და სამოქმედო გეგმაც მის შესაბამისად აავსო. იოსებ სტალინმა გადაწყვიტა: არ ჩაბმულიყო ლევ კამენევთან, გრიგორი ზინოვიევთან და ნიკოლაი ბუხარინთან ხანგრძლივ ბრძოლაში, პირდაპირ ლევ ტროცკისათვის შეეცა. თუ ი. სტალინი ლ. ტროცკის დაამარცხებდა, ლ. კამენევი და გ. ზინოვიევი ავტომატურად მისი მონა-მორჩილნი გახდებოდნენ, მაგრამ თუ ი. სტალინი ლ. კამენევსა და გ. ზინოვიევს დაამარცხებდა, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ლ. ტროცკისაც ადვილად ჩამოცილებდა გზიდან. ასე რომ ი. სტალინის გადაწყვეტილება პირდაპირ ლ. ტროცკისათვის შეეცა, ერთი შეხედვით ავანტურისტული და უპერსპექტივო, სინამდვილეში რეალური და მომგებიანი ჩანდა. ცხადია, არსებობდა იმისი შანსიც, რომ ი. სტალინს ყველაფერი წაეგო. ამ ადამიანურ შიშს იგი არ გრძნობდა. სიკვდილის შიში იოსებ სტალინს უკვე კარგა ხანია დაკარგული ჰქონდა (**ვ. გუგუშვილი**, სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.35-36).

ლევ ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა ვ. ლენინსა და ლ. ტროცკის შორის არსებული წინააღმდეგობის გამომწვეურებას, მძაფრად წარმოჩენას. პარალელურად ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ ი. სტალინი წარმოდგენილიყო როგორც ვ. ლენინის მტკიცე მიმდევარი, მისი ხაზის დამცველი. „მოწაფეობისაგან“ ჯერჯერობით ი. სტალინი თავს იკავებდა. 1921 წლის 19 იანვარს „პრავდაში“ იგი აქვეყნებს წერილს „ჩვენი უთანხმოებანი“ (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 5. თბ., 1949 გვ. 4-15). მისთვის დამახასიათებელი გაბედულებით ი. სტალინმა ლ. ტროცკის ბრალი დასდო ვ. ლენინთან დაპირისპირებაში, სახელმწიფო, პარტიული და პროფკავშირული მშენებლობის ანბანის უცოდინრობაში. ეს ძალზე სერიოზული ბრალდება იყო. რკპ(ბ) X ყრილობაზე (1921 წ. მარტი) ი. სტალინი ლ. ტროცკის არ შეჯახებია, მისი საკეთებელი საქმე ვ.

ლენინმა გააკეთა. ლ. ტროცკიმ ყრილობაზე ბრძოლა წაავო, თუმცა რკპ(ბ) ხელმძღვანელობაში ვ. ლენინის შემდეგ იგი კვლავ პირველ კაცად ითვლებოდა.

1921 წლის ივლისში ი. სტალინი წერს ნაშრომს „რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ“, რომელშიც ძირფესვიანად ანადგურებს ლ. ტროცკისა და სხვა გამოჩენილი ბოლშევიკების პოზიციებს (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 5. თბ., 1949 გვ. 67-95). ნაშრომი იმდენად მწვეველ იყო დაწერილი, რომ მისი გამოქვეყნებისაგან ი. სტალინმა თავი შეიკავა – ყველას ერთად გადამტერება არ ღირდა. ეს ნაშრომი ცოტა მოგვიანებით ძალზე ეფექტურად გამოიყენა ი. სტალინმა. მანამდე კი, 1921 წლის 18 დეკემბერს „პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „პერსპექტივები“ კვლავ მოხერხებულად დაუპირისპირა ვ. ლენინს ლ. ტროცკი (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 5. თბ., 1949 გვ. 128-139). ლ. ტროცკი თითქოს კვლავ უწყევად იდგა, თუმცა ი. სტალინი იმედს არ კარგავდა.

1922 წელი იოსებ სტალინმა და ლევ ტროცკიმ ერთ ბანაკში გაატარეს. სსრ კავშირის შექმნის პროცესში ისინი ერთმანეთს არ დაპირისპირებიან, თუმცა ეს დაზავება დროებითი იყო. სსრკ შექმნის შემდეგ ი. სტალინი კვლავ აგრძელებს ბრძოლას ლ. ტროცკის წინააღმდეგ. 1923 წლის 14 მარტს „პრავდა“ ბეჭდავს ი. სტალინის სტატიას „რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის“ (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 5. თბ., 1949 გვ. 176-198). ამ ნაშრომის შემდეგ ლ. ტროცკის ეჭვიც კი აღარ უნდა შეჰპარვოდა იმაში, რომ ავტორი მას სრულიად შეგნებულად უპირისპირებდა ვ. ლენინსა და მთლიანად ბოლშევიკურ პარტიას.

ი. სტალინმა ნელა და ოსტატურად გააკეთა გადასვლა „ოპოზიციონერი ტროცკიდან“ „მოლაღატე ტროცკიზე“. იოსებ სტალინი წერდა წარმოუდგენელი ლოგიკით, ნათლად, გასაგებად, უბრალოდ. წვრილ-წვრილ ფაქტებს არ ეძიებდა, გლობალურ, სტრატეგიულ საკითხებს მიჰყვებოდა. მიუხედავად ამისა, ლევ ტროცკის

მოლაღატეობა მაინც დაუჯერებელი ჩანდა. ალბათ ამითაც იყო გამოწვეული, რომ რკპ(ბ) XII ყრილობამ (1923 წ. აპრილი) ძალაში დატოვა ძველი რეიტინგი: ტროცკი – კამენევი – ზინოვიევი – სტალინი. ვ. ლენინი ავადაა, ყრილობას ლ. კამენევი ხსნის. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება ორ ნაწილად გაიყო: პოლიტიკური ანგარიში (უფრო მნიშვნელოვანი) გ. ზინოვიევმა გააკეთა, საორგანიზაციო მუშაობის ანგარიში (შედარებით უმნიშვნელო) ი. სტალინმა წარმოადგინა (Двенадцатый съезд РКП(б). 17-25 апреля 1923 года. Стенографический отчет. Москва, 1968, стр. 8-53, 55-69, 198-206, 207-230). ლიდერის როლი ლ. ტროცკის ერგო. ძალზე თავდაჯერებული ჩანდა ლევ ტროცკი. მოვლენები ისე ვითარდებოდა, თითქოს ბოლშევიკური პარტიის ლიდერად ლ. ტროცკის გახდომას მხოლოდ ვ. ლენინის მიმქრალი სიცოცხლეა აფერხებდა. ეს კი დროებითი შეფერხება იყო: ვ. ლენინი რომ დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა, ამაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა.

იოსებ სტალინი არ შეუშინებია რკპ(ბ) XII ყრილობის გარეგნულ შედეგებს. მან ყრილობაზე სხვა რამ დაინახა: ლევ ტროცკის დაუცხრომელი ლტოლვა პარტიის ლიდერობისაკენ ძალზე აღელვებდა ლ. კამენევს, გ. ზინოვიევსა და ნ. ბუხარინს, ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. სტალინისათვის. აუცილებელი იყო ლ. კამენევისა და გ. ზინოვიევის განწყობილების გამოყენება.

1923 წლის 15 დეკემბერს „პრავდაში“ ქვეყნდება ი. სტალინის წერილი მეტად ორიგინალური სათაურით: „დისკუსიისა, რაფაილისა, პრეობრაჟენსკის და საპრონოვის სტატიებისა და ტროცკის წერილის შესახებ“ (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 5. თბ., 1949 გვ. 408-426). ყველას გაჰკრა კბილი ი. სტალინმა, ლ. კამენევი და გ. ზინოვიევი კი აშკარად დაინდო. ეს უკანასკნელნი მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ. წერილში ყველაზე მწვავედ ლევ ტროცკი იყო გაკრიტიკებული, ნაჩვენები იყო ვ. ლენინისა და ლ. ტროცკის შეხედულებათა სრული პოლარულობა.

ლევ ტროცკი იოსებ სტალინის ნაწერებზე გაცილებით მეტ ყუ-რადლებას ვ. ლენინის ავადმყოფობას აქცევდა. კვლავ ფიქრობდა, რომ ვ. ლენინის სიკვდილით ისპობოდა ის უკანასკნელი ბარიერი, რომელიც აფერხებდა მის მიერ ბოლშევიკური პარტიის ლიდერის სავარძლის დაკავებას. ამაში კი ლ. ტროცკი მწარედ ცდებოდა... მან აშკარად ვერ შეაფასა იოსებ სტალინის შესაძლებლობანი.

ვ. ლენინის გარდაცვალება მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მან მაინც დიდი დაბნეულობა შეიტანა რკპ(ბ) უმაღლეს ემე-ლონებში. არ დაიბნა მხოლოდ იოსებ სტალინი. ცხადი იყო, რომ ბოლშევიკური პარტიის ლიდერი იგი ჯერ კიდევ ვერ გახდებოდა, ამიტომ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ლ. ტროცკის აღმასვლის შეჩერება, თუნდაც დროებით.

ლევ ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ეტაპს ი. სტალინმა ვ. ლენინის სიკვდილისთანავე დაუღო სათავე. ბრძოლის ძველი მეთოდებით ი. სტალინი მიზანს ვეღარ მიაღწევდა. ყველასათვის მოულოდნელად იოსებ სტალინი შეუდგა ვ. ლენინის გაფეტიშებას. პირველად და შესანიშნავად მან ეს გააკეთა საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობაზე 1924 წლის 26 იანვარს თავის ცნობილ ნაშრომში „ლენინის გარდაცვალების გამო“ (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი ტ. 6. თბ., 1949, გვ. 55-61). ყველა დაიბნა: რაში სჭირდებოდა ვ. ლენინის გაღმერთება იოსებ სტალინს? რა მიზანს ემსახურებოდა საჯაროდ წარმოთქმული სიცრუე? სულ ცოტა ხნის წინ, 1920 წელს, ი. სტალინი საერთოდ არაფერს ამბობდა ვ. ლენინის ზეადამიანურ თვისებებზე, პირიქით, მის შეცდომებზეც თავისუფლად ლაპარაკობდა. იმხანად ვ. ლენინი სტალინისათვის პარტიის ჩვეულებრივი ლიდერი იყო და არა ღმერთკაცი. ი. სტალინის ორივე ნაშრომი („ლენინი როგორც რკპ ორგანიზატორი და ბელადი“; „სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის კრებაზე ვ. ი. ლენინის 50 წლისთავის გამო“), მიძღვნილი ვ. ლენინის იუბილისადმი, ძალზე თავდაჭერილად არის დაწერილი, უფრო ზუსტად – ობიექტურად წარმოადგენს საქმის ვითარებას (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი ტ. 4. თბ., 1948, გვ. 335-348).

ი. სტალინის ვარაუდი ძალზე მარტივი იყო. მთელი ბოლშევიკური პარტია, მთელი ხალხი უნდა დარწმუნებულიყო: ზეკაც ვლადიმერ ლენინს უბრალო მოკვდავი ლევ ტროცკი ვერ შეცვლიდა. ი. სტალინს აშინებდა ის, რომ ლ. ტროცკი დაუყოვნებლივ არ გამხდარიყო ბოლშევიკური პარტიისა და სსრ კავშირის პოლიტიკური ლიდერი. ამ შემთხვევაში მისი თავიდან მოცილება ძალზე ძნელი იქნებოდა. მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო ახალი ლიდერი? ი. სტალინს პასუხი უკვე მოფიქრებული ჰქონდა: არავინ. ვ. ლენინის ადგილი არავის უნდა დაეკავებინა. ი. სტალინს აუცილებლად სჭირდებოდა შუალედური პერიოდი („უძეფობის ხანა“). თუ ი. სტალინი ამას მიაღწევდა, იგი, სულ მცირე, ორ რამეს მაინც მოიგებდა: პირველი. ლ. ტროცკის ავტორიტეტი შეირყოდა, მას ყველა დამარცხებულ პოლიტიკურ მოღვაწედ ჩათვლიდა; მეორე. ლ. ტროცკის საბოლოოდ გასანადგურებლად ი. სტალინს კიდევ რჩებოდა დრო. ძალთა ასეთი განლაგებით კმაყოფილი დარჩებოდნენ ლ. კამენევი, გ. ზინოვიევი და ნ. ბუხარინი – პარტიისა და სახელმწიფოს ლიდერის ცარიელი სავარძელი მათაც გარკვეულ იმედებს უტოვებდა. იოსებ სტალინმა მიზანს მიაღწია. რკპ(ბ) XIII ყრილობამ (1924 წ. მაისი) პარტიული რეიტინგი უცვლელად დატოვა. ლიდერის ადგილი ვაკანტური იყო, შემდეგ მოდიოდნენ: ლევ ტროცკი, ლევ კამენევი, გრიგორი ზინოვიევი, იოსებ სტალინი, ნიკოლაი ბუხარინი. ეს იყო იოსებ სტალინის დიდი გამარჯვება (Тринадцатый съезд РКП(б). Май 1924 года. Стенографический отчет. Москва, 1963).

1924 წლის 26 იანვარს, როგორც აღვნიშნეთ, ი. სტალინმა ვ. ლენინი ღმერთკაცად გამოაცხადა. ორი დღის შემდეგ კი ნათელი გახდა იოსებ სტალინის კიდევ ერთი ჩანაფიქრი. 28 იანვარს კრემლის კურსანტთა სალამოზე წარმოთქმულ სიტყვაში (მოგონებაში) „ლენინის შესახებ“ (გამოქვეყნდა „პრავდაში“ 1924 წლის 12 თებერვალს) იოსებ სტალინმა თავი ვ. ლენინის „მოწაფედ“ წარმოადგინა (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი ტ. 6. თბ., 1949, გვ. 62-75). აქამდე ი. სტალინი ვ. ლენინის

თანამებრძოლი იყო, ამერიდან კი – „მოწაფეც“. კიდეც ვის შეიძლებოდა ჰქონოდა ვ. ლენინის „მოწაფეობის“ პრეტენზია? ლ. ტროცკი ამას არასგზით არ იკადრებდა. ლ. კამენევი, გ. ზინოვიევი და ნ. ბუხარინიც ვ. ლენინის თანამებრძოლებად თვლიდნენ თავს. იქნებ მათ „მოწაფეობაზეც“ არ ეთქვათ უარი? მაგრამ უკვე გვიან იყო. იოსებ სტალინმა სხვებს დაასწრო და დიდი უპირატესობაც მიიღო.

„მოწაფე“ „მასწავლებლის“ განდიდების გზით მიდიოდა. ი. სტალინის კონკურენტები უკვე მომხდარის გააზრებასაც ვერ ასწრებდნენ, „მოწაფე“ მათ მორიგ სიურპრიზს სთავაზობდა. 1924 წლის აპრილის დამდეგს იოსებ სტალინმა სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხა ლექციები საერთო სათაურით „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი ტ. 6. თბ., 1949, გვ. 81-216), რომელიც ეყრდნობოდა ადრე დაწერილ, მაგრამ გამოუქვეყნებელ ნაშრომს „რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ“. 1924 წლის მაისში ი. სტალინმა გამოსცა ბროშურა „ლენინისა და ლენინიზმის შესახებ“, სადაც შევიდა „მოგონება ლენინის შესახებ“ (კრემლის კურსანტთა სალამოზე წარმოთქმული) და „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ (სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები).

ლევ ტროცკიმ იგრძნო, რომ იოსებ სტალინი მას ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში მოღალატედ წარმოაჩენდა, პარტიის მომავალში კი ადგილს აღარ უტოვებდა. გამწარებულმა და გაბოროტებულმა ლ. ტროცკიმ სცადა შელახული ავტორიტეტის აღდგენა ნაშრომით „ოქტომბრის გაკვეთილები“. ლ. ტროცკიმ ერთი დაკვრით მონიღომა ი. სტალინისათვის სამაგიეროს გადახდა. რევანში არ შედგა. 1924 წლის 19 ნოემბერს ი. სტალინი ვრცელი სიტყვით გამოვიდა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის პლენუმზე. 26 ნოემბერს ი. სტალინის სიტყვა სათაურით „ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?“ გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა (ი. ბ. სტალინი.

თხზულებანი ტ. 6. თბ., 1949, გვ. 369-407) ეს ნაშრომი წარმოადგენს ლ. ტროცკის საბრალდებო დასკვნას. ლევ ტროცკის ლიდერობაზე უკვე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა.

იოსებ სტალინის ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ შეაფასეს, როგორც „მოწაფის“ მოკრძალებული ცდა, „მასწავლებლის“ მოძღვრების სისტემაში მოყვანის მიზნით შექმნილი. სინამდვილეში, მსგავსი რამ ი. სტალინს ფიქრადაც არ მოსვლია, „მოწაფეს“ „მასწავლებლის“ ნაწერებში ქექვა არ სჭირდებოდა. იოსებ სტალინს უკვე მოფიქრებული ჰქონდა სსრ კავშირში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის მშენებლობის საკუთარი გეგმა, რომელსაც ლენინის ნააზრევთან საერთო ძალიან ცოტა, თითქმის არაფერი ჰქონდა. ეს იყო უნიკალური გეგმა, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა ი. სტალინმა მალე დაიწყო. ი. სტალინის ნაშრომს „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ შემდეგ წლებში სხვა ნაშრომებიც დაემატა და 1926 წელს გამოვიდა იოსებ სტალინის ნაშრომების კრებული „ლენინიზმის საკითხები“. ი. სტალინს მუშაობა არ შეუწყვეტია, კრებული „ლენინიზმის საკითხები“ მისი ახალი ნაშრომებით ივსებოდა. სულ 1952 წლამდე ხსენებული კრებული თერთმეტჯერ გამოიცა.

ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ ვიმეორებთ: იმას, რასაც იოსებ სტალინი ლენინიზმს უწოდებდა, სინამდვილეში ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო ვ. ლენინთან, მით უმეტეს, არც კ. მარქსსა და ფ. ენგელსთან. ი. სტალინი აზროვნებდა სრულიად დამოუკიდებლად, არაორდინალურად. ის, რასაც ი. სტალინი ლენინიზმს უწოდებდა, სინამდვილეში წარმოადგენდა სტალინიზმს, – სრულიად ახალ მოძღვრებას. მსგავსება ლენინიზმთან მხოლოდ გარეგნული, მოჩვენებითი იყო.

ცხადია, იოსებ სტალინი ლევ ტროცკისავე სტალინიზმით ებრძოდა, ვ. ლენინი ამ შემთხვევაში იმ დროის როლს თამაშობდა, რომლის გარშემო შეიძლებოდა ძველი ბოლშევიკების დარაზმვა. დრომა კი ხელთ სტალინს ეპყრა... ლ. ტროცკი ი. სტალინმა

სტალინიზმით დაამარცხა, სტალინიზმით იქნენ დამარცხებულნი სხვა ოპონენტებიც: ლევ კამენევი, გრიგორი ზინოვიევი, ნიკოლაი ბუხარინი.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რაში დასჭირდა იოსებ სტალინს მის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრების ვლადიმერ ლენინისათვის მიწერა? ეს განპირობებული იყო 1924 წლის დამდეგს შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით. ამ პერიოდისათვის ი. სტალინის მდგომარეობა არ იყო მტკიცე. ბოლშევიკური პარტიის ლიდერის პოსტისათვის გამწვავებულ ბრძოლაში იგი მარტო თავისი თავის იმედად ვერ იქნებოდა.

სანამ ი. სტალინი ბოლშევიკური პარტიის ლიდერი და უზარმაზარი ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი არ გახდებოდა, მოკრძალებულად უნდა დარჩენილიყო. 1924 წლის დამდეგს რომ ი. სტალინს საჯაროდ განეცხადებინა სტალინიზმის, ახალი მოძღვრების, არსებობის შესახებ, მას აუცილებლად მოსპობდნენ. ი. სტალინი ყველაფერს ერთად დაკარგავდა. მის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრებაც დავიწყებას მიეცემოდა. თუ ი. სტალინი ვ. ლენინს ამოეფარებოდა, გაცილებით დიდი შანსი ჰქონდა კონკურენტებიც ჩამოეცილებინა, ბოლშევიკური პარტიისა და სსრ კავშირის პოლიტიკური ლიდერობაც ხელთ ეგლო და საკუთარი მოძღვრებაც გადაერჩინა. იოსებ სტალინმა მეორე გზა აირჩია. იოსებ სტალინს იმდენად დიდი მიზნები ჰქონდა, რომ იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას არც კი ანიჭებდა, ამ მიზნამდე „ლენინიზმით“ მივიდოდა, თუ „სტალინიზმით“. ასეთ შემთხვევაზე იტყვიან: მიზანი ამართლებს საშუალებას. ასე ფიქრობდა იოსებ სტალინიც.

1924 წელს იოსებ სტალინს რომ მის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება – სტალინიზმი – საცნაური გაეხადა, მთელი თავისი სისრულით წარმოეჩინა, ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯდნენ, ზარბაზნის ლულაში ჩადებდნენ და სამხრეთისაკენ გამოისროდნენ.

ეს არ იქნებოდა იოსებ სტალინის ტრაგედია, ეს რუსეთის ტრაგედია იქნებოდა.

თუმცა მოგვიანებით იოსებ სტალინის ნეშტს მაინც არ ასცდა შეურაცხყოფა, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. იოსებ სტალინი უკვე მსოფლიო ისტორიის განუყოფელი ნაწილი იყო და მისი გასამართლება ჩვეულებრივ მოკვდავებს აღარ ხელეწიფებოდათ.

თავი XIII. სოციალური
და ეკონომიკური სისტემა

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის, ბატონყმობის გაუქმებისა და 60-70-იანი წლების რეფორმების წყალობით, რუსეთში ჩამოყალიბდა სოციალური სისტემა, რომელიც თითქოს იძლეოდა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა სამუდამოდ და უმტკივნეულოდ დამკვიდრების გარანტიას. მიუხედავად კრიზისებისა, უზარმაზარი სახელმწიფო ეკონომიკური თვალსაზრისით სწრაფად ვითარდებოდა, იხვეწებოდა სოციალური ურთიერთობანი. ახალ ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებს ფეხს ვეღარ უწყობდა, მათ განვითარებას აფერხებდა პოლიტიკური სისტემა – ცარიზმი (მონარქია), რომელსაც პეტრე დიდის ეპოქის შემდეგ თითქმის არავითარი სერიოზული ცვლილება არ განუცდია. XIX საუკუნის დამდეგის რეფორმებს მხოლოდ კოსმეტიკური ხასიათი ჰქონდა, მისი შედეგები XX საუკუნის დასაწყისში უკვე აღარ იგრძნობოდა. ახალ რეფორმებზე უკანასკნელი მონარქი, ნიჟიერი და ერუდირებული ადამიანი, ნიკოლოზ II, სამწუხაროდ, არ ფიქრობდა. ალბათ ბედისწერაც იყო. პოლიტიკური სისტემისათვის დამღუპველ ნაბიჯს წარმოადგენდა მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა ინტერესებით ნაკარნახევი ომის დაწყება იაპონიასთან.

რუსეთ-იაპონიის ომმა (1904-1905 წწ.) ძლიერი დარტყმა მიაცენა ქვეყნის ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოუყალიბებელ ეკონომიკურ და სოციალურ სისტემას. სოციალური და ეკონომიკური ვითარება სწრაფად დაიძაბა. ლავირების უნარმოკლებული პოლიტიკური რეჟიმი, რომლის სათავეში განათლებული, მაგრამ უნებისყოფო მონარქი იდგა, ბოლომდე ერთგულად ასრულებდა მოკავშირე სახელმწიფოს დაკვეთას – აშკარად წაგებულ ომს არ წყვეტდა. სადღაც, წყნარი ოკეანის სანაპიროზე წარმოებული ომი სულ უფრო ძაბავდა ვითარებას. შედეგმაც არ დააყოვნა – 1905 წლის იანვარში რუსეთში რევოლუცია დაიწყო. ივანე ბოლოტნიკოვის, სტეფანე რაზინისა და ემელიანე პუგაჩოვის შემდეგ რუსეთს კვლავ გადაუარა დიდმა სოციალურმა ბუნტმა. ეკონომიკურმა და სოციალურმა სისტემამ ამჯერად პოლიტიკური სისტემის

უუნარობას გაუძლო. 1905 წლის მღელვარე მოვლენების შემდეგ რუსეთი კვლავ აღმავლობის გზაზე დადგა. ეს მეტწილად დიდი პოლიტიკური მოღვაწის პ. სტოლიპინის დამსახურება იყო. თუმცა, პ. სტოლიპინის რეფორმები, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, ხოლო თავად რეფორმატორის მკვლელობის შემდეგ კიდევ უფრო შეფერხდა. მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ 1907-1914 წლებში რუსეთის იმპერია აღმავლობას განიცდიდა.

1914 წელს მონარქიამ მეორე, ამჟამად უკვე გამოუსწორებელი, შეცდომა დაუშვა – რუსეთი მსოფლიო ომში ჩაება. ამ ომს შეეწირა კიდევ რომანოვების იმპერია – 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში რევოლუცია მოხდა. ომისაგან უკიდურესად გამწვავებულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა ააფეთქა პოლიტიკური სისტემა – ცარიზმი.

1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ რუსეთში სოციალური წონასწორობის აღდგენა მაინც შესაძლებელი გახდა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ კი იგი წარმოუდგენლად გაძნელდა. რევოლუციის ტალღაზე ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოსული მოღვაწეები: ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, მატკეი სკობელევი, დროებითი მთავრობის ყველა შემადგენლობა მისი თავმჯდომარეებით და მინისტრებით განწირულნი აღმოჩნდნენ იმიტომ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისა და მოახლოებული სამხედრო კატასტროფის თავიდან აცილებას გონივრულად გააზრებული ეკონომიკური და სოციალური სისტემის გარეშე ცდილობდნენ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ მთელი თავისი არსებობის მანძილზე (1917 წლის მარტი-ოქტომბერი) დაახლოებითაც ვერ მოხაზა ქვეყნის სოციალური სისტემის მოდელი. კრაზი გარდაუვალი იყო. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება სწორედ რუსეთის დროებითი მთავრობის უგუნური სოციალური პოლიტიკის შედეგი იყო. ფაქტობრივად, არ არსებობდა არაერთარი სოციალური

პოლიტიკა, ორიენტირებული თუნდაც ერთ ძლიერ სოციალურ ფენაზე. აღარაფერს ვამბობთ ყველა სოციალური ფენისათვის მეტ-ნაკლებად მისაღებ პოლიტიკაზე. სახელმწიფოში სოციალური პოლიტიკის არარსებობა ყველა სოციალურ ფენას უკარნახებდა თვითონ ეზრუნა თავისი ინტერესების დაცვაზე. ეს კი ბადებდა ანარქიას, ქაოსს, ძალადობას, ამკვიდრებდა „უკანონო კანონიერებას“. მოძრაობაში მოდიოდა უზარმაზარი მასა, რომელიც ცდილობდა, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები საკუთარი ინტუიციის კარნახით გადაეჭრა. სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ეს მასა მალე პოლიტიკაშიც ჩაერეოდა.

ძველი სოციალური სისტემა პოლიტიკური რეჟიმის უგუნურებამ შეიწირა, ახალი პოლიტიკური სისტემა სოციალური სისტემის შექმნის უუნარობამ იმსხვერპლა. საერთო შედეგი კი ასეთი იყო: რუსეთში არ არსებობდა არანაირი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა.

რუსეთის სახელმწიფო დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. ბრძოლის უნარდაკარგული არმია ძლივს აკავებდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის ჯარების შემოტევას. მსოფლიო ომის წლებში და 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად მოძრაობაში მოსული უზარმაზარი მასა – წარმოუდგენელი დამანგრეველი ძალის მქონე სხვადასხვა სოციალური ფენის ნაკრები, – პოლიტიკური სისტემის სისუსტისა და უუნარობის ჟამს თავისი ძალა რომ იგრძნო, ქუჩაში იდგა, იდგა ფუნქციადაკარგული, რწმენადაკარგული, უიდეოდ და უწინამძღოლოდ. თუ რუსეთს პეტრე დიდის მსგავსი პოლიტიკური მოღვაწე არ გამოუჩნდებოდა, მაშინ აუცილებლად გამოჩნდებოდნენ ახალი დროის ბოლოტნიკოვები, რაზინები, პუგაჩოვები. მესამე გზა არ არსებობდა. ასეთ უმძიმეს პირობებში ჩაიბარეს რუსეთის სახელმწიფო ბოლშევიკებმა.

ბოლშევიკების ლიდერი ვლადიმერ ლენინი არც პეტრე დიდის და არც ემელიანე პუგაჩოვის როლში არ გამოდგა: პეტრე დიდობა ვერ შეძლო, ემელიანე პუგაჩოვის როლში გამოსვლისა აშკარად

შეეშინდა. 1917-1920 წლებში ნგრევა რუსეთში ინტენსიურად, კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გრძელდებოდა. განუხრელად ქვეითდებოდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. არ ჩანდა სოციალური სისტემის მონახაზიც კი. ვ. ლენინის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან მაინც შეძლო უზარმაზარი უმართავი სოციალური ძალა (გლეხობა, მუშები, არმია) 1918-1920 წლებში ხან სამოქალაქო ომში დაესაქმებინა – ძველი პოლიტიკური სისტემის რესტავრაციის მომხრეთა წინააღმდეგ გამოეყენებინა, ხან უცხო სახელმწიფოთა ინტერვენციის მოსაგერიებლად დაეარაზმა. მაგრამ ეს იყო დროებითი ღონისძიება, არ იყო გააზრებული ახალი ეკონომიკური და სოციალური სისტემის მოდელი. სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ უზარმაზარი სახელმწიფოს მართვა ასე არ შეიძლებოდა. ბოლშევიკების ხელისუფლება განწირული ჩანდა...

ვ. ლენინის ავადმყოფობის პერიოდში რუსეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები: ლევ ტროცკი (ბრონშტეინი), ლევ კამენევი (როზენფელდი), გრიგორი ზინოვიევი (რადომისლსკი), ნიკოლაი ბუხარინი და სხვები, – ახალი სოციალური და ეკონომიკური სისტემის შექმნაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ვ. ლენინის სიკვდილის მომენტისათვის (1924 წ.) რუსეთის ხსნის გეგმა აღმოაჩნდა, იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) იყო.

იოსებ სტალინის სოციალური სისტემის მოდელი, რომელიც სრულიად უსამართლოდ ბოლშევიკური (კომუნისტური), ან, კიდევ უფრო უარესი, ლენინური სოციალური სისტემის მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი, იქცა რუსეთის ხნის ლუჯად. ამ სისტემაზე ი. სტალინი, ცხადია, დიდი ხნიდან ფიქრობდა, დასრულებული სახე კი მან 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ პერიოდში მიიღო. ეს სისტემა თავიდან ბოლომდე იოსებ

ჯულაშვილის მიერ იყო გააზრებული, მას არაფერი აქვს საერთო კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ლენინის იდეებთან და ამდენად, მთელი თავისი სიდიადითა და ნაკლით მხოლოდ იოსებ სტალინის კუთვნილებაა.

რუსეთში შექმნილი ვითარება ზოგადად ზემოთ დავახასიათეთ. ახლა განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენდა რუსეთი სოციალურ ძალთა განლაგების თვალსაზრისით 1917-1924 წლებისათვის.

რუსეთის სოფლის ძველი სოციალური სისტემა მთლიანად მოშლილი იყო, აღარ ფუნქციონირებდა. საბჭოთა ხელისუფლება სოფლად მხოლოდ ადმინისტრაციულ ძალაუფლებას ინარჩუნებდა, რადგან ემყარებოდა სამხედრო ძალას. რუსი გლეხობა უკვე კარგა ხანია დაშლილი იყო შემდეგ ფენებად: ა) უღარიბესი გლეხობა (60-65%), ბ) საშუალო გლეხობა (30-35%), გ) კულაკობა (7-8%). უღარიბეს გლეხობას ეკონომიკური სახსარი, არსებობისათვის სტაბილური საშუალება არ გააჩნდა. საშუალო გლეხობისათვის შიმშილის პრობლემა არ იდგა, იგი ეკონომიკურად წელში გამართული იყო და მშვიდობიანი განვითარების შემთხვევაში პერსპექტივაც კარგი ჰქონდა. კულაკობა ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი სოციალური ფენა იყო და პერსპექტივაც შესანიშნავი გააჩნდა.

რუსეთის გლეხობის სამივე ფენა ერთმანეთთან მკვეთრად იყო დაპირისპირებული. ჩვეულებრივ თვლიან, რომ ერთმანეთს მხოლოდ უღარიბესი გლეხობა და კულაკობა ებრძოდა. ეს მცდარი შეხედულებაა: რუსეთის გლეხობის სამივე ფენა ერთმანეთს ებრძოდა და მათი მორიგება და სოფლად სოციალური ზავის ჩამოგდება შეუძლებელი იყო. ევროპის ქვეყნებში ამ სოციალურ ფენათა შერიგება შესაძლებელი იქნებოდა (განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოფლის მოსახლეობის სოციალურ ფენათა შორის დაპირისპირება XIX საუკუნეში, ფაქტობრივად, უკვე გადაჭრილ პრობლემად ითვლებოდა). რუსეთში კი სოციალური განვითარების თავისებურებანი, რუსული ცხოვრების

თვითმყოფადობა შეუძლებელს ხდიდა სოფლად სოციალური ზავის ჩამოგდებას. ეს იყო იოსებ სტალინის პირველი და დიდი აღმოჩენა ახალი სოციალური სისტემის მოდელის შექმნის გზაზე. რაც ი. სტალინმა აღმოაჩინა, მას თავის დროზე ვერ მიხვდა პ. სტოლიპინი, ვერ მიხვდნენ ვერც ვ. ლენინი და ვერც ლ. ტროცკი. ამ აღმოჩენის შემდეგ ი. სტალინს უნდა ეფიქრა სოფლად სოციალური კონფლიქტის მოსპობის (და არა მოგვარების) გეგმაზე. სოფლად სოციალური კონფლიქტის მოსპობის ერთადერთ შესაძლებელ გზად იოსებ სტალინმა რუსი გლეხობის ეკონომიკური გათანაბრება დასახა, რასაც შედეგად სოციალური თანასწორობის დამყარება უნდა მოჰყოლოდა. ეს იყო ი. სტალინის მეორე დიდი აღმოჩენა.

იოსებ სტალინმა კარგად იცოდა, რომ ევროპის ქვეყნები ფერმერული მეურნეობის შექმნის გზით წავიდნენ. ფერმერული მეურნეობა აყვავდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მაგრამ ამ გზით ი. სტალინი ვერ წავიდა. ამ გზით წავიდა პ. სტოლიპინი და დამარცხდა კიდევ. პ. სტოლიპინი ძველი რუსული სამყაროს (სასოფლო თემის) ნგრევის გზას დაადგა, ძველი პატრიარქალური სოციალური ურთიერთობანი მოსპო, გლეხობას სოციალური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა მიანიჭა. პ. სტოლიპინის რეფორმას ჩაფიქრებული ფერმერული მეურნეობის ბუმი არ მოჰყოლია. კულაკობის ფენა რაოდენობრივად, მართალია, საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ პროცენტულად, მთელი გლეხობის რაოდენობაზე გადაანგარიშებით, ძალიან ცოტა – 7-8%. ეს კი პ. სტოლიპინის იდეის მარცხს ნიშნავდა. კულაკობის (ფერმერების) ფენა რუსეთში პ. სტოლიპინის რეფორმიდან 10 წლის შემდეგ მთელი გლეხობის 70-80% რომ გამხდარიყო, რუსეთში სულ სხვა სოციალური სურათი გვექნებოდა.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში ფერმერული მეურნეობის ბუმი არ შედგა. გლეხობამ ძველი, მამა-პაპური წესებით არჩია ცხოვრება და „უარი თქვა“ გამდიდრებაზე. ბურჟუაზიულ

ურთიერთობათა დამკვიდრების ნაცვლად პ. სტოლიპინმა ასეთი შედეგი მიიღო: ძველი სოციალური სისტემა დაინგრა, ძველი სოციალური უჯრედი – სასოფლო თემი – მოიშალა, ახალმა სოციალურმა სისტემამ, ახალმა სოციალურმა უჯრედმა – ფერმერულმა მეურნეობამ – საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო, ვერ გაბატონდა.

პატრიარქალური სამყაროდან გამოსული რუსი გლეხი შუა გზაზე შეჩერდა. შუა გზაზე შეჩერდა რუსეთიც. სლავური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პრიმიტიული სოციალური თანასწორობის იდეა, მთელი რუსული თვითმყოფადი სამყარო წინ გადაეღობა სტოლიპინისეულ ახალ სოციალურ ურთიერთობათა დამკვიდრებას. თუმცა პ. სტოლიპინის რეფორმების შემდეგ ძველი სოციალური ურთიერთობების აღდგენაც წარმოუდგენელი იყო. ყოველივე ეს ნათლად დაინახა იოსებ სტალინმა. დრო არ ითმენდა: სოფლად ან დიდი სოციალური აფეთქება, რუსული ბუნტი დაიწყებოდა, ან შუა გზაზე შეჩერებულ რუსულ სოფელს და მთლიანად რუსეთს რაღაც გზა უნდა გამოენახა.

მაშ, ასე: სოფლად დიდი სოციალური აფეთქების თავიდან აცილების გზად იოსებ სტალინი გლეხობის ეკონომიკურ გათანაბრებას და ამის საფუძველზე სოციალური თანასწორობის მიღწევას სახავდა. მაინც როგორ უნდა მომხდარიყო ყოველივე ეს? ი. სტალინი ასე ფიქრობდა: სოფლად მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწის ფონდისათვის მიემატებინა კულაკებისათვის ჩამორთმეული მიწები და იგი უსასყიდლოდ გადაეცა უღარიბესი გლეხობისათვის, რაც უღარიბეს გლეხობას საშუალო გლეხობის რანგში აიყვანდა. მიწის ჩამორთმევის შემდეგ კულაკიც ეკონომიკურად საშუალო გლეხობას გაუთანაბრდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სოფლად დარჩებოდა ერთადერთი სოციალური ფენა ეკონომიკურად წელში გამართული და სოციალურად სახელმწიფოსაგან დაცული გლეხობისა. ყოველივე ეს ადვილად განსახორციელებელ ღონისძიებას არ წარმოადგენდა, მას უამრავი დაბრკოლება ელოებოდა წინ. მემამულეთა კლასი უკვე წელში

გატეხილი იყო, უფრო ზუსტად, აღარც არსებობდა, მაგრამ კულაკობა მიწას ადვილად არ დათმობდა. მემამულეთა კუთვნილი მიწები, ისევე როგორც სახაზინო, საეკლესიო და საკაბინეტო მიწები 1917 წლის 26 ოქტომბრის „მიწის შესახებ“ დეკრეტით გადაეცა სახელმწიფოს. კულაკობის მიწებს ხსენებული დეკრეტი არ შეჰხებია, რადგან კულაკი გლეხთა კლასს მიეკუთვნებოდა. დეკრეტი იმავე მიზეზით არც საშუალო გლეხის კუთვნილ მიწას ეხებოდა, აღარაფერს ვამბობთ უღარიბეს გლეხობაზე. ასე რომ, კულაკისათვის მიწის ჩამორთმევის ფორმაც უნდა გამოძებნილიყო და, რაც მთავარია, უნდა განსაზღვრულიყო მიწით სარგებლობის წესი.

იოსებ სტალინს გლეხობის ეკონომიკური და სოციალური გათანაბრებისათვის კიდევ რომ მიეღწია, სად იყო იმისი გარანტია, რომ ეს ერთიანი სოციალური ფენა ისევ არ დაიშლებოდა ორ ან რამდენიმე ფენად, ისევ არ გამოიყოფოდა გალატაკებული გლეხობის ფენა, რაც კვლავ შექმნიდა სოციალური აფეთქების საშიშროებას. ი. სტალინმა ეს პრობლემა ბრწყინვალედ გადაჭრა. თუ მიწა სახელმწიფოს ხელში დარჩებოდა და იგი მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით დროებით სარგებლობაში მიეცემოდა გლეხობას, კანონით აიკრძალებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა და გაჩუქება. სოფლად ეკონომიკური დიფერენციაცია შეუძლებელი იქნებოდა, ე. ი. შეუძლებელი იქნებოდა სოციალური დიფერენციაციაც და გალატაკებული გლეხობის ფენის წარმოქმნა. სწორედ ამის გამო იყო, რომ ი. სტალინმა მიწა ფაქტობრივად სახელმწიფოს განუყოფელ საკუთრებად აქცია.

ხშირად აღნიშნავენ: ი. სტალინმა კოლექტიური მეურნეობის შექმნით ძველი რუსული სასოფლო თემი აღადგინაო, რაც მთლად ზუსტად არ ასახავს სინამდვილეს. სასოფლო თემი მთელი თავისი არსებობის მანძილზე მიწას (სათემო მიწას) რეალურად ფლობდა, მის უდავო საკუთრებას შეადგენდა. რაც შეეხება კოლექტიურ მეურნეობას, მას მიწა რეალურ საკუთრებაში არასდროს ჰქონია,

მიწა ფაქტობრივად სა- ხელმწიფოს განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენდა.

იოსებ სტალინს იმთავითვე გამოუჩნდნენ ოპონენტები. ლ. ტროცკი და ნ. ბუხარინი ორი სხვადასხვა მიმართულებიდან უტყვევდნენ ი. სტალინის გეგმას. ლ. ტროცკი ამტკიცებდა: გლეხობა სოციალიზმის მტერია, იგი სოციალიზმის მშენებლობაში მონაწილეობას არ მიიღებს, ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხობა წელში უნდა გატეხოს სამხედრო-ადმინისტრაციული და ეკონომიკური ღონისძიებებით. ცხადი იყო, რომ ლ. ტროცკი სამოქალაქო ომისა და ე. წ. „სამხედრო კომუნისმის“ ეპოქის გავლენიდან ვერ გამოსულიყო და რუსული სოფლის დასჯის საშინელ გეგმებს სახავდა. ეს კი ქვეყანას ახალ სამოქალაქო ომს უქადდა, რაც შექმნილ საშინაო და საგარეო ვითარებაში, აუცილებლად დამთავრდებოდა საბჭოთა ხელისუფლების მოსპობით. ეს საფრთხე დროზე იგრძნო ი. სტალინმა და გადაჭრით აღუდგა წინ ლ. ტროცკის ავანტურისტული იდეის განხორციელებას.

ნ. ბუხარინი, პირიქით, ამტკიცებდა, რომ სოფლად ფერმერული მეურნეობის განვითარებას უნდა შეეუწყოთ ხელი. მართალია, ფერმერული (კულაკური) მეურნეობა კერძო საკუთრებაზე იყო დამყარებული, მაგრამ ნ. ბუხარინი თვლიდა, რომ კულაკობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა, შესაძლებელი იყო კულაკობის შეზრდა საბჭოთა წყობილებასთან. ცხადი იყო, რომ ნ. ბუხარინს პ. სტოლიპინის მარცხის მიზეზი არ ესმოდა, ვერ გრძნობდა, რომ რუსული სოფლის დიდხანს ამ მდგომარეობაში დატოვება აღარ შეიძლებოდა – იქ დაწყებული სოციალური აფეთქება მთელ პოლიტიკურ სისტემას დალუპავდა. სოფელს დროზე უნდოდა შველა: აუცილებელი იყო სოციალურ ძალთა დაბალანსება საბჭოთა წყობილების სასარგებლოდ. ნ. ბუხარინის გეგმა კი ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს ითვალისწინებდა. ი. სტალინისა და ნ. ბუხარინის პოლემიკა დიდხანს გაგრძელდა. ნ. ბუხარინი სოციალისტად თვლიდა თავს და ამიტომ კერძო საკუთრების (კულაკური მეურნეობის) მომხრედ

აშკარად ვერ გამოვიდოდა, ამიტომაც ამტკიცებდა: კულაკი საბჭოთა წყობილებას შეეზრდებო. ნ. ბუხარინთან პოლემიკაში ი. სტალინმა გარკვევით აღნიშნა: საბჭოთა სისტემაში, რომელიც საზოგადოებრივ (სახელმწიფო) საკუთრებას ემყარებოდა და ამდენად, უარყოფდა კერძო საკუთრებას, კულაკური (ფერმერული) მეურნეობა, როგორც კერძო საკუთრების სახეობა, მუდამ უცხო სხეულად დარჩებოდა. კულაკობა ეკონომიკურად გაძლიერდებოდა, მიიმხრობდა საშუალო გლეხობას და, ნაცვლად იმისა, რომ შეზრდოდა საბჭოთა წყობილებას, სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებდა მას. მსხვილი და წვრილი ფერმერების, ანუ კულაკობისა და საშუალო გლეხობის, ბლოკი სოფლად საბჭოთა ხელისუფლების მოსპობას ნიშნავდა. მაგრამ მოვლენათა განვითარება ამით არ დასრულდებოდა. ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდებოდა კერძო საკუთრების განვითარების გზით მიმავალი სოფელი და საზოგადოებრივ (სახელმწიფო) საკუთრებაზე მდგარი ქალაქი. დაპირისპირების მომენტი სათვის, ცხადია, უფრო სუსტი ქალაქი იქნებოდა, რომელსაც ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნისა და მართვის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. გაცილებით ძლიერი იქნებოდა სოფელი, რომელიც უკვე აპრობირებულ ეკონომიკურ სისტემას ეყრდნობოდა. ქალაქში მრეწველობა ჩამკვდარი იყო, ამიტომაც ქალაქს სოფელზე ეკონომიკური ზემოქმედების საშუალება არ ჰქონდა. სამაგიეროდ, სოფელს ქალაქზე ეკონომიკური ზემოქმედების ძლიერი და ეფექტური საშუალება გააჩნდა – მხოლოდ მას ხელეწიფებოდა პურითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ქალაქის მომარაგება.

საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო სოფლის წინააღმდეგ სამხედრო ძალის (არმიის) გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში კონფრონტაცია სამოქალაქო ომში გადაიზრდებოდა, რაც შეიწირავდა კიდევ პოლიტიკურ სისტემას. ი. სტალინის ოპონენტები აღნიშნავდნენ: დაე, დაწყებულიყო სამოქალაქო ომი, სოციალური ამბოხი, რომელიც მოსპობდა საბჭოთა სისტემას, რის შემდეგაც

დამყარდებოდა ბურჟუაზიული ურთიერთობანი და ქვეყანაც პროგრესის გზით წავიდოდა. დღეს ყველასათვის ცხადია: რუსეთში არავითარი ბურჟუაზიული ურთიერთობა არ დამყარდებოდა, დამყარდებოდა ის, რაც ავერ ათი წელია ჩვენს თვალწინ მყარდება – ეკონომიკის არნახული დაქვეითება, სოციალური სისტემის მოშლა, პოლიტიკური კრიზისების უწყვეტი ჯაჭვი. ყოველივე ამის შედეგიც ნათელია: უზარმაზარი დერჟავა ნაწილებად დაიშალა, რუსეთი ფაქტობრივად დასავლეთის სამყაროს ნახევარკოლონიად იქცა, მას მსოფლიო პოლიტიკაში სერიოზულ ძალად აღარ განიხილავენ. მიუხედავად ამისა, „ველიკოროსია“ „ტუზემცების“ ორთავიანი არწივის კლანჭებიდან გაშვებას მაინც არ აპირებს. ორივე მხარისათვის დამღუპველი კონფრონტაცია გრძელდება და, როგორც ჩანს, არც თუ ისე მალე დამთავრდება.

რადაც ამგვარი (თუ უარესი არა) ელოდა რუსეთს 20-იან წლებშიც. და თუ ეს არ მოხდა, ამას რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ იოსებ სტალინს უნდა უმაღლოდეს. ი. სტალინმა რუსეთი იხსნა არნახული სოციალური ბუნტისაგან, იმ ბუნტისაგან, რომლის შესახებაც ალექსანდრ პუშკინი წერდა: Не приведи бог видет русский бунт _ бессмысленный и беспощадный ყოველივე ზემოთ თქმულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ლ. ტროცკისა და ნ. ბუხარინის სოციალური პოლიტიკის მარცხი და ი. სტალინის გამარჯვება უმნიშვნელოვანესი, განსაკუთრებული მოვლენა იყო რუსეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით (1927-1933 წწ). და ახალი სოციალური უჯრედის – კოლექტიური მეურნეობის – შექმნით ი. სტალინმა თავისი სოციალური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი აქცია რეალობად. რა მოიგო ი. სტალინმა სოფლის კოლექტივიზაციით? 1) ეკონომიკურად და სოციალურად გათანაბრებულ სოფელში სოციალური აფეთქების საფრთხე მოიხსნა, რუსული სოფელი დაწყნარდა და მისთვის დამახასიათებელ მშვიდ ცხოვრებას შეუდგა; 2) მოისპო

ეკონომიკური საფუძველი ახალი სოციალური დიფერენციაციისათვის, ე. ი. მოისპო სოფლად ახალი სოციალური კონფორტაციის საფუძველი; 3) შიმშილობისათვის განწირულმა გლეხობის მრავალმილიონიანმა მასამ მიიღო მყარი სოციალური გარანტია: სამუშაო ადგილი და არსებობისათვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი, ასევე სხვა სოციალური გარანტიები; 4) სახელმწიფოს გააჩნდა მყარი გარანტია პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებაზე, რამაც საშუალება მისცა მთავრობას გამოეკვება ქალაქის მოსახლეობა და არმია, პურის ექსპორტით შეეცხო ოქროს მარაგი, ან მის სანაცვლოდ მიეღო აუცილებელი სამრეწველო პროდუქცია და სხვ.; 5) სოფლის ახალი სოციალური ფენა – კოლმეურნე გლეხობა – საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენად იქცა.

XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის რუსული ქალაქი ასეთ სურათს იძლეოდა: წარმოების ძირითადი საშუალებანი საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო ექსპროპრირებული და სახელმწიფოს განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენდა. მსხვილ ბურჟუაზიას უკვე დაკარგული ჰქონდა ეკონომიკური პოზიციები და სოციალური ფუნქცია. ჯერჯერობით ეკონომიკურ პოზიციებს (ე. ი. სოციალურ ფუნქციასაც) ინარჩუნებდა წვრილი ბურჟუაზია. საბჭოთა ხელისუფლება წვრილი ბურჟუაზიის აქტიურობის ხარჯზე ცდილობდა გამოესწორებინა მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში არსებული დიდი ჩავარდნა. მუშათა კლასი რაოდენობრივად შემცირდა. მისი ნაწილი პირველ მსოფლიო ომსა და სამოქალაქო ომში დაიღუპა, ნაწილმა სამოქალაქო ომის შემდეგ შიმშილის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სოფელს მიაშურა, ე. ი. ძველი სოციალური ფუნქცია დაკარგა. სწორედ ამიტომ 1921 წლის დამდეგისათვის რუსეთში პროფესიონალ მუშათა რაოდენობა სულ 1 მილიონ 700 ათასი კაცით განისაზღვრებოდა, თუმცა სამუშაო ადგილები არც მათთვის კმაროდა. ომმა მთლიანად მოშალა რკინიგზის ტრანსპორტი, მნიშვნელოვნად შემცირდა ორთქლმავლებისა და ვაგონების პარკი. მძიმე ინდუსტრია ღრმა კრიზისს განიცდიდა.

ფაბრიკა-ქარხნების დიდი ნაწილი არ მუშაობდა, ნაწილი სამხედრო პროდუქციას უშვებდა. არ მუშაობდა შახტების უმეტესი ნაწილიც. უმძიმესი მდგომარეობა იყო მსუბუქ მრეწველობაში. რუსეთი მოსწყდა ტრადიციულ ნელეულის ბაზებს შუა აზიაში, ამიერკავკასიაში, ირანში. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა სურსათისა და პირველ რიგში პურის ნაკლებობა. მიუხედავად ამისა, სოციალური აფეთქების საფრთხე ქალაქად გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე სოფლად. საბჭოთა ხელისუფლება ქალაქში ძლიერ სოციალურ ძალას ეყრდნობოდა. აქ იგი პოზიციებს ადვილად არ დათმობდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ქალაქის სოციალური პრობლემები დაუყოვნებლივ რეაგირებას არ საჭიროებდა.

იოსებ სტალინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალაქად მისი სოციალური სისტემის მოდელის განსახორციელებლად აუცილებელი იყო შემდეგი ამოცანების გადაჭრა: ა) პურითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ქალაქის მომარაგებაში სტაბილური მდგომარეობის შექმნა; ბ) მუშათა კლასის უზრუნველყოფა სამუშაო ადგილებით; გ) წვრილი ბურჟუაზიის გამოდევნა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებიდან. პირველი პრობლემა ი. სტალინმა იმით გადაჭრა, რომ კულაკობის დიდი რაოდენობით პური ჩამოართვა, შედარებით მსუბუქად დაბეგრა საშუალო გლეხობა და შექმნილი მარაგით შეძლო ქალაქის მოსახლეობის გამოკვება. ასეთი პოლიტიკა გრძელდებოდა კოლექტივიზაციის გატარებამდე. პურითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ქალაქის ორგანიზებულმა (სახელმწიფო) მომარაგებამ შეასუსტა წვრილი ბურჟუაზიის პოზიციები, იკლო სპეკულაციამ. საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი ქალაქად მნიშვნელოვნად გაძლიერდა. წვრილ ბურჟუაზიას ი. სტალინმა ფუნქცია საბოლოოდ მაშინ დაუკარგა, როცა დააკმაყოფილა ქალაქის მოთხოვნილება მსუბუქი მრეწველობის პროდუქციასზე.

1925 წლის დეკემბერში საკავშირო კპ(ბ) XV ყრილობამ ინდუსტრიალიზაციის კურსი დასახა, თუმცა ი. სტალინისათვის

ცხადი იყო, რომ იმხანად ინდუსტრიალიზაციის დაწყება შეუძლებელი იყო. შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგება კი არა, მეფის დროინდელი სამრეწველო სიმძლავრეებიც არ მუშაობდა. ფაქტობრივად, სამრეწველო პროდუქციის წარმოების ვერც ერთი მონაცემით საბჭოთა რუსეთი (სსრ კავშირი) 1925 წლისათვის 1913 წლის დონეს ვერ უტოლდებოდა.

ინდუსტრიალიზაცია ითხოვდა დიდი რაოდენობით უცხოურ ვალუტას, რაც სახელმწიფოს არ გააჩნდა. ვალუტის მიღება მხოლოდ პურის ექსპორტით შეიძლებოდა, ხოლო პურის ექსპორტისათვის გეგმიური ხასიათი შეიძლებოდა მიეცათ მხოლოდ სოფლად ახალი სოციალ-ეკონომიკური სისტემის შექმნის, ე. ი. კოლექტივიზაციის გატარების შემდეგ. პური კიდევ უფრო მეტი რაოდენობით დასჭირდებოდა ქალაქს, რადგან ახალი სამრეწველო სიმძლავრეების ამოქმედება გაზრდიდა სამუშაო ადგილების რაოდენობას, ე. ი. გაიზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. მართალია, ინდუსტრიალიზაციის კურსი (1925 წ. დეკემბერში) წინ უსწრებდა კოლექტივიზაციის კურსს (1927 წ. დეკემბერი), მაგრამ ინდუსტრიალიზაცია რეალურად დაიწყო გაცილებით გვიან, 1930-1931 წლებში, მას შემდეგ, რაც სოფლად ი. სტალინის სოციალურმა სისტემამ პირველი დადებითი შედეგები გამოიღო. ხშირად აღნიშნავენ, რომ ინდუსტრიალიზაცია სსრ კავშირში საგარეო სესხების გარეშე გატარდა, რაც სრული სიმართლეა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალდაბანდებანი ინდუსტრიალიზაციისათვის ი. სტალინმა სოფლად მოიპოვა. მხედველობაში გვაქვს პურის ექსპორტით მიღებული შემოსავალი. სავალუტო მარაგის შექმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ნედლეულის ექსპორტმა (ნავთობი, ქვანახშირი, ხე-ტყე და სხვ.).

ამრიგად, კოლექტივიზაციის გატარებით სოფლად შეიქმნა კომეურნე გლეხობის მრავალმილიონიანი, ეკონომიკურად წელში გამართული და სახელმწიფოსაგან სოციალურად დაცული ფენა

(კლასი). ამ ფენამ ი. სტალინს სოფლად საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნების გარანტია მისცა, პურითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყო როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარი. კოლექტივიზაცია, როგორც საბჭოთა წყობილების გადარჩენის საშუალება, შესანიშნავად იყო გააზრებული, თუმცა მან ძალზე შეაფერხა საერთო ეკონომიკური პროგრესი. კოლექტივიზაციის შედეგებს დაემყარა შემდგომ წლებში საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა. ინდუსტრიალიზაციის მთავარი სოციალური შედეგი ის იყო, რომ შეიქმნა ეკონომიკურად უზრუნველყოფილი და სახელმწიფოსაგან მყარი სოციალური გარანტიებით დაცული პროფესიონალ მუშათა ფენა (კლასი), პოლიტიკური სისტემის ძლიერი საყრდენი. ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე შეიქმნა უზარმაზარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, შესაძლებელი გახდა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერული აღმოჩენების პრაქტიკულად განხორციელება. ინდუსტრიალიზაციას, როგორც ეკონომიკურ მოვლენას, ჰქონდა თავისი „აქილევსის ქუსლი“ – იგი მთლიანად სახელმწიფო საკუთრებას ეფუძნებოდა და, ამდენად, ისევ ტოტალიტარული რეჟიმის დასაყრდენს წარმოადგენდა.

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისათვის იოსებ სტალინის ზეადამიანური ნიჭისა და ენერჯის წყალობით რუსებს უკვე ჰქონდათ **სტკებრფზ** **ტკჰფდფ** რუსეთი (სსრ კავშირი) უკვე გამოსულიყო „დიდებისა და კეთილდღეობის გზაზე“.

სოფელსა და ქალაქში ახალი სოციალური სისტემის დამკვიდრებით იოსებ სტალინს უკვე შეეძლო სხვა სოციალური პრობლემების გადაჭრა. უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენდა ინტელიგენციის სოციალურად დაცვის საკითხი. ცხადია, ძველი ინტელიგენციის საბოტაჟის მიზეზი მარტო იდეურ შეურიგებლობაში არ უნდა ვეძიოთ. ინტელიგენცია რუსეთის იმპერიაში ეკონომიკურად კარგად უზრუნველყოფილი სოციალური ფენა იყო, გააჩნდა შესაბამისი სოციალური გარანტიები. 1917 წლიდან ინტელიგენცია მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა (მხედველობაში

არა გვაქვს გამოჩენილი მეცნიერების, მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების და ა. შ. მცირე რაოდენობა) – თავისი შრომით მინიმალურადაც ვერ იკმაყოფილებდა ყოველდღიურ მოთხოვნილებებს. ეს ეხება როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ინტელიგენციას. ტრანსპორტისა და მრეწველობის მოშლამ ფაქტობრივად ულუკმაპუროდ დატოვა პედაგოგიური კადრები, პროფესურა, ექიმები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები. სოციალური დაცვის ძველი სისტემა აღარ ფუნქციონირებდა, საბჭოთა სახელმწიფო კი ვერავითარ სოციალურ გარანტიას ვერ იძლეოდა – ვერც ახალ სამუშაო ადგილებს ქმნიდა და ვერც უკვე დასაქმებულთ უზრუნველ-ყოფდა გაწეული შრომის რეალური ანაზღაურებით.

ახალ ინტელიგენციას, ე. წ. „წითელ ინტელიგენციას“, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეეძლო დრომდე აეტანა ეკონომიკური სიღუბჭირე, მაგრამ ძველი ინტელიგენცია ამას არ თანხმდებოდა. არადა, „წითელ ინტელიგენციას“ ძველი ინტელიგენციის თანადგომის გარეშე არ შეეძლო იმ მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვა, რომელიც მას არგუნა ბედმა. ყოველივე ეს შესანიშნავად იცოდა იოსებ სტალინმა. კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პირველმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა ინტელიგენციისათვის მინიმალური სოციალური გარანტიების შექმნა, რაც ფაქტობრივად სამუშაო ადგილით, შრომის რეალური ანაზღაურებითა და ბინით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა. ეს წყალობა „წითელმა ინტელიგენციამ“ დიდი აღფრთოვანებით მიიღო, რაც შეეხება ძველ ინტელიგენციას, მას ეს აღტაცება დიდად არ გაუზიარებია. საბჭოთა წყობილებას არავითარი საშუალება არ ჰქონდა ინტელიგენციისათვის ისეთი პირობები შეექმნა, როგორც თუნდაც რუსეთის იმპერიაში არსებობდა. ძველი ინტელიგენციის შეურიგებლობა უკვე თანდათან კარგავდა მნიშვნელობას. 10-15 წლის განმავლობაში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა

ინტელიგენციის ახალი თაობა, რომლის მოქალაქეობრივი მრწამსი საბჭოთა სინამდვილეში ჩამოყალიბდა. ამ ადამიანებს სწამდათ „დიადი გარდაქმნებისა“, მათი უმრავლესობა ერთგულად ემსახურებოდა მინდობილ საქმეს.

ინტელიგენციის ახალმა თაობამ შეავსო ის დანაკლისი, რომელიც ძველი ინტელიგენციის ოპოზიციური განწყობილებით შეიქმნა. იოსებ სტალინს სწორედ ამ ინტელიგენციის იმედი ჰქონდა და სათანადოდ აფასებდა კიდევ მათ დამსახურებას. ეს რაც შეეხება ინტელიგენციას ზოგადად. უკვე 30-იანი წლების დამდეგიდან სსრ კავშირში მოღვაწე დიდ მეცნიერს, მწერალს, მუსიკოსს, მხატვარს, არქიტექტორს, მსახიობს და სხვ. გააჩნდა მყარი სოციალური გარანტიები. ისინი მატერიალურად მაქსიმალურად იყვნენ უზრუნველყოფილნი, მათთვის ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პრობლემები, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა. ეს პირადად იოსებ სტალინის ნება იყო. ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ თითქოს ი. სტალინმა ინტელიგენციის ელიტარული ფენა შექმნა. არა, ეს ბუნებრივი მოვლენა იყო. ი. სტალინი ინტელიგენციის შრომის შეფასებაში გათანაბრებას ვერ დაუშვებდა. აქ სხვაგვარი მიდგომა იყო საჭირო.

სოფლად და ქალაქად მიღწეულმა წარმატებებმა იოსებ სტალინს საშუალება მისცა გადაეჭრა სოციალური პრობლემები არმიაში. არმია რუსეთის ცხოვრებაში ტრადიციულად დიდ როლს თამაშობდა. სწორედ ამიტომ არმიის სოციალური დაცვის საკითხი მუდამ აქტუალური იყო. ეს კარგად ესმოდა ი. სტალინს. ბოლშევიკებს უარი არ უთქვამთ იმ სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებზე, რომელიც რუსეთის იმპერიას გააჩნდა ევროპასა და აზიაში. უფრო მეტიც, ი. სტალინი ცდილობდა პოლიტიკური და სამხედრო გავლენის სფეროების გაფართოებას. ი. სტალინისათვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ დღეს თუ არა ხვალ რუსეთს (სსრ კავშირს) შეჯახება მოუხდებოდა ევროპისა და აზიის დიდ სახელმწიფოებთან. ეს შეჯახება განპირობებული იქნებოდა არა

მარტო იმით, რომ ი. სტალინმა საქვეყნოდ გამოაცხადა სოციალიზმის მშენებლობის შესახებ, არამედ უპირველესად იმით, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა, ომისშემდგომი ძალთა განლაგება ევროპასა და აზიაში აუცილებლად გამოიწვევდა ახალ კონფორმაციას დიდ სახელმწიფოთა შორის. ცხადია, სსრ კავშირი ახალ საერთაშორისო ურთიერთობებში მეორეხარისხოვან როლს არ დასჯერდებოდა. ძლიერი არმიისა და სამხედრო ფლოტის შექმნა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა.

არმიის შექმნა ურთულესი საქმეა. ჩვენ ამჯერად ეს პრობლემა არ გვაინტერესებს., გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ არმიაში სოციალური საკითხის გადაჭრის ისტორიაზე. ი. სტალინის მიერ არმიის სოციალური ფუნქციის სწორად განსაზღვრა, სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის მექანიზმის შემუშავება გახდა ერთ-ერთი უმთავრესი პირობა მსოფლიოში უძლიერესი არმიისა და ფლოტის შექმნისა. არმიის შექმნა ძალზე ძვირი უჯდებოდა სახელმწიფოს. ახალი შეიარაღების წარმოებას რომ თავის დაკანებოთ, რა ხარჯებთან იყო დაკავშირებული პირადი შემადგენლობის უზურვენყოფა სურსათით, ტანსაცმლით, ბინით და ა. შ.! სწორედ ამიტომ სამოქალაქო ომის შემდეგ რუსეთში დაიწყო არმიის შემცირება. სხვა გამოსავალი იმხანად არ არსებობდა. სოციალურად ცუდად დაცული და მშვიერი არმიის შენახვას აზრი არ ჰქონდა.

არმიაში უკმაყოფილების წარმოშობა 20-იანი წლების შუა ხანებში ყოველად დაუშვებელი იყო. დიდი სოციალური აფეთქების შემთხვევაში არმია ი. სტალინის ერთადერთ იმედად მიაჩნდა, თუმცა აქამდე საქმე არ მისულა. ცალკეულ შემთხვევებში არმიას მაინც მოუხდა წესრიგის დამცველის ფუნქციის შესრულება – დამსჯელი ექსპედიციის როლში გამოსვლა. ი. სტალინი იმთავითვე მიხვდა, რომ ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. დამსჯელ ექსპედიციებში არმიის გამოყენება ძალზე უტეხდა ამ უკანასკნელს

სახელს მოსახლეობის ყველა ფენაში. მოსალოდნელი იყო უკმაყოფილების დაწყება არმიაში. სამხედრო ნაწილს არ სურდა დამსჯულ ექსპედიციებში მონაწილეობა. ი. სტალინმა გადაწყვიტა, არმიისათვის ერთხელ და სამუდამოდ ჩამოეცილებინა ქვეყნის შიგნით წესრიგის დამცველის ფუნქცია. ეს ფუნქცია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურ სამსახურს გადაეცა. არმია გაემიჯნა რთულ შიდაპოლიტიკურ პროცესებს. მას დარჩა ერთადერთი ფუნქცია – სახელმწიფოს დაცვა გარეშე ძალის ხელყოფისაგან. მართალია, ფუნქციათა ასეთ გადანაწილებას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შესანახი ხარჯების გაზრდა მოჰყვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ი. სტალინმა პოლიტიკური თვალსაზრისით მოიგო. პროფესიონალი სამხედროები ი. სტალინის გადაწყვეტილებას დიდი მოწონებით შეხვდნენ.

30-იანი წლების დამღევისათვის უკვე მოქმედებდა არმიის სოციალური დაცვის მექანიზმი. სხვადასხვა დონის სამხედრო სასწავლებლების კურსანტები და სამხედრო აკადემიების მსმენელები გაცილებით უკეთ იყვნენ მატერიალურად უზრუნველყოფილნი, ვიდრე სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და ასპირანტები. სამხედრო სპეციალისტებისათვის არ არსებობდა სამუშაო ადგილის პრობლემა, ხოლო სამხედრო პირის რეალური ხელფასი, იმ შეღავათების გათვალისწინებით, რომელსაც სახელმწიფო სამხედრო მოსამსახურეებს აძლევდა, საშუალოზე ბევრად მაღალი იყო, გენერალიტეტისა კი – კიდევ უფრო მეტი. თითქმის გადაიჭრა დაბალი და საშუალო რანგის ოფიცერთა ბინით უზრუნველყოფის პრობლემა, უფროსი ოფიცრებისა და გენერალიტეტისათვის კი ეს საკითხი უკვე აღარც იდგა. საზოგადოებაში სამხედრო მოსამსახურის პრესტიჟსა და ავტორიტეტს მარტო სახელმწიფოს უსაფრთხოების დამცველის ფუნქცია არ განსაზღვრავდა, იგი სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის სწორი პოლიტიკის შედეგი იყო.

მეტად საინტერესოა იოსებ სტალინის სოციალური პოლიტიკა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების მიმართ. პარტიული კადრებით ი. სტალინი გაცილებით ადრე დაინტერესდა, იმაზე ადრე, ვიდრე იგი უზარმაზარი ქვეყნის ერთპიროვნული მბრძანებელი გახდებოდა. სამოქალაქო ომის წლებში (1918-1920 წწ.) ი. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში მოღვაწეობას ნაკლებ დროს უთმობდა. იგი ძირითადად დაკავებული იყო რსფსრ ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატითა და სამოქალაქო ომის ფრონტებით. იმხანად რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში პირველი ან გენერალური მდივნის თანამდებობა არ არსებობდა. ცენტრალური კომიტეტი მცირერიცხოვანი და ამდენად, მობილური ორგანო იყო – მთელ პარტიულ და სახელმწიფოებრივ საქმეებს ის უძღვებოდა. მუდმივად ფუნქციონირებდა და ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. იმხანად, მართალია, არსებობდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნების თანამდებობები (მდივნებად მუშაობდნენ: ი. სტალინი, გ. ზინოვიევი, ვ. მოლოტოვი და სხვ.), მაგრამ ცენტრალური კომიტეტის მდივნების გავლენას და სამოღვაწეო ასპარეზზე მათ როლს ძალზე ზღუდავდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს ყოველდღიური საქმიანობა. ცენტრალური კომიტეტის მდივანი მხოლოდ უმნიშვნელო საკითხებს თუ წყვეტდა. ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს სხდომებს ვ. ლენინი თავმჯდომარეობდა.

სამოქალაქო ომის შემდეგ ი. სტალინი აქტიურად მონაწილეობს ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში. რიგით მდივნად მუშაობა უკვე ხელს აღარ აძლევდა სტალინს. მალე მან მიადწია იმას, რომ 1922 წლის 3 აპრილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ი. სტალინი ვ. ლენინის რეკომენდაციით ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩია. ამდენად, ი. სტალინი ცენტრალური კომიტეტის სხვა მდივნებზე წინ უნდა დამდგარიყო. მაგრამ ვ. ლენინის სიცოცხლეში და ცენტრალურ კომიტეტში ლ.

ტროცკის მოღვაწეობის პერიოდში გენერალური მდივნის პოსტი ვერ გახ- და მნიშვნელოვანი – რაიმე უპირატესობა ი. სტალინმა ვერ მიიღო.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად ი. სტალინს სხვა რამე უნდა ელონა. არ არის გამორიცხული, რომ გენერალური მდივნის პოსტი ი. სტალინს მხოლოდ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა (ლ. ტროცკი, ლ. კამენევი, გ. ზინოვიევი, ნ. ბუხარინი და სხვ.) თვალის ასახვევად სჭირდებოდა. ჯერ კიდევ 1921 წლიდან ი. სტალინი დიდ ყურადღებას უთმობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროში (ორგბიურო) მუშაობას. რას წარმოადგენდა ორგბიურო? საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო წყვეტდა. ორგბიუროს ევალეობა შედარებით უმნიშვნელო საკითხების გადაჭრა, რათა ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს სხდომები არ გადატვირთულიყო.

როცა ი. სტალინმა ვ. ლენინისაგან მიიღო თანხმობა, გასძლო- ლოდა ორგბიუროს მუშაობას, მისმა პოლიტიკურმა მოწინააღ- მდეგეებმა ამაში ვერავითარი საშიშროება ვერ დაინახეს. პირიქით, რაკი გენერალური მდივანი ი. სტალინი დროის უმეტეს ნაწილს ორგბიუროში ატარებდა, ისინი კმაყოფილნიც კი უნდა დარჩენილიყვნენ.

რადგან ი. სტალინი ძირითადად ორგბიუროში მოღვაწეობდა, ვ. ლენინის ავადმყოფობის პერიოდში მასვე დაევალა ცენტრალურ კომიტეტში საორგანიზაციო საქმეთა გაძღოლა. იმავდროულად ცენტრალურ კომიტეტში პოლიტიკურ საქმეთა ხელმძღვანელობა გ. ზინოვიევს დაეკისრა. გარეგნულად ისე ჩანდა, რომ გ. ზინოვიევმა ი. სტალინთან შედარებით უპირატესობა მიიღო. ასე ფიქრობდა ყველა, გარდა თვით ი. სტალინისა. იოსებ სტალინს უმიზეზო დათმობა არ უყვარდა. არც ამჯერად დაუთმია უმიზეზოდ. ორგბიუროში ი. სტალინი თავდაპირველად არაფერ მნიშვნელოვანს

არ აკეთებდა, ჩვეულებრივი, მიმდინარე ორგანიზაციული საკითხებით იყო დაკავებული. ორგბიუროს კომპეტენცია ძალიან ზოგადად იყო განსაზღვრული. ამით ისარგებლა ი. სტალინმა და ნელ-ნელა ხელში ჩაიგდო პარტიული, ხოლო შემდეგ საბჭოთა და სამეურნეო კადრების დანიშვნის უფლება.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი და პოლიტიბიურო კადრების საკითხს სათანადოდ ვერ აფასებდა. კადრების შერჩევა, დანიშვნა და გადაადგილება, განსაკუთრებით კი წმენდა დიდ დროსა და ენერგიას ითხოვდა. ამით ისარგებლა ი. სტალინმა და სულ მალე ეს ძნელი და არცთუ პრესტიჟული საქმე თითქმის საერთოდ გამოიყვანა ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტიბიუროს კონტროლიდან. იოსებ სტალინის ხელში მოექცა პარტიული კადრების შერჩევის, დანიშვნისა და გადაადგილების საქმე მაზრებში (რაიონებში), ქალაქებში, ოლქებსა და მხარეებში. ადგილებზე პარტიული კადრების დანიშვნის უფლების მოპოვებით ი. სტალინმა კონტროლი დააწესა საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა დანიშვნაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყოველივე ამან იოსებ სტალინს საშუალება მისცა კონტროლი დაეწესებინა რკპ(ბ), ხოლო შემდეგ საკავშირო კპ(ბ) ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატთა არჩევაზე, რაც თავისთავად ნიშნავდა, რომ ი. სტალინი აკონტროლებდა ყრილობებისა და კონფერენციების მუშაობასაც. ამის აშკარა ნიშნები გამოჩნდა უკვე რკპ(ბ) XII (1923 წ.) და რკპ(ბ) XIII (1924 წ.) ყრილობებზე. ი. სტალინის პოლიტიკური ხაზის ტრიუმფი საკავშირო კპ(ბ) XIV (1925 წ.) და საკავშირო კპ(ბ) XV (1927 წ.) ყრილობებზე მეტწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ყრილობების დელეგატთა უმრავლესობას დელეგატის მანდატი ფაქტობრივად ი. სტალინისაგან ჰქონდა ნაბოძები, ყოველი დელეგატი ასგზის იყო შემოწმებული.

იმავე მეთოდით იოსებ სტალინმა კონტროლი დააწესა სრულიად რუსეთის (შემდეგში სრულიად საკავშირო) საბჭოების ყრილობების

დელეგატთა არჩევნებზე და ყრილობის მუშაობაზე, რითაც თავისთავად აკონტროლებდა მთელ საკანონმდებლო საქმიანობას.

ვ. ლენინის სიკვდილამდე ი. სტალინის გაუჭირდა საკადრო პოლიტიკაში პრიორიტეტის მოპოვება როგორც რკპ(ბ) ცენტრალურ აპარატში, ისე რსფსრ სახკომსაბჭოში – მთავრობაში. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი შეფერხება იყო.

ვ. ლენინის გარდაცვალების მომენტიდან ი. სტალინის უკვე მზად ჰყავდა თავის მიერვე შერჩეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრები. ეს ი. სტალინის დიდი გამარჯვება იყო. მისი პოლიტიკის მომხრე კადრებს ი. სტალინმა თავი მოუყარა იდეური და პირადი ერთგულების პრინციპით. იმხანად ი. სტალინს არავითარი საშუალება არ ჰქონდა სოციალურად დაეცვა, მატერიალურად დაეინტერესებინა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების უზარმაზარი არმია. ი. სტალინმა კარგად იცოდა, რომ, თუ მის მიერ თავმოყრილ კადრებს სოციალურად დაუცველს დატოვებდა, ეს გამოიწვევდა მათ ან მორალურ და იდეურ გადაგვარებას, ან უბრალოდ ი. სტალინის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლას. თუ ეს მოვლენა ი. სტალინის მარცხს არ გამოიწვევდა, მის პოზიციებს სერიოზულად შეარყევდა, რასაც, ცხადია, ი. სტალინი ვერ დაუშვებდა.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების მორალური და იდეური სახის შენარჩუნების აუცილებელ პირობად ი. სტალინი მატერიალურ უზრუნველყოფას თვლიდა. ცდება, ვინც თვლის, რომ ი. სტალინი მხოლოდ რევოლუციური ფანატიზმით აღტყინებულ ადამიანებს ეყრდნობოდა. ყველა ნომენკლატურული პარტიული, საბჭოთა თუ სამეურნეო მუშაკი ი. სტალინის ხელისუფლების დროს კარგად იყო უზრუნველყოფილი. ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის პარალელურად განუზრელად უმჯობესდებოდა კადრების ცხოვრების დონე. ი. სტალინმა ისიც კარგად იცოდა, რომ მატერიალური უზრუნველყოფა ყოველთვის ვერ დაიცავდა კადრებს გადაგვარებისაგან. ყოფითი პრობლემა-მოგვარებული პარტიული მუშაკიც

შიძლებოდა კორუფციის ჭაობში ჩაფლულიყო. ამ საშიშროებას ი. სტალინი გამუდმებით ებრძოდა. ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა კადრების ხშირი გადაადგილება. ეს მეთოდი შეძლებისდაგვარად გამოიციხავდა ხელმძღვანელი მუშაკის გარშემო ოჯახური, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას და სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფას. ვიდრე უცხო გარემოში დანიშნული ხელმძღვანელი მუშაკი „შინაურ კაცად“ იქცეოდა, მას უკვე სხვა ადგილზე უწევდა მუშაობის გაგრძელება, ისევე უცხო გარემოში.

ი. სტალინი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების მოყიდვას არ აწარებდა. ყოველი მუშაკის შრომის ანაზღაურება ზუსტად შეესაბამებოდა მის მიერ გაწეულ შრომას, იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციას, რომელსაც იგი ასრულებდა.

სოციალურად კარგად დაცული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი თავის მხრივ არავის ანებებდა შელახულიყო მუშის, გლეხის, ინტელიგენციის სოციალური გარანტიები.

ის, რასაც იოსებ სტალინმა სოციალურ ურთიერთობათა სფეროში მიაღწია, როგორც გააზრების, ისე პრაქტიკულად განხორციელების თვალსაზრისით, უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლის ისტორიაში. ი. სტალინმა რეალობად აქცია ის, რისაც თითქმის არავის არ სჯეროდა, რაც უტოპია ეგონათ – შექმნა თანასწორთა საზოგადოება. ცხადია, იგულისხმება ისეთი თანასწორობა, რომლის განხორციელებასაც შესაძლებელს ხდიდა რუსეთის განვითარების საერთო დონე, ისტორიული ტრადიციები და თავისებურებანი.

იოსებ სტალინის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა სისტემამ რუსეთი გამოიყვანა უმძიმესი კრიზისიდან, იმ კრიზისიდან, რომლის იქითაც უკვე იწყებოდა საშინელი კატასტროფა: სახელმწიფოებრიობის ნგრევა, საყოველთაო ქაოსი და ანარქია. ნაცვლად ამისა უმოკლეს დროში ლამის გაპარტახებულმა ქვეყანამ სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო დონით, მეცნიერებისა და კულტურის

მიღწევებით ნამდვილად გააკვირვა ცივილიზებული მსოფლიო – მოყვარეც და მტერიც. ამ წარმატებებში, მის მოპოვებასა და განმტკიცებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ი. სტალინის მიერ შექმნილ სოციალურ სისტემას.

სახელმწიფო სისტემა, რომელიც იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით აშენდა 20-30-იან წლებში, ისეთ ურთულეს საშინაო და საგარეო პირობებში იქნა გააზრებული და პრაქტიკულად განხორციელებული, რომ ვერ გამორიცხავდა ძალის, იძულების მომენტს. იძულების ფაქტორს ვერ გამორიცხავდა არამარტო თვით სახელმწიფო სისტემის მშენებლობა, არამედ სისტემის შენარჩუნება და სრულყოფაც კი. იძულებითი მომენტის გარეშე, მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით ყოვლად წარმოუდგენელი იყო ნებისმიერი სისტემის მშენებლობა 20-30-იანი წლების რუსეთში (სსრ კავშირში). ამას ადასტურებს რუსეთის დროებითი მთავრობის მოღვაწეობა (1917 წლის მარტი-ოქტომბერი), მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სრული კრახი. უფრო მეტიც, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ევროპის დიდი და პატარა ქვეყნები, რომელთაც დემოკრატიზმის ტრადიციები ჰქონდათ, დიქტატორული რეჟიმების შექმნისა და განმტკიცების გზით წავიდნენ (იტალია, გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი და სხვ.). დემოკრატიული წყობილებით განთქმულ ქვეყნებშიც კი (ინგლისი, საფრანგეთი) აღინიშნა პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრება. უამისოდ, როგორც ჩანს, შეუძლებელი იყო I მსოფლიო ომის შედეგების დაძლევა.

ასეთ ვითარებაში სულაც არ უნდა იყოს საკვირველი, რომ რუსეთში, ქვეყანაში, რომელშიც სახელმწიფოებრიობა წარმოუდგენელ კრიზისს განიცდიდა, კარზე იყო მომდგარი დიდი სოციალური ამბოხი, გამორიცხული არ იყო ფართომასშტაბიანი ომი მეზობელ სახელმწიფოებთან, იოსებ სტალინის მიერ გააზრებული სახელმწიფო სისტემა ძალის გამოყენების გარეშე ვერ აშენდებოდა.

უფრო მეტიც, მოვლენათა განვითარება რუსეთს მიიყვანდა სრულ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ კატასტროფამდე.

იოსებ სტალინმა შეუძლებელი შეძლო. ეკონომიკურად გაჩანაგებული, დიდი სოციალური აფეთქების ზღვარზე მისული ქვეყანა არამარტო „დიდებისა და კეთილდღეობის გზაზე“ გამოიყვანა, არამედ შექმნა საზოგადოება, სადაც ყოველი სოციალური ფენა პატივს სცემდა დანარჩენთა ინტერესებს, ხოლო ყველანი ერთად ქედს იხრიდნენ სახელმწიფოს ინტერესების წინაშე.

იოსებ სტალინის მიერ შექმნილი სახელმწიფო სისტემის ნგრევა უპირატესად სოციალურ ურთიერთობათა ნგრევით დაიწყო. ი. სტალინის სოციალურმა სისტემამ ძალიან ბევრს გაუძლო. როცა სსრ კავშირის პოლიტიკური სისტემის გადაგვარება და ეკონომიკური კრიზისი აშკარა გახდა, სოციალური სისტემა დარჩა იმ დედაბოძად, რომელსაც ემყარებოდა უზარმაზარი ქვეყანა. თუმცა ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა. მოიშალა პოლიტიკური სისტემა, მოიშალა ეკონომიკა და სოციალურმა სისტემამაც თანდათან ფუნქციონირება შეწყვიტა.

თავი XIV. პოლიტიკური სისტემა

პოლიტიკურ სისტემას, რომელიც რუსეთში (სსრ კავშირში) იოსებ სტალინის ჩანაფიქრის მიხედვით შეიქმნა, ჯერჯერობით ზუსტი სახელი არა აქვს. „მუჟიკური სოციალიზმი“, „რუსული სოციალიზმი“, „კომუნისტური სისტემა“, „საბჭოთა სისტემა“ და ა. შ. მხოლოდ მიგვანიშნებენ იმ წყობილებაზე, რომელიც ი. სტალინის ხელმძღვანელობით აშენდა 20-30-იან წლებში და რომელმაც სულ სხვა კუთხით წარმოაჩინა რუსი ხალხი მსოფლიო ისტორიაში, თვით მსოფლიოს კი უამრავი თავსატეხი გაუჩინა...

იოსებ სტალინი შეგნებულად არ წავიდა არც ივანე ძრისხანის, არც პეტრე დიდის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის გეგმებს ადვილად ამოიცნობდნენ, ადვილად დაამარცხებდნენ. ი. სტალინმა კარგად იცოდა, რომ მეფე-მამის ბრმადმორწმუნე რუს მუჟიკს ერთი ნაბიჯი აშორებდა მეფის მემობელი მემობოხისაგან. მისთვის ასევე კარგად იყო ცნობილი რუსული სმუტის კლასიკური სცენარი. სწორედ ამიტომ ი. სტალინი ორიგინალური გზით უნდა წასულიყო. მას მეფე-მამის მესამე ტიპი უნდა შეექმნა რუსეთის ისტორიაში.

1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ვლადიმერ ლენინს რომ არსებითად არაფერი გაუკეთებია ახალი პოლიტიკური სისტემის განსაზღვრისათვის, ეს დოკუმენტურადაა დადასტურებული. ვ. ლენინი სიკვდილამდე მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებაზე ზრუნავდა,

გლობალურ პერსპექტიულ პრობლემებს იგი არც კი შესჭიდებია. „სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა“ მხოლოდ მითია, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით ი. სტალინმა შექმნა და რომელიც შემდეგში აიტაცა ი. სტალინის ნაზრევს ადევნებულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. ასე რომ, ი. სტალინი აზროვნებდა და ქმნიდა სრულიად დამოუკიდებლად არამართო ლენინისაგან, არამედ მისი თანამებრძოლებისაგანაც. ი. სტალინის თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეები ახალი პოლიტიკური სისტემის თეორიული საფუძვლების შემუშავებაში იმაზე გაცილებით ნაკლებ როლს თამაშობდნენ, ვიდრე ივანე მრისხანისა და პეტრე დიდის კარისკაცები თავის დროზე. ი. სტალინის კარისკაცები გაცილებით უნიათები იყვნენ, ვიდრე ზემოთ ხსენებული მეფე-მამებისა. ახლა ძნელია დადგენა, ისინი ასეთნი დაიბადნენ, თუ ი. სტალინმა აქცია ასეთებად.

იოსებ სტალინი მაინც მაღლიერი უნდა ყოფილიყო ვლადიმერ ლენინისა. მართალია, მან ი. სტალინს დაუტოვა დანგრეული და გაუბედურებული ქვეყანა, მაგრამ სამაგიეროდ, საბჭოთა ხელისუფლების ოპოზიცია სამოქალაქო ომმა (1917-1922 წწ.) წელში გატეხა, ბრწყინვალედ მოქმედებდა უზარმაზარი რეპრესიული აპარატი. ვ. ლენინისა და ლ. ტროცკის ინიციატივით შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკებში უკვე იტანჯებოდა ათასობით პოლიტპატიმარი.

თუმცა ი. სტალინს დამშვიდების საფუძველი არ ჰქონდა: წელში გატეხილი თავადაზნაურთა კლასის ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლებას დაუპირისპირდა კულაკობის უზარმაზარი მასა. ექსპროპრირებული მსხვილი ბურჟუაზიის ნაცვლად არანაკლები საფრთხე შექმნა საშუალო და წვრილმა ბურჟუაზიამ. ბოლშევიკური დიდმპყრობლური ეროვნული პოლიტიკა ნელ-ნელა აგროვებდა „ფიც მასალას“ უზარმაზარ იმპერიაში. ვ. ლენინის სიკვდილის შემდეგ უკიდურესად გამწვავდა შინაპარტიული ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში.

გამორიცხული არ იყო საგარეო კონფლიქტები, ფართომასშტაბიანი ომიც კი. ვითარება 20-იანი წლების შუა ხანებში რუსეთში ძალზე წააგავდა XVI საუკუნის 30-40-იანი წლების მდგომარეობას, როცა მოღვაწეობას იწყებდა ივანე მრისხანე. კიდევ უფრო მეტი მსგავსება შეინიშნებოდა XVII საუკუნის დასასრულის რუსეთში შექმნილ სიტუაციასთან, როცა მოღვაწეობას იწყებდა პეტრე დიდი. ივანე მრისხანესა და პეტრე დიდის წყალობით რუსეთი ორჯერ გადაურჩა წარმოუდგენელ „სმუტას“ – უზარმაზარი ენერჯია სხვა მიმართულებით გაედინა, რუსეთი ორგზის იშვა ხელახალა და ამით მესამე რომი რეალობად იქცა. XX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთი იმავე პრობლემის წინაშე იდგა: ან „სმუტა“, ნგრევა, ქაოსი და დაკნინება ან... ან ის, რაც უკვე კარგად ჰქონდა მოფიქრებული ახალ მეფე-მამას – იოსებ ჯულაშვილს, ის, რისთვისაც ჩვენ ჯერჯერობით სახელიც ვერ დაგვირქმევია...

უმთავრეს პრობლემას იოსებ სტალინისათვის რუსი გლეხობა წარმოადგენდა. საბჭოთა წყობილება სწორედ ამ სოციალური ფენის ინტერესებს შეეხო. კულაკობა და საშუალო გლეხობა ვერ შეეგუებოდა საბჭოთა წყობილებას. რუსეთი ივანე ბოლოტნიკოვის, სტეფანე რაზინისა და ემელიანე პუგაჩოვის სამშობლო იყო. ეს კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა 1905-1907 წლების რევოლუციის დროს – გლეხური ბუნტის ყველაზე ორგანიზებული გამოვლინებით. დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ პ. სტოლიპინმა გლეხური ბუნტისაგან რუსეთის სახელმწიფოს ხნის გზა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, უხსოვარი დროიდან შემორჩენილი ძველი რუსული თემის დამლაში დაინახა. პ. სტოლიპინის გეგმით, რუსეთი მიწისმფლობელი (ფერმერი) გლეხობის ქვეყნად უნდა გადაქცეულიყო. ეს გეგმა თითქმის იდეალური, მაგრამ განუხორციელებელი აღმოჩნდა. ძნელი შეიქნა ძველი რუსული თემური წყობილების დარღვევა.

პ. სტალინის სურდა გლეხობისათვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემით გამოეწვია სოფლის მეურნეობის განვითარების ბუმი. რუსეთი უნდა გადაქცეულიყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უდიდეს მწარმოებელ ქვეყნად, რაც მოსპობდა კიდეც პატრიარქალურ ურთიერთობას. ფერმერთა ახალი სოციალური ფენა კი პოლიტიკური სისტემის საყრდენი უნდა გამხდარიყო. მაგრამ რუსი გლეხობის უდიდესმა ნაწილმა „უარი თქვა“ გამდიდრებაზე და ძველი წესებით არჩია ცხოვრება.

გლეხური ბუნტის მიზეზი რუსეთში პ. სტალინმა ვერ მოსპო. მისმა მარცხმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ი. სტალინის გეგმა. ი. სტალინს უნდა მოეფიქრებინა ისეთი რამ, რასაც უმტკივნეულოდ მიიღებდა რუსი გლეხობა. გამოსავალი ი. სტალინმა ძველი რუსული თემის პრინციპების აღდგენაში დაინახა. ეს, უპირველეს ყოვლისა, პასუხობდა რუსი გლეხობის წარმოადგენას სოციალურ თანასწორობაზე, ამავე დროს არსებობისათვის აუცილებელი მინიმალური სახსრის გარანტიასაც აძლევდა.

ი. სტალინმა ისიც სწორად განსაზღვრა, რომ, თუ რუსული თემი მიწის რეალურად, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ფლობდა, ახლა ეს დაუშვებელი იყო, დაუშვებელი იყო იმიტომ, რომ უკვე ვერავინ შეაჩერებდა გლეხობის ფენებად დაშლას და გალატაკებული გლეხობის მისწრაფება რუსული ბუნტისაკენ გარდაუვალი იქნებოდა. სწორედ ამიტომ იოსებ სტალინმა ძველი რუსული თემი აღადგინა, მას კოლექტიური მეურნეობა (კოლექტივი) უწოდა, ოღონდ ამ უკანასკნელს, თემისაგან განსხვავებით, მიწა რეალურ მფლობელობაში არასოდეს ჰქონია. მიწა სახელმწიფოს განუყოფელ საკუთრებაში აღმოჩნდა. გამოირიცხა მიწის ყიდვა-გაყიდვის, გაჩუქების და ა. შ. შესაძლებლობა. გლეხობა სოციალურად გათანაბრდა, კულაკობა წელში გატყდა, საშუალო გლეხობა მატერიალურად დაკნინდა, მდიდარი გლეხის პრობლემა კი მოიხსნა.

მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობით რუსი გლეხი სახელმწიფოს მონა-მორჩილი გახდა, ძველ რუსულ სამყაროში შებრუნდა. ბევრი რამ დაკარგა რუსმა გლეხმა, მაგრამ მისი მოთხოვნილება პრიმიტიულ სოციალურ გათანაბრებაზე დაკმაყოფილებულ იქნა. გლეხური ბუნტის საშიშროება ი. სტალინმა ბრწყინვალედ გადაჭრა. მართალია, კოლექტივიზაციის გატარების შედეგად 1932-1933 წლებშიც კი რუსეთის (სსრ კავშირის) სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო რაოდენობა ვერ უტოლდებოდა რუსეთის იმპერიის დონეს (1914 წ.), მაგრამ ცხადი იყო სხვა შედეგი: სოფლად იოსებ სტალინის მიერ ჩაფიქრებულ პოლიტიკურ სისტემას საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ქალაქის (მრეწველობის) პრობლემა იოსებ სტალინისათვის მეორეხარისხოვანი იყო, თუმცა თავად საპირისპიროს ამტკიცებდა. ქრონოლოგიურად ინდუსტრიალიზაციის კურსი (1925 წ.) წინ უსწრებდა კოლექტივიზაციის კურსს (1927 წ.). ეს მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული. ქალაქად კაპიტალდაბანდებათა გადაქაჩვა (რაც ფაქტიურად ამოწურავდა პირველ ხანებში ინდუსტრიალიზაციის კურსის არსს) სოფლის ეკონომიკურ დაუძლურებას ისახავდა მიზნად.

დაუძლურებულ სოფელში გაცილებით ადვილი იქნებოდა ი. სტალინის გეგმის განხორციელება. თორემ 1925 წელს რა ინდუსტრიალიზაციაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა რუსეთის იმპერიის სამრეწველო სიმძლავრეთა ნახევარიც კი არ მოქმედებდა?!

ი. სტალინისათვის ქალაქის პრობლემა მეორეხარისხოვანი იყო იმიტომ, რომ 1917-1922 წლებში მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიკური დათრგუნვით უმთავრესი საკითხი გადაიჭრა. საბჭოთა წყობილების შეურიგებელი მოწინააღმდეგე – ინტელიგენცია – სამოქალაქო ომის დასასრულისათვის ან ფიზიკურად იყო განადგურებული, ან ემიგრაციაში იმყოფებოდა. ქალაქი სოციალურად თითქმის ერთფეროვანი – პროლეტარული – გახდა, თუ არ ჩავთვლით ე. წ. საბჭოთა ინტელიგენციას, რომელიც

ასევე პროლეტარული იყო. ისევე როგორც რუსულ სოფელში, ქალაქშიც პრიმიტიული სოციალური გათანაბრება განხორციელდა, სოციალური კონფლიქტის წყარო მოიხსოვ. ქალაქი ი. სტალინის ნებას დაემორჩილა.

კოლექტივიზაციითა და ინდუსტრიალიზაციით ი. სტალინმა მოიგო პოლიტიკურად. თუმცა ქვეყანამ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით დიდად იზარალა – ეკონომიკა დაქვეითდა, სოციალური პროგრესი შეჩერდა, საზოგადოებრივი აზრი ჩაკვდა. ნოე ჟორდანიამ შენიშნა: სსრ კავშირში ყველაფრის ნაციონალიზაციით, ყველაფრის განსახელმწიფოებრიობით აღმოსავლური დესპოტიის დამყარებისათვის წინაპირობები მომზადდა.

ნოე ჟორდანიას გარდა, იოსებ სტალინს ოპონენტი სხვაც ბევრი ჰყავდა. ოპონენტები ბევრი ჰყავდათ ივანე მრისხანესაც და პეტრე დიდსაც, თუმცა სამთაგან ვერც ერთს ოპონენტებმა ალტერნატიული გზა ვერ შესთავაზეს. დღეს ალბათ გარკვევით შეიძლება ითქვას: ალტერნატივა არც არსებობდა.

ივანე მრისხანე, პეტრე დიდი და იოსებ სტალინი ერთადერთსა და სწორ გზას ადგენენ. ცნობილია, რომ ი. სტალინის ოპონენტებმა – ლ. ტროცკიმ, გ. ზინოვიევმა, ლ. კამენევმა, ნ. ბუხარინმა და სხვებმა ვერავითარი ალტერნატიული გზა ვერ დასახეს. ყოველ მათგანში „პატარა სტალინი“ იჯდა და „დიდ სტალინობაზე“ ოცნებობდა. თუ სტალინური კურსის საწინააღმდეგო გზის მსგავსი რამ მართლაც ჩაისახებოდა, იგი საფუძველშივე ანგრევდა რუსული სახელმწიფოს არსებობის პრინციპებს, რუსეთს უბიძგებდა სმუტისაკენ, ხოლო თუ რა მოჰყვებოდა ამ უკანასკნელს, ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო.

რუსეთი არც საფრანგეთი იყო და არც ინგლისი, აქ დაწყებული შფოთი და ჯანყი შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო ქვეყნისათვის, იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც საუკუნების

მანძილზე უფროხილდებოდნენ ჯერ რიურიკები, ხოლო შემდეგ – რომანოვები, ამჯერად კი მისი ბედი იოსებ ჯულა- შვილს ებარა...

ვერც შრომის ნაყოფიერებით, ვერც ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციით 20-30-იან წლებში საბჭოთა რუსეთი (სსრ კავშირი) ვერ უტოლდებოდა რუსეთის იმპერიის დონეს. მაშ, რაში მდგომარეობდა იოსებ სტალინის პოლიტიკური სისტემის უპირატესობა? ი. სტალინის მიერ შექმნილ პოლიტიკურ სისტემაში საზოგადოების ყველა წევრი (მუშა, გლეხი, ინტელიგენტი), ყველა ფაბრიკა, ქარხანა, კოლექტიური მეურნეობა ქმნიდა ზემოდან დაგეგმილ რაღაც აუცილებელს, მინიმუმს, რომელიც საკმარისი იყო სოციალური თანასწორობის შესანარჩუნებლად, სოციალურ რყევათა თავიდან ასაცილებლად. ეს რაღაც აუცილებელი, მინიმუმი კი რუსეთში სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველს, უფრო მეტიც, არსებობის პირობას წარმოადგენა. ი. სტალინმა მასების ინიციატივა, მასების შემოქმედება შეცვალა სახელმწიფოს (ფაქტობრივად სტალინის) ინიციატივითა და შემოქმედებით.

ი. სტალინმა კარგად იცოდა, პიროვნების ინიციატივა და შემოქმედება ყოველგვარი პროგრესის საფუძველი რომ იყო. ეს კარგად იცოდა პ. სტოლიპინმაც. ამ უკანასკნელს სურდა სახელმწიფოს ინიციატივა და შემოქმედება პიროვნების ინიციატივითა და შემოქმედებით შეეცვალა, მაგრამ იგი დამარცხდა. მისი მარცხი ისტორიული აუცილებლობით იყო გამოწვეული. თუ პ. სტოლიპინის მარცხი პატრიარქალური რუსული თვითმყოფადი სამყაროს შეუვალლობით იყო განპირობებული, ი. სტალინის წარმატება ამ სამყაროს ამოცნობამ უზრუნველყო.

იოსებ სტალინმა შეძლო პრაქტიკულად განეხორციელებინა პრინციპი: ყოველ პიროვნებას სახელმწიფოსათვის უნდა მიეცა აუცილებლის, მინიმუმის შესრულების გარანტია, სახელმწიფოს ყოველი პიროვნებისათვის უნდა გაენადლებინა არსებობისათვის აუცილებელი მინიმალური სოციალური გარანტიები. ეს იყო რუსეთში სახელმწიფოს არსებობის უმთავრესი პირობა. ამით განსხვავდებოდა რუსეთი ევროპისაგანაც და აზიისაგანაც. ყოველივე

ამის აღმოჩენა თუ მაინც ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში მოიაზრება, მისი განხორციელება ადამიანურ ძალმოსილებას ნამდვილად აღემატება.

იოსებ სტალინის მიერ შექმნილ პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფო ხელისუფლებაც ორიგინალურად იყო მოწყობილი. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ წარმოშვა ხელისუფლების ორგანო – მუშათა, ჯარისკაცთა, მატროსთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოები.

საბჭოების სისტემა, როგორც ხელისუფლების ახალი ორგანო, სულ სხვაგვარად ესმოდათ კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძეს, მეტევი სკობელევს, ირაკლი წერეთელს, ალექსანდრე კერენსკისა და სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ვიდრე ვლადიმერ ლენინსა და იოსებ სტალინს. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ვ. ლენინმა განახორციელა ბრწყინვალე ტაქტიკური მანევრი – საბჭოებზე დაყრდნობით სახელმწიფო ხელისუფლება წართვა დამფუძნებელ კრებას. დამფუძნებელი კრების ბედს საბჭოები ვერ გაიზიარებდნენ, სახელმწიფო ხელისუფლებას ფორმალურად ხომ მაინც უნდა ეარსება.

ი. სტალინის ჩანაფიქრის მიხედვით, ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – საბჭოების ყრილობა – უმაღლესი საბჭოთი შეიცვალა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სტაბილურად მორჩილ საკანონმდებლო ორგანოდ იქცა. მისი მართვა გაცილებით ადვილი იყო. სსრ კავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – უმაღლესი საბჭო – იყო კლასიკური ნიმუში საკანონმდებლო ორგანოს სრული ატროფიისა. იგი ქვეყნის მართვა-გამგეობაში იმაზე გაცილებით ნაკლებ როლს თამაშობდა, ვიდრე რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო სათათბიროები, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია არც კი ჰქონია დაკისრებული.

იოსებ სტალინის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა სისტემამ რუსეთს მისცა სტაბილურობის აბსოლუტური გარანტია, ქვეყანას

თავიდან ააცილა პერმანენტული ქაოსი და ნგრევა, რომელსაც საბედისწერო შედეგები ექნებოდა არამართო რუსეთისათვის, არამედ მეზობელი ხალხებისათვის, აზიისა და ევროპის ბევრი სახელმწიფოსათვის.

ხშირად ი. სტალინის ეპოქის სტაბილურობას განიხილავდნენ როგორც დიდი მასშტაბის რეპრესიების შედეგს, რაც, ცხადია, სიცრუეა. მართო რეპრესიებზე დაყრდნობით რუსეთის მართვა, სოციალურ რყევათა, ქაოსისა და ნგრევის თავიდან აცილება რომ ილუზიაა, ამასი ეჭვი დღეს აღარავის ეპარება. რეპრესიები ი. სტალინისათვის სტაბილურობის მიღწევის საშუალება კი არ იყო, არამედ მისი კონტროლის, დესტრუქციული ძალების, სოციალური კონფრონტაციის ხელოვნურად გამომწვევთა დათრგუნვის საშუალებას წარმოადგენდა. პოლიტიკური კონფრონტაცია და კონფლიქტები კი ქვეყანას გაცილებით დიდ ზიანს მიაყენებდა, ვიდრე ი. სტალინის მიერ განხორციელებულმა რეპრესიებმა მიაყენა...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ ი. სტალინის პერიოდის რეპრესიები ლამის იმ ეპოქის ყველა დიდი წარმატების საფუძვლად გამოაცხადონ. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ი. სტალინმა ყოველგვარი რეპრესიების გარეშე მოიგო ფარული ბრძოლა რკპ(ბ) XII (1923 წ.) და XIII (1924 წ.) ყრილობებზე. აშკარად მოუგო ოპოზიციას საკავშირო კპ(ბ) XIV (1925 წ.) და XV (1927 წ.) ყრილობებზე. 1922-1927 წლებში ი. სტალინს ოფიციალურად არსებული რეპრესიული აპარატი არ ემორჩილებოდა, ხოლო მითქმა-მოთქმა სახელმწიფოსაგან ფარულად არსებული რეპრესიული აპარატის შესახებ მტკნარი სიცრუეა. ასე რომ, იოსებ სტალინი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის სათავეში მოექცა ყოველგვარი ტერორისა და სისხლიანი რეპრესიების გარეშე. ეს უდავოა ისევე, როგორც უდავოა ის, რომ 30-იანი წლების დამდეგიდან, განსაკუთრებით კი 30-იანი წლების შუა ხანებში ი. სტალინს მის მიერ შექმნილი სახელმწიფო სისტემის

გადასარჩენად მართლაც მოუხდა წარმოუდგენელი მასშტაბის რეპრესიების გატარება. თუმცა რუსეთი (სსრ კავშირი) დიდ სისხლიან რეპრესიებს იმ შემთხვევაშიც ვერ აიცილებდა თავიდან, ი. სტალინი საერთოდ რომ ჩამოეცილებინათ ხელისუფლებისათვის. განსხვავება მხოლოდ იმაში იქნებოდა, რომ რეპრესიებს მაშინ გამარჯვებული ოპოზიცია გაატარებდა. რეპრესიები ყოფილ ოპოზიციონერებს დასჭირდებოდათ ი. სტალინის მიერ შექმნილი სახელმწიფო სისტემის მსხვერვის შემთხვევაშიც და იმ შემთხვევაშიც, თუ სისტემის ფასადის შელამაზების გზით წავიდოდნენ, ხოლო თვით შენობას კი უცვლელად დატოვებდნენ. ჰქონდა კი რაიმე მნიშვნელობა, ვინ გაატარებდა რეპრესიებს – იოსებ სტალინი (ჯულაშვილი), ლევ ტროცკი (ბრონშტეინი), ლევ კამენევი (როზენფელდი), გრიგორი ზინოვიევი (რადომისლსკი) თუ კიდევ სხვა ვინმე?

იოსებ სტალინის მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემა თავიდან ბოლომდე ერთი კაცის – იოსებ ჯულაშვილის – მიერ იყო მოფიქრებული და, როგორც შემდეგ გაირკვა, მისი მართვაც ერთ კაცს – იოსებ სტალინს – შეეძლო. რა თქმა უნდა, ძნელი იყო იმ ქვეყნის მართვა, სადაც ყველაფერი ფიქცია იყო: ბოლშევიკური პარტიის ყრილობაც, პარტიის ცენტრალური კომიტეტიც და თვით ბოლშევიკური პარტია მთლიანად, უზენაესი საბჭოც და მთავრობაც, ფიქცია იყო კონსტიტუციაც. რუსი ხალხისათვის გაუგებარ ამ ორგანოებს ზემოთ იდგა მისთვის კარგად ნაცნობი მეფე-მამა, რომელშიც ხალხი ხედავდა ყველაფერს, რაც ცოდვილ დედამიწასა და ღმერთს შორის არსებობდა, რაც მაღლა დგას ყოველივე ადამიანურზე და თითქმის უახლოვდება ღმერთს.

იოსებ სტალინის პოლიტიკური სისტემა, ცხადია, შეიცავდა პროგრესის შემაფერხებელ მომენტსაც. ამის პირველი ნიშნები აშკარა გახდა ი. სტალინის გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ხოლო 60-იან წლებში ძლიერი კრიზისის სახეც მიიღო. ცხადია, ი. სტალინს ესეც გათვალისწინებული ჰქონდა. მართალია,

ი. სტალინი განახლების აუცილებლობას გრძნობდა, მაგრამ როგორც უნდა ვაიდებოდეთ მას, ერთი რამ უცილობლად აღიარების ღირსია: იოსებ სტალინს ახალი, დიდი ექსპერიმენტისათვის შესაძლებლობანი აღარ იყო. ეს ეხება მხოლოდ ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობებს. ი. სტალინი ხომ მაინც ადამიანი იყო და სამყაროს კანონებს მისი სხეულიც ემორჩილებოდა. იოსებ სტალინი იმასაც გრძნობდა, რომ მისი გმობის, მისი უარყოფის, მისი ოცდაათ ვერცხლად გაცემის დროც მოდიოდა, ამიტომაც გაფაცვიცებით ეძებდა თორმეტთა შორის ერთს – იუდას. ვერ იპოვიდა, რადგან თორმეტთა შორის თერთმეტი გამცემი, მოღალატე, უნიჭო, უსუსური და უღირსი აღმოჩნდა.

ეს არ იყო იოსებ სტალინის ტრაგედია, ეს რუსეთის ტრაგედია იყო...

იოსებ სტალინის მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემის შემაფერხებელი მომენტი თუ ჩვენს თვალწინ დამანგრეველ ძალად იქცა (თუ აქციეს), ეს იოსებ სტალინის დიდი ექსპერიმენტის ნაკლზე კი არ მეტყველებს, არამედ ი. სტალინის შემდგომი პერიოდის პოლიტიკურ მოღვაწეთა უნიჭობასა და უსუსურობაზე. მათ პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობის სფეროში ახალი კერაფერი შექმნეს. იოსებ სტალინის განმქიქებელნი იმავდროულად განწირულივით ეჭიდებოდნენ ისევ იმას, რაც ი. სტალინმა მოიაზრა. ამ სახელმწიფო მოღვაწეებს არც ნგრევის, არც გარდაქმნის, არც ახლის შენების ნიჭი არ აღმოაჩნდათ. ეს არც იყო მოულოდნელი.

იოსებ სტალინი განგებამ გამოარჩია ადამიანთაგან, ხოლო მისი მემკვიდრეები ღმერთისგან დავიწყებულნი აღმოჩნდნენ, ამიტომაც ასე უსახელოდ გადაეგნენ. რუსეთის სახელმწიფო დიდებისა და კეთილდღეობის გზაზე მხოლოდ ისეთ მოღვაწეებს გამოჰყავდათ, როგორებიც იყვნენ ივანე მრისხანე, პეტრე დიდი და იოსებ სტალინი...

თავი XV. მკვლევარი თუ პოლიტიკოსი?

იოსებ სტალინი არ ყოფილა მკვლევარი, მეცნიერების არცერთი დარგი მისთვის სერიოზული დაინტერესების საგნად არ ქცეულა. თუმცა მას შეეძლო გამხდარიყო დიდი ენათმეცნიერი, დიდი ისტორიკოსი, დიდი ეკონომისტი, დიდი ფილოსოფოსი... სტალინმა სხვა გზა აირჩია. მიუხედავად ამისა, მას მოუხდა თავისი აზრი გამოეთქვა ენათმეცნიერების, ისტორიის, ეკონომიკისა და ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მისი შეხედულებები დღესაც პოლემიკის საგანია.

ჩვენ ამჯერად შევეცდებით წარმოვაჩინოთ სტალინი ისტორიკოსის როლში: სტალინი, როგორც ეროვნული საკითხის მკვლევარი.

იოსებ ჯულაშვილი ეროვნული საკითხის დიდ მცოდნედ ითვლებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. უფრო დიდი ავტორიტეტი სოციალ-დემოკრატთა შორის არ ყოფილა რსდმპ შექმნიდან ვიდრე 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებამდე. შემდგომ ხანებში კი ი. სტალინის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა: უზარმაზარი მრავალეროვანი ქვეყნის ეროვნული პრობლემა (თეორიაც და პრაქტიკაც) მხოლოდ მას ეკითხებოდა. ეს დიდი აღიარება იოსებ სტალინმა სავსებით დამსახურებულად მოიპოვა.

ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ფეხადგმული იოსებ ჯულა- შვილი ეროვნული საკითხით უკვე ყმაწვილობის პერიოდშივე უნდა დაინტერესებულიყო. ცხადია, იგი არამართო ლექსებს აქვეყნებდა „ივერიაში“, არამედ ეცნობოდა იმ უნიკალურ მასალას, რომელსაც ერისა და ეროვნული მოძრაობის შესახებ გაზეთი აქვეყნებდა. მართო ილია ჭავჭავაძის ნაწერები რად ღირდა! „ივერიის“ შემდეგ ი. სტალინი „კვალში“ გადადის, სადაც ერი და ეროვნული მოძრაობა ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო. ასე რომ, ფართო

პოლიტიკურ ასპერეზზე გამოსვლის მომენტი სათვის (1900-1901 წწ.) იოსებ სტალინს უკვე საკუთარი კონცეფცია უნდა ჰქონოდა ეროვნულ საკითხზე. შემდეგ წლებში (1901-1904 წწ.) ი. სტალინი ეროვნულ საკითხზე პოლემიკაში ჩაება ნოე ჟორდანიასთან, ირაკლი წერეთელთან, არჩილ ჯორჯაძესთან. ცოტა მოგვიანებით ი. სტალინი მიხაკო (მიხეილ) წერეთლის ნაწერებსაც გაეცნო. ამრიგად, იოსებ სტალინს ეროვნული საკითხის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა თუ სურდა, მასწავლებელიც კარგი ჰყავდა (ილია ჭავჭავაძე) და ოპონენტებიც (ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, აკაკი ჩხენკელი, მიხაკო წერეთელი). რა პოზიციაზე იდგა ი. სტალინი ეროვნულ საკითხში 1900-1901 წლებამდე, ძნელი დასადგენია. მის მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ლექსებით თუ ვიმსჯელებთ, იოსებ ჯულაშვილი იმ პატრიოტ ახალგაზრდათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგება-შვილისა და სხვათა ტრადიციებზე იზრდებოდნენ და „ივერიის“ მეშვეობით გამოდიოდნენ ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ ასპერეზზე (ვგურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.83-84). 1901-1904 წლებში ი. სტალინის პოზიცია ეროვნულ საკითხში სოციალ-დემოკრატიულია.

რსდმპ ეროვნული პროგრამა რომ შეზღუდული იყო და ველი-კორუსული აზროვნების ნაყოფს წარმოადგენდა, ეს რსდმპ II ყრილობაზევე გახადა ნათელი ნოე ჟორდანიამ, მაგრამ ყრილობის უმრავლესობამ ქართველ დელეგატს მხარი არ დაუჭირა. ამ შემთხვევაში მომავალი მენშევიკები და ბოლშევიკები ერთ-სულთან იყვნენ. ცოტა მოგვიანებით რსდმპ ეროვნული პროგრამა გააკრიტიკა არჩილ ჯორჯაძემ, ხოლო 1908 წელს – ლადო დარჩიაშვილმა. რსდმპ ეროვნული პროგრამის დასაბუთებული კრიტიკა წარმოადგინა აკაკი ჩხენკელმა. ამიტომ წარმოუდგენელია, რსდმპ II ყრილობაზე მიღებული ეროვნული პროგრამა იდეალურად ჩაეთვალოს იოსებ სტალინს. და თუ ი. სტალინი პრესაში საჯაროდ

არ გამოხდა რსდმპ ეროვნულ პროგრამას, ეს სულ სხვა მიზეზით იყო გაპირობებული. რუსეთის განმათავისუფლებელმა (სოციალურმა) მოძრაობამ ა. რადიშჩევიდან დაწყებული ვერ შეიმუშავა სწორი ეროვნული პროგრამა – არად ჩააგდო დაპყრობილ ხალხთა ბედ-იღბალი. ეს ენებათ დეკაბრისტებს (პ. პესტელი, ნ. მურავიოვი), რევოლუციურ-დემოკრატებს (ბ. ბელინსკი, ნ. დობროლიუბოვი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი) და ნაროდნიკებს (მ. ბაკუნინი, პ. ლავროვი, პ. ტკაჩოვი, ლ. ტინომიროვი, გ. პლეხანოვი).

რუსეთის განმათავისუფლებელი (სოციალური) მოძრაობის ლიდერები ეროვნულ მოძრაობას არ განიხილავდნენ მოკავშირედ. ამ საკითხშიც თვით გიორგი პლეხანოვიც კი ველიკოდერჟავულ პოზიციაზე იდგა. ასეთი მემკვიდრეობა თითქმის უცვლელად მიიღეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ცნობილმა წარმომადგენლებმა ვ. ლენინმა (ულიანოვმა), ლ. მარტოვმა (ცედერბაუმმა), ა. მარტინოვმა (პიკერმა), ლ. ტროცკიმ (ბრონშტეინმა), ბ. კოლცოვმა (გინზბურგმა), მ. ლიადოვმა (მანდელშტამმა), პ. აქსელროდმა, ლ. დეიჩმა, ვ. ზასულინმა და სხვებმა. ეროვნულ მოძრაობას სოციალური რევოლუციის მოკავშირედ არც ისინი განიხილავდნენ, პირიქით, მას რეაქციულ ძალადაც კი მიიჩნევდნენ. ბუნდისა და მისი ლიდერების მ. ლიბერისა (გოლდმანი) და სხვების დამსახურება იყო ის, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მედროშეებმა საერთოდ მიაქციეს ყურადღება ეროვნულ საკითხს.

ყოველივე ეს კარგად უწყოდა იოსებ სტალინმა, მან ისიც კარგად იცოდა, რომ რსდმპ ეროვნული პროგრამის კრიტიკას მას არავინ აპატიებდა. ველიკოდერჟავულ პოზიციაზე მდგომი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები იმასაც ნანობდნენ, რაც ეროვნული პროგრამის მიღების დროს დათმეს. სწორედ ამიტომ ი. სტალინმა გაჩუმება არჩია. უფრო მეტიც, 1904 წელს რსდმპ ხელმძღვანელობას მან უაღრესად საჭირო ნაშრომი – „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატას ნაციონალური საკითხი“ – მიაშველა,

მათი პოზიციები გაამაგრა. მაგრამ ეს სულაც არ არის მთავარი ი. სტალინის ნაშრომში. მთავარი აქ ისაა, რომ ი. სტალინმა რსდმპ მესაჭეები ოსტატურად ჩაახედა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ (და არა ტაქტიკურ) საკითხში: დაპყრობილი ხალხების ეროვნული მოძრაობა რსდმპ უნდა განეხილა, როგორც რუსეთის იმპერიის მოსპობით სისხლხორცეულად დაინტერესებული ძალა. ყოველივე ეს ი. სტალინმა გააკეთა ძალზე ფრთხილად, ტაქტიკურად, რადგან ბუნდის პოზიციით გაღიზიანებული პარტიული თანამებრძოლები კიდევ უფრო არ გაელიზიანებინა. ამრიგად, 1904 წელს იოსებ სტალინმა ორმაგი შუამავლის როლი ითამაშა: ქართულ ეროვნულ მოძრაობას (ე. ი. დაპყრობილი ხალხების ეროვნულ მოძრაობას) მიანიშნა იმპერიის დამანგრეველ რეალურ ძალაზე – რუსეთის სოციალ-დემოკრატიასზე, ხოლო რუსეთის სოციალ-დემოკრატიას მიანიშნა რეალურ მოკავშირეზე – ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე (ე. ი. დაპყრობილი ხალხების ეროვნულ მოძრაობაზე). ვინც თვლის, რომ ამ შემთხვევაში ი. სტალინი ქართულ ეროვნულ მოძრაობას ღალატობდა და ველიკორუსული პოზიციიდან მსჯელობდა, ჩვენი აზრით, აშკარად ცდება. პირიქით, ი. სტალინი ველიკოდერჟავულ პოზიციაზე მდგარ რსდმპ ლიდერებს მიანიშნებდა იმაზე, რომ ანგარიში გაეწიათ დაპყრობილი ხალხების ეროვნული სულისკვეთებისათვის (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.86-88).

იოსებ სტალინი ძალზე შორს იხედებოდა. 1904 წელს მას შეუძლებელია არ სცოდნოდა, რომ თუ სოციალ-დემოკრატები მიაღწევდნენ დიდი სოციალური მოძრაობის აზვირთებას, თუ რუს გლეხს, მუშასა და ჯარისკაცს ააჯანყებდნენ პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, ისინი ეროვნულ მოძრაობასთან კავშირის გარეშეც გაიმარჯვებდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებული სოციალ-დემოკრატია შემდეგში საერთოდ არაფრად ჩააგდებდა დაპყრობილი ხალხების ეროვნულ მოძრაობას და არ იყო გამორიცხული, რომ საერთოდ მტრულ ძალად განეხილა იგი. ეს

იქნებოდა დაპყრობილი ერების დიდი ტრაგედია, რადგან მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ძალზე გაძნელებულია. სწორედ ამიტომ უკვე 1904 წელს იოსებ სტალინი ძალზე ფრთხილად ცდილობს რსდმპ ლიდერები დაარწმუნოს დაპყრობილი ხალხების ეროვნულ მოძრაობასთან კავშირის აუცილებლობაში, ველიკოდერჟავული ეროვნული პროგრამის შეცვლის გარდუვალობაში. ეს იყო იოსებ სტალინის დიდი მისია, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლას იგი შემდეგ წლებშიაც მონდომებით ცდილობდა (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.88-89).

რა ბედი ეწია იოსებ სტალინის ორმაგ შუამდგომლობას? ი. სტალინმა რსდმპ ლიდერებს თითქმის შეასმინა თავისი აზრი. მართალია, რსდმპ ეროვნული პროგრამა არ შეუცვლიათ, მაგრამ პარტიის მოღვაწეობაში ეროვნულ საკითხს მეტი ყურადღება დაეთმო. ეს იყო იოსებ სტალინის დიდი გამარჯვება. სამაგიეროდ, ი. სტალინის შუამდგომლობა არ მიიღო ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ – იგი კვლავ ძველი გზით მიდიოდა. XIX საუკუნეში მიღებული ინერციით აგრძელებდა სვლას რუსეთის იმპერიაში მცხოვრები თითქმის ყველა დაპყრობილი ხალხის ეროვნული მოძრაობა. ეს არც იყო მოულოდნელი: რასაც განგებისაგან რჩეული იოსებ სტალინი სრულიად გარკვევით ხედავდა, სულაც ვერ ხედავდნენ ჩვეულებრივი მოკვდავები – დაპყრობილი ხალხების ეროვნული მოძრაობის ლიდერები, მათ შორის ქართველებიც.

რსდმპ შექმნიდან თითქმის ათი წელი გავიდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, არც ბოლშევიკებს და არც მენშევიკებს, ეროვნულ საკითხში იოსებ სტალინზე დიდი ავტორიტეტი არ გამოსჩენიათ. სწორედ ამიტომ მოულოდნელი არ იყო, რომ რსდმპ სახელით ეროვნულ საკითხზე საპროგრამო ნაშრომის დაწერა ი. სტალინს დაევალა. მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ ეროვნულ საკითხზე საპროგრამო ნაშრომის დაწერა ი. სტალინს ვ. ლენინმა დაავალა. ი. სტალინი ნაშრომს წერდა მთელი პარტიის სახელით,

იგი უნდა განხილულიყო როგორც საერთო პარტიული დოკუმენტი და მოწონების შემთხვევაში საფუძვლად დასდებოდა რსდმპ ახალ ეროვნულ პროგრამას. მაგრამ 1912 წლის ამბების შემდეგ (რსდმპ პრალის კონფერენცია, ე. წ. ავვისტოს ანტიპარტიული ბლოკი) მენ-შევიკები და ბოლშევიკები სულ უფრო დასცილდნენ ერთმანეთს. სწორედ ამიტომ იყო, რომ იოსებ სტალინის საპროგრამო ნაშრომი ბოლშევიკების კუთვნილებად დარჩა.

იოსებ სტალინი 1912 წლის ბოლოს მიემგზავრება ავსტრია-უნგრეთში. აქ იგი ეცნობა საჭირო მასალას და 1913 წლის იანვარში ვენაში ასრულებს ნაშრომს „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“. ნაშრომი ვ. ლენინს ძალიან მოეწონა. მისივე რეკომენდაციით ი. სტალინმა ნაშრომი ლ. ტროცკის მიუტანა და გახუთ „პრავდაში“ გამოქვეყნება ითხოვა. ლ. ტროცკიმ ი. სტალინი ავტორიტეტად არ მიიჩნია და დაბეჭდვაზე უარი უთხრა. ეს იყო ი. სტალინისა და ლ. ტროცკის პირველი სერიოზული შეჯახება. შემდეგში ლ. ტროცკის ალბათ აღარც ახსოვდა მასთან რედაქციაში მისული ქართული სოციალ-დემოკრატია. სამაგიეროდ, იოსებ სტალინმა ეს შეხვედრა არ დაივიწყა. მართალია, ლ. ტროცკიმ ი. სტალინს ცივი უარი უთხრა, მაგრამ ერთი კეთილი საქმე მაინც გაუკეთა: ნ. ბუხარინთან მისცა რეკომენდაცია, რომლის დახმარებითაც 1913 წელს ი. სტალინის ნაშრომი „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ ჟურნალ „პროსვეშჩენიეში“ დაიბეჭდა (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი ტ. 2. თბ., 1947, გვ. 312-395). ი. სტალინმა ნ. ბუხარინს დიდხანს არ დაუვიწყა ეს კეთილშობილური საქციელი. 1914 წელს ი. სტალინის ნაშრომი პეტერბურგში გამოიცა ცალკე ბროშურის სახით შეცვლილი სათაურით „ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი“. საბოლოოდ კი იგი ისტორიაში დარჩა სათაურით „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.

იოსებ სტალინის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ მეცნიერული გამოკვლევა არ არის. მეცნიერული გამოკვლევის

დასაწერად ი. სტალინს იმხანად არ ეცალა. იგი წერდა ნაშრომს, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა რსდმპ ახალ ეროვნულ პროგრამას. ე. ი. ი. სტალინი პოლიტიკურ დოკუმენტს ადგენდა, რაც გარკვეულწილად ზღუდავდა ავტორს, ხოლო თვით ნაშრომს თავისებურ დაღს ასვამდა (ვ. გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.91).

ი. სტალინის ნაშრომის პირველი ნაწილი ერისა და ეროვნული მოძრაობის რაობის გარკვევას ეძღვნება. ი. სტალინი ერის ცნებას ასე აყალიბებს: „ფაქტზე ტენდენციურად ბუნებრივად ცვალებადი ენის ენობრივად დაჯერება და ენობრივად დაჯერებული ენის ენობრივად დაჯერება“ (ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1947, გვ. 319).

ი. სტალინის მიერ ერის ცნების განსაზღვრისას გამოყენებული ოთხივე ნიშანი ცნობილი და მიღებული იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს, ე. ი. კარგა ხნით ადრე, ვიდრე ი. სტალინი თავისი ნაშრომის წერას შეუდგებოდა. მიუხედავად მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი ავტორების რამდენიმე ნაშრომის, კერძოდ, რუდოლფ შპრინგერის „სახელმწიფო და ნაცია“, „ეროვნებათა ბრძოლა ავსტრიაში“; ოტო ბაუერის „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, „ნაციონალური ავტონომია“, „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ეროვნული პროგრამა“; ენგელბერტ პერნერსტორფერის „სოციალ-დემოკრატია და ნაციონალური საკითხი ავსტრიაში“; კარლ კაუცკის „ერთი განთავისუფლება“; ვ. მედემის „სოციალ-დემოკრატია და ეროვნული საკითხი“ და სხვ. ერის შესახებ

კონცეპტუალური შეხედულება მოცემული იყო ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრიუნის ყრილობის (1899) მასალებში.

უცხოელი თეორეტიკოსებიც რომ არა, ი. სტალინის ქართულ სინამდვილეში, ქართულ ენაზე დაწერილ ნაშრომებშიც შეიძლებოდა მოენახა ერის ოთხი ნიშნის ვრცელი დახასიათება. ამ პრობლემაზე ბევრს წერდა ილია ჭავჭავაძე, რაც, უეჭველია, ი. სტალინს კარგად მოეხსენებოდა. ნოე ჟორდანიასა და არჩილ ჯორჯაძის შრომების ცოდნა კი ი. სტალინს მათთან პოლემიკაში ხომ აუცილებლად ესაჭიროებოდა. რომელი ერთი უნდა დავასახელოთ. 1907 წელს ჟურნალ „ისარში“ იბეჭდებოდა არჩილ ჯორჯაძის წერილების სერია საერთო სათაურით „ადათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო“, რომელშიც ეროვნულ საკითხს დიდი ადგილი ეთმობა. სწორედ ამიტომ წერილების ეს სერია მოგვიანებით, ახალი გამოცემისას (1911 წ.), ავტორმა ასე დაასათაურა: „მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად“. 1908 წელს ჟურნალ „ამირანში“ გამოქვეყნდა არჩილ ჯორჯაძის მეორე სერიული სათაურით „სამშობლო და მამულიშვილობა“. 1908 წელსვე „ამირანში“ დაიბეჭდა არჩილ ჯორჯაძის კიდევ ერთი წერილების სერია სათაურით „კიდევ წარსული და მისი ანდერძი“ (იხ.: ა.ჯორჯაძე. თხზულებანი. წიგნი პირველი: ეროვნული პრობლემის გარშემო. ტფილისი, 1911, გვ.2-194; იხ. ასევე ახალი გამოცემა: ა. ჯორჯაძე. სამშობლო და მამულიშვილობა. თბილისი, 1990). ამ ნაშრომებში ი. სტალინისათვის საინტერესო ბევრი მასალა იყო. ერისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე ვრცლად მსჯელობდა ნოე ჟორდანია ადრეული პერიოდის ნაშრომებში „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“ (1894) და „ვაზ. „ივერია“ და ეროვნობა“ (1897) (იხ.: ნ.ჟორდანია. რჩეული ნაწერები. თფილისი. 1911; იხ. ასევე ახალი გამოცემა: ნ.ჟორდანია. თხზულებანი. ტომი I. თფილისი, 1920, გვ.1-144), ასევე შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებში: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (1908), „სადაო კითხვები“ (1908), „კიდევ სადაო კითხვები“ (1908), „ძველი და ახალი“ (1912). ბოლოსდაბოლოს ი.

სტალინს ხელთ ჰქონდა 1910 წელს “Baton”-ის ფსევდონიმით ცალკე წიგნად გამოცემული მიხაკო (მიხეილ) წერეთლის გამოკვლევა „ერი და კაცობრიობა“ (იხ. ახალი გამოცემა: მ.წერეთელი. ერი და კაცობრიობა. თბილისი, 1990). ამდენად, ი. სტალინის მიერ ერის ცნების დადგენისას გამოყენებული ნიშნები სულაც არ იყო მისი აღმოჩენილი. მეცნიერებაშიც და პუბლიცისტიკაშიც ამ ნიშნებზე მსჯელობა კარგა ხნის დაწყებული იყო.

ი. სტალინისეული ერის ცნების განსაზღვრაში მთავარი ოთხი ნიშანი კი არ არის, არამედ იმის ხაზგასმა, რომ ერი არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ოთხივე ნიშანი გააჩნია. ეს კი თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ ერი, როგორც ასეთი, შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში, რადგან ეკონომიკური ერთობა მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში გახდა შესაძლებელი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც ეს დებულებაა მთლიანად ი. სტალინისეული. მსგავსი მინიშნება შეიძლება სხვა ავტორებთანაც დავადასტუროთ. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ი. სტალინამდელი ავტორები უკან დასახევ გზას იტოვებდნენ, ფრთხილობდნენ – ერის ცნებას ოთხი ნიშნით არ განსაზღვრავდნენ, მხოლოდ მინიშნებით კმაყოფილდებოდნენ. იოსებ სტალინმა კი პრობლემა მთელი კატეგორიულობით დააყენა და ერის განსაზღვრებასაც წესის, კანონის სახე მისცა. ამიტომ საეხებით სამართლიანია, რომ ერის ცნების განსაზღვრა მისი „სიდიადითა“ და „ნაკლით“ მხოლოდ ი. სტალინს მიეწერება. იოსებ სტალინის მიერ მოცემული ერის განსაზღვრების მეცნიერული დასაბუთების შეფასება ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ჩვენ მხოლოდ ი. სტალინის პოზიციის ახსნას ვეცდებით, რადგან საკითხის მხოლოდ პოლიტიკური მხარე გვინტერესებს (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.93).

მაშ, ასე: იოსებ სტალინი ამტკიცებს, რომ ერი და ეროვნული მოძრაობა მხოლოდ კაპიტალისტური ეპოქის ნაყოფია და ეროვნული მოძრაობა მხოლოდ კაპიტალისტური ეპოქის მოვლენაა, ერი და ეროვნული მოძრაობა წინაკაპიტალისტურ ხანაში არ შეიძლებოდა არსებულიყო. ი. სტალინის ასეთ მტკიცებას ძალზე მტკივნეულად განვიცდით ქართველები და ალბათ იგივე გრძნობა ეუფლება ყველა ერის წარმომადგენელს, რომელთა სახელმწიფოებრიობა მრავალ საუკუნეს მოითვლის და უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლის ხანგრძლივი ისტორია აქვთ, რომ არაფერი ვთქვათ უძველეს კულტურაზე. თუმცა სავსებით ცხადია, რომ ი. სტალინს ამ შემთხვევაში დიდი და მცირერიცხოვანი ერი, დამპყრობელი და დაპყრობილი ერთმანეთისაგან არ გაურჩევია.

მაინც რა პოლიტიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული იოსებ სტალინის მიერ ამ აშკარად სადავო დებულების წამოყენება? ყოველ შემთხვევაში, აქ სოციალ-დემოკრატიის დაკვეთის კვალი არ ჩანს, რაიმე დაფარული მიზნის მიღწევას ი. სტალინი არ ცდილობს. რსდმპ ლიდერებისათვის არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა, როდის წარმოიშვა ერი და ეროვნული მოძრაობა: კაპიტალიზმის თუ წინაკაპიტალისტურ ეპოქაში.

სხვა საკითხია, მეცნიერული თვალსაზრისით სწორია თუ არა ი. სტალინის დებულება. ეს ურთულესი საკითხია და მისი გადაჭრა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ერთობლივ კვლევას მოითხოვს. 60-იან წლებში, იოსებ სტალინის უარყოფის პერიოდში, იყო სერიოზული ცდა, გადაესინჯათ ერის განსაზღვრება, რომელიც ი. სტალინმა მოგვცა 1913 წელს. უფრო მეცნიერული, უფრო დასაბუთებული და არაწინააღმდეგობრივი ვერავინ ვერაფერი მოიაზრა. პოლემიკა შემდეგ წლებშიც გაგრძელდა, რომლის შედეგი მოკლედ ასეთია: დღეს საერთოდ არა გვაქვს ერის მეტნაკლებად მისაღები განსაზღვრება, თუ რაიმე რაციონალური შეიქმნა, ყველაფერი აშკარად ან ფარულად ისევ ი. სტალინისეული განმარტების გადამღერებაა.

ძალიან ძნელი გამოდგა იოსებ სტალინის უარყოფა საერთოდ და კონკრეტულად ერისა და ეროვნული მოძრაობის საკითხში.

და ბოლოს. იოსებ სტალინი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმამდე არ არსებობდა ერი, არ იყო ეროვნული მოძრაობა, არ იყო ეროვნული ერთიანობის (განუყოფლობის) გრძნობა (შეგნება). მეტი სიცხადისათვის ი. სტალინს ქართველების მაგალითი მოჰყავს: „რეფორმამდე ზანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისგან მოწყვეტილ სამთავროებად, არ შეეძლოთ საერთო ეკონომიკური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს უსისინებდნენ სპარსელებსა და თურქებს. სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ-ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრების ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვაგვარადაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების პირობებში... საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიკის მომძლავრებამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 2. გვ. 317-318).

ი. სტალინიმა საქართველოს ისტორია კარგად იცოდა. მაგრამ რატომ მოიყვანა მაგალითები საქართველოში გვიანი ფეოდალიზმის ეპოქიდან – ქართული სახელმწიფოებრიობის დაკნინების ხანიდან და არა XI-XII საუკუნეებიდან? ამას შემთხვევითობას ვერ მივაწერთ. ისიც დაუფიქრებელია, რომ ი. სტალინი ვერ

ჩასწვდებოდა გიორგი მერჩულეს (X ს.) სიტყვების შინაარსს: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ყოველივე ეს ეჭვის ქვეშ აყენებდა ი. სტალინის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ერი და ეროვნული გრძნობა, ასევე „მყარი ერთობა“ წინაკაპიტალისტურ ხანაში არ არსებობდაო. ი. სტალინს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ქართველი ერის „მყარი ერთობა“ თანდათან ყალიბდებოდა ერთიანი ქართული მონარქიის წარმოქმნის წინა პერიოდში (IX-X სს.). ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა ჯერ იდეურად მომზადდა და პრაქტიკულად მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდა (X-XII სს.). ქართველი ერის „მყარი ერთობა“ მოიშალა არა შინაგანი განვითარების კანონზომიერებით, არამედ გარეშე ძალის ზემოქმედებით ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის პირობებში. ქართული სამეფო-სამთავროების ერთმანეთისაგან გაუცხოება სწორედ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ დაიწყო. ეს გაუცხოება გრძელდებოდა რამდენიმე საუკუნე (XV-XVIII სს.). XIX საუკუნეში სწორედ ამ გაუცხოების დაძლევა მოხდა და თანდათან აღდგა „მყარი ერთობაც“.

ზემოთ მოტანილ აზრს ი. სტალინი 1913 წელს იცავდა. 1876 წელს გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილი „ზოგიერთი რამ“, რომლის წერაც ავტორს 1866 წელს დაუწყია. ილია ჭავჭავაძე მეტად მნიშვნელოვან აზრს ავითარებს ქართველი ერის ერთიანობის, საერთო-ქართული ეროვნული გრძნობის შესახებ XIX საუკუნის 60-70-იანი წლების მაგალითზე. მოვიტანო რამდენიმე ადგილს ილიას ამ დიდებული წერილიდან: „ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა – თავადი, გლეხსა – ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი – სათავა-

ლოა, აზნაურის – სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა –
სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე
ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს
ძუძითი გაზრდილნი?“ (ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. სრული
კრებული ხუთ ტომად. ტომი 2, თბ., 1941, გვ. 52). ცოტა ქვემოთ
ილია ჭავჭავაძე წერს: „აბა დაიძახე: ქართველი-თქო, თუ შავის
ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიბ-
გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში
მცხოვრებელმა) შემოგხელოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება
კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი
ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი
ქართველები არ არიანო“ (იქვე, გვ. 53). ილია ჭავჭავაძე საკითხს
ასე აყენებს: „თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მათ თვითეულის
გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის,
მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნი-
შანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება,
ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად
მიიწვევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ
მეც ვიტყვი: ქართველი აგერ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ,
საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი
არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო
სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში
არის: მე თუ შენ, შენ თუ მე, და ორივენი ერთად კი არაო“ (იქვე,
გვ. 52-53).

როგორც ვხედავთ იოსებ სტალინი 1913 წელს ამტკიცებდა,
რომ ქართველი ერი ყალიბდება XIX საუკუნის მეორე ნახევარში –
რეფორმების შემდგომ პერიოდში, ე. ი. 60-70-იანი წლებიდან.
ცხადია, ი. სტალინის მიხედვით საერთო-ქართული ეროვნული
შეგნებაც ამ პერიოდიდან უნდა გაჩენილიყო. ილია ჭავჭავაძე კი
აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საერთო-
ქართული ეროვნული გრძნობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. ძნელი

მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ილია ჭავჭავაძე და იოსებ სტალინი ერთსა და იმავეს ამტკიცებენ. იქნებ ეს ძალიან თამამად ნათქვამიც იყოს, მაგრამ საკითხი დაფიქრებად ღირს. ისე არ მოგვივიდეს, რომ იოსებ სტალინისათვის მოქმედი, ჩვენდა უნებურად, ილია ჭავჭავაძეს მოხვდეს (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.97).

იოსებ სტალინმა ნაშრომებში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“ (1904) და „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (1913) აშკარად მიანიშნა სამ უმთავრეს ტენდენციაზე, რომელსაც საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრების დაპყრობილი ერებისათვის. აი, ეს ტენდენციები: 1) რუსეთის იმპერიას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემას იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ხალხების ეროვნული მოძრაობა ვერ დაანგრევდა, თუნდაც ყველა ჩაგრული ერი ერთდროულად რომ აჯანყებოდა მეტროპოლიას; 2) შორეულ მომავალშიც კი წარმოუდგენელი იყო რუსეთის სახელმწიფოს ისეთი დემოკრატიზაცია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დაპყრობილი ერებისათვის ავტონომიები და ფედერაციები ებოძებინა. პირიქით, მოსალოდნელი იყო ველიკორუსული შოვინიზმის მკვეთრი გაძლიერება, პატარა ერების ასიმილაციის დაჩქარება; 3) რუსეთის იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ხალხების ეროვნული მოძრაობა არსად არ ცნობდა სოციალური მოძრაობის პრიმატს და არ აპირებდა დამორჩილებოდა მას. „სოციალიზმის სამოთხის“ დაპირებით ეროვნული მოძრაობის „მოთვინიერება“ შეუძლებელი იყო. ამ წინასწარმეტყველური დასკვნებით იოსებ სტალინი ერთბაშად რამდენიმე თავით მაღლა დადგა მის თანამედროვე გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებზე (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.98).

ვინც ეს დასკვნები გააკეთა, მისთვის ცხადი იყო რუსეთის იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ერების უიმედო მდგომარეობა.

იმპერიის აღსასრულის გარეშე დღის წესრიგიდან არ მოიხსნებოდა პატარა ერების გადაგვარებისა და სრული ასიმილაციის საფრთხე. იმპერია კი თითქოს ურყევად იდგა...

აგერ უკვე ოთხმოც წელზე მეტია, გრძელდება პოლემიკა ეროვნულ საკითხში იოსებ სტალინის კონცეფციის შესახებ. ამ პოლემიკაში დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ ვლადიმერ ლენინი, ლევ ტროცკი, ნიკოლაი ბუხარინი, ნოე ჟორდანია, შემდეგი თაობის პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები – იოსებ სტალინის დამცველნი და მისი უარყოფელნი. ყველა ცხადად გრძნობდა: პრობლემის გადაჭრის ნაცვლად მოჯადოებულ წრეში ბრუნავდნენ...

მოჯადოებულ წრეში ვბრუნავთ დღესაც.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

სტალინის დიდი ექსპერიმენტი შედგა. მაინც საით მიისწრაფოდა იოსებ სტალინი? რის მიღწევას ცდილობდა ასეთი გულ-მოღვინებით? სტალინის მიზანი იყო ბურჟუაზიული სახელმწიფო სისტემის ალტერნატივის შექმნა და, ალბათ, კაპიტალიზმის საბოლოო ლიკვიდაციაც. იოსებ სტალინმა ბურჟუაზიულ სახელმწიფო სისტემას დაუპირისპირა სოციალური თანასწორობის იდეაზე დამყარებული სახელმწიფო სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ იოსებ სტალინმა სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლაში უმაგალითო პრეცედენტი შექმნა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, სოციალური თანასწორობისათვის ყველა ცნობილი მებრძოლი უკან ჩამოიჭოვა, საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწია. მართალია, სტალინი ამ ქვეყნიდან დაუმარცხებელ პოლიტიკურ მოღვაწედ წავიდა, მაგრამ მის მიერ ჩაფიქრებული და პრაქტიკულად განხორციელებული ექსპერიმენტი კაპიტალიზმთან ბრძოლაში მაინც დამარცხდა (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.83-84).

სოციალური თანასწორობის იდეის რეალიზაცია ყოველთვის წარმოშობდა სექტანტიზმს, ექსტრემიზმს, ძალადობას, რაც მთავრდებოდა დიქტატორული პოლიტიკური რეჟიმის დამყარებით. სწორედ დიქტატორული რეჟიმია ის აუცილებელი პირობა, რომელიც იძლევა საშუალებას დროებით შენარჩუნებული იქნას მეტ-ნაკლები სოციალური თანასწორობა. ამდენად, სოციალური თანასწორობის იდეის რეალიზაცია, თუ თავიდანვე არა, რაღაც ეტაპზე მაინც აუცილებლად აფერხებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროგრესს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალური თანასწორობის იდეის რეალიზაციის შედეგად შექმნილი სახელმწიფო სისტემა ადრე თუ გვიან განწირულია მარცხისათვის. ამ კანონზომიერებას შეეწირა სტალინის დიდი ექსპერიმენტის შედეგად შექმნილი სახელმწიფო სისტემაც. მიუხედავად ამისა, სოციალური თანასწორობის იდეის რეალიზაციისათვის ბრძოლა საბოლოო ვკამში მაინც არ შეიძლება განხილულ იქნას უარყოფით მოვლენად. ეს ის მოვლენაა, რომელიც აზრს აძლევს დაბალი და საშუალო ფენების არსებობას იმ საზოგადოებაში, რომლისათვისაც მიუღებელია სოციალური თანასწორობის იდეა.

იცოდა თუ არა იოსებ სტალინმა, რომ მის ექსპერიმენტს, მის მიერ შექმნილ ზესახელმწიფოს კრახი ელოდა? უნდა ვივარაუდოთ, რომ იცოდა. თუმცა, რა უნდა გაიგო იმ ადამიანის ნააზრევსა და ნაღვაწში, რომელიც წერდა, რომ ისტორიაში გადამწყვეტ როლს დიდი ადამიანები კი არა, მასები ასრულებენ, იმავდროულად კი მთელი ცხოვრების მანძილზე პრაქტიკულად ამტკიცებდა, რომ ისტორიას მხოლოდ დიდი ადამიანები ქმნიან (ვ.გურული. სტალინის დიდი ექსპერიმენტი. თბილისი, 2000, გვ.101).

წ ი ნ ა თ ქ მ ა

თავი I. დაბადება. სოციალური გარემო. განათლება

თავი II. ილია ჭავჭავაძესთან “ივერიაში”

თავი III. თბილისის სასულიერო სემინარიის დატოვება

თავი IV. არჩევანი

თავი V. დაპირისპირება ქართულ სოციალ-დემოკრატიასთან
თავი VI. ქართული ეროვნული მოძრაობის შეფასება

თავი VII. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში
დამკვიდრების ცდა

თავი VIII. სიმართლე გახმაურებული ექსპროპრიაციის შესახებ

თავი IX. რუსეთში

თავი X. ლენინიზმი თუ სტალინიზმი?

თავი XI. სოციალური
და ეკონომიკური სისტემა

თავი XII. პოლიტიკური სისტემა

თავი XIII. მკვლევარი თუ პოლიტიკოსი?

ბ ო ლ ო თ ქ მ ა